

ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ზემოქმედება ქართველ მომხმარებლებზე

სარჩევი

1	შესავალი	2
2	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება	3
2.1	სტანდარტიზაცია-სერტიფიკაცია, ბაზრის ზედამხედველობა	4
2.1.1	WTO მოთხოვნები	4
2.1.2	ევროკავშირის წესები	5
2.1.3	DCFTA მოთხოვნები.....	12
2.1.4	საქართველოში არსებული მდგომარეობა	15
2.1.5	მოსალოდნელი ცვლილებები	16
2.2	SPS/Food safety	16
2.2.1	მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნები	16
2.2.2	სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები.....	19
2.2.3	რისკების შეფასება.....	23
2.2.4	სანიტარული/ფიტოსანიტარული ზომები ასოცირების შეთანხმებაში	26
2.2.5	სურსათის უვნებლობის ქართული სისტემის ძირითადი ნაკლოვანებები	31
2.2.6	სურსათის უვნებლობის ევროპული სისტემის ძირითადი მახასიათებლები.....	32
2.2.7	სურსათის უვნებლობის სფეროში ევროპასთან მიახლოების სტრატეგია და პროგრამა.....	35
2.2.8	საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა სურსათის უვნებლობის სფეროში.....	36

2.3	კონკურენციის დაცვა.....	54
2.3.1	შესავალი	54
2.3.2	საერთაშორისო მიდგომა.....	55
2.3.3	სფეროს რეგულირება ევროკავშირში	56
2.3.4	მოთხოვნები ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით.....	73
2.3.5	კონკურენციის დაცვა საქართველოში	74
2.3.6	მოსალოდნელი ცვლილებები	77
2.4	ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.....	77
2.4.1	საერთაშორისო ინსტრუმენტები.....	77
2.4.2	DCFTA მოთხოვნები.....	79
2.4.3	საქართველოში არსებული მდგომარეობა	79
3	თანამშრომლობის სხვა სფეროები	80
3.1	მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობა	80

1 შესავალი

ნაშრომში შეჯამებულია ასოცირების ხელშეკრულების შესასრულებლად საქართველოში განსახორციელებელი საკანონმდებლო, ინსტიტუციური, სხვა ცვლილებები, რომელიც ზემოქმედებას მოახდენს ქართველ მომხმარებლებზე. კერძოდ, ასევე მივიჩნიეთ ის ცვლილებები, რომელიც იმოქმედებს სამომხმარებლო საქონლის/მომსახურების:

- ფასზე
- უსაფრთხოება/უვნებლობაზე
- არჩევანზე/მრავალფეროვნებაზე/ხელმისაწვდომობაზე
- ხარისხზე / სანდოობაზე¹
- მომხმარებლის შეცდობაში შეყვანის გამორიცხვაზე
- მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე, რომელიც მნიშვნელოვანია პროდუქციის/მომსახურების შეძენის თაობაზე მომხმარებლის მიერ გადაწყვეტილების მიღებისათვის

¹ როგორც მომხმარებელთა საჭიროებების კვლევამ აჩვენა, ქართველი მომხმარებელი შესაძენი პროდუქციის არჩევას ფასის გარდა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხარისხს. ხარისხის შერჩევის მეთოდებიდან მომხმარებლებმა მიუთითეს:

- ბრენდის რეპუტაცია;
- წარმოშობის ქვეყანა;
- ვარგისობის / მომსახურების ვადები და პირობები;
- სხვების გამოცდილება;
- გამყიდველის/კონსულტანტის რჩევები.

ცხრილში შეჯამებულია ასოცირების ხელშეკრულების სხვადასხვა ნაწილების მოსალოდნელი ზეგავლენა მომხმარებლების ინტერესის ზემოთ აღწერილ სფეროებზე

სფერო	სამომხმარებლო საქონელზე/მომსახურებაზე ზემოქმედების მიმართულება					
	ფასი	უსაფრთხოება/ უვნებლობა	არჩევანი/ მრავალფეროვნება	ხარისხი/ სანდოობა	შეცდომაში შეყვანის გამორიცხვა	დამატებითი ინფორმაცია გადაწყვეტილების მისაღებად
საერთაშორისო ვაჭრობის წესების დაცვა						
სტანდარტიზაცია- სერტიფიკაცია, ბაზრის ზედამხედველობა						
სანიტარული- ფიტოსანიტარული საკითხები						
ინტელექტუალური საკუთრების დაცვა						
კონკურენციის დაცვა						
მომხმარებელთა დაცვა						

ქვემოთ სათითაოდ გარჩეულია თითოეული მიმართულებით განთვალისწინებული ცვლილებები ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით და მათი მოსალოდნელი ზეგავლენა მომხმარებლებზე.

2 ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება

მომხმარებლებზე ზემოქმედების თვალსაზრისით პირველ რიგში მნიშვნელოვანია ასოცირების ხელშეკრულების მე-4 კარი, რომელიც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას (DCFTA) წარმოადგენს. სანამ მის ცალკეულ ნაწილებს გავარჩევთ, უნდა აღინიშნოს მისი ზოგადი მნიშვნელოვანი მახასიათებელი: DCFTA დადებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) ტარიფებისა

და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების (GATT)² 24-ე მუხლის ფარგლებში. ამიტომ DCFTA ეფუძნება WTO შეთანხმებების ფარგლებში აღებული ვალდებულებებს, არსებითად წარმოადგენს მათ განმტკიცებას და საქართველოსთვის ამ ვალდებულებების შესრულების კონკრეტული გზის არჩევანის დეკლარირებას.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში სულ -- წელია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია და ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს ძალები, რომელიც WTO-პრინციპების წინააღმდეგია და როგორც მედიაში, ასევე პარლამენტის ტრიბუნლიდან არც თუ იშვიათად გაისმის მოწოდებები იმპორტის შეზღუდვისა და ქართველი მეწარმეებისთვის ამა თუ იმ პრეფერენციის მინიჭების თაობაზე, ხელისუფლების მიერ WTO შეთანხმებების შესრულებების სავალდებულოობის რეიტერაცია, მათი შესრულების კონკრეტული გზის დასახვა და ამ პროცესის ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში მოთავსება დამატებითი გარანტიას იმისა, რომ საქართველო თავის განვითარებაში ღია და თავისუფალი ბაზრის პრინციპს არ გადაუხვევს.

მსოფლიო ვაჭრობისადმი ღია ბაზარი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი საქონლის/მომსახურების მეტ მრავალფეროვნებას ნიშნავს. ღია ბაზარი აგრეთვე უზრუნველყოფს ქართველი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი პროდუქციის/მომსახურების ფასის მიზნად მის მსოფლიო საბაზრო ფასზე, რაც ხშირ შემთხვევაში (დახურულ ბაზართან შედარებით) პროდუქციის/მომსახურების გააფხვებას ნიშნავს. ღია ბაზარს აგრეთვე მოაქვს მეტი კონკურენცია, რაც ეროვნულ მეწარმეებს აიძულებს ნაწარმის ხარისხი გააუმჯობესონ. თუმცა ღია ბაზარი და მეტი არჩევანი აგრეთვე ნიშნავს მომხმარებლის ნაკლებ ინფორმირებულობას თითოეული ტიპის პროდუქციის მახასიათებლების თაობაზე, რაც მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის საშიშროებას ზრდის და აუცილებელს ხდის მომხმარებელთა დაცვის ინსტიტუციების ეფექტურ ამოქმედებას.

2.1 სტანდარტიზაცია-სერტიფიკაცია, ბაზრის ზედამხედველობა

ასოცირების ხელშეკრულების მე-4 კარის მე-3 თავი ეხება ე.წ. „ტექნიკური ბარიერებს ვაჭრობაში“, სტანდარტიზაციას, მეტროლოგიას, აკრედიტაციას და შესაბამისობის შეფასებას.

2.1.1 WTO მოთხოვნები

„ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში“ ნიშნავს პროდუქციის ამა თუ იმ მახასიათებლებისადმი წაყენებულ ტექნიკურ მოთხოვნებს, რომელთა განსხვავებულობა აფერხებს ვაჭრობას ამ ქვეყნებს შორის. უცხო ქვეყნის მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობა (და ამ შესაბამისობის მტკიცება) მეწარმისთვის ყოველთვის დამატებითი ხარჯია, რაც იმპორტულ საქონელს აძვირებს და მომხმარებლისთვის ნაკლებად მიმზიდველს ხდის. უფრო მეტიც, ასეთი „ტექნიკური“ მოთხოვნები შესაძლოა სწორედ ეროვნული ნაწარმის შეფარული პროტექციონიზმისთვის წესდებოდეს. ამგვარი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზანი აქვს WTO-ს საგანგებო

ტექნიკური რეგულაცია: შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტი, რომელიც ადგენს პროდუქციის მახასიათებლებს, ან მასთან დაკავშირებულ პროცესს ან საწარმოო მეთოდს (მ.შ. ადმინისტრაციულ მოთხოვნებს). იგი შეიძლება აგრეთვე ადგენდეს პროდუქციასთან, პროცესთან ან საწარმოო მეთოდთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, ან შესაბამის სიმბოლოებს, შეფუთვის, აღნიშვნას, მარკირებას, ეტიკეტირებას.
ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების თაობაზე შეთანხმების I დანართი, 1994 წ.

² General Agreement on Tariffs and Trade, 1994.

შეთანხმებას „ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების“ თაობაზე (TBT შეთანხმება)³. იგი ისწრაფვის ტექნიკური რეგულაციების მაქსიმალურ გამარტივებას და უნიფიცირებას. შეთანხმების მიხედვით სავალდებულო ტექნიკური მოთხოვნები უნდა დაწესდეს მხოლოდ ისეთი ლეგიტიმური მიზნებისთვის, როგორცაა:

- სახელმწიფო უსაფრთხოება;
- მომხმარებელთა შეცდომაში შემყვანი პრაქტიკის აღკვეთა;
- ადამიანთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ცხოველებისა და მცენარეების ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა.

ამ შემთხვევებშიც, დაწესებული ნორმა/მოთხოვნა უნდა იყოს საშიშროების პროპორციული, ანუ არ უნდა იმაზე მეტად შემზღუდავი (ვაჭრობისთვის), ვიდრე ეს მიზნის მისაღწევად აუცილებელია. და თუკი სხვა ქვეყანა იმავე მიზანს სხვა ნორმის/მოთხოვნის დასესების საშუალებით აღწევს, ეს ნორმები ექვივალენტურად უნდა ჩაითვალოს და შესაბამისი პროდუქციის იმპორტს ხელი არ უნდა შეეშალოს.

ტერნიკური მოთხოვნების მეტი უნიფიცირებისთვის შეთანხმება მოუწოდებს ქვეყნებს, რომ თავისი ტექნიკური რეგულაციების თუ ეროვნული სტანდარტების შემუშავებისას მათ საფუძვლად მაქსიმალურად გამოიყენონ საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული ნორმები (თუკი ისინი არსებობს). შეთანხმება განასხვავებს ტექნიკური ნორმების დამდგენ ორი ტიპის დოკუმენტებს - ტექნიკურ რეგულაციებს, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა ქვეყანაში მოქმედი ყველა ოპერატორისთვის, და სტანდარტებს, რომელთა შესრულება/დაცვა ზოგადად სავალდებულო არ არის, არამედ ნებაყოფლობითია. შეთანხმება ითხოვს, რომ შესასრულებლად სავალდებულო მოთხოვნები - რეგულაციები არ იყოს ზედმეტად დეტალიზებული. ისინი არ უნდა ადგენდეს ამა თუ იმ პროდუქციის დიზაინს, არამედ უნდა აწესებდეს მხოლოდ პროდუქციის მუშაობისა თუ გამოყენების პროცესის მახასიათებლებს. გარდა ამისა, ტექნიკურ რეგულაციებთან თუ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის პროცედურა უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი როგორც შიდა, ასევე გარე მეწარმეებისთვის. და ბოლოს, ყველა შემთხვევაში აუცილებელია გამჭვირვალობა - ქვეყანაში არსებული ვაჭრობის შემზღუდაველი ნორმების ან მათი შემუშავების თაობაზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სხვა წევრების წინასწარი ინფორმირება.

2.1.2 ევროკავშირის წესები

2.1.2.1 ახალი და ძველი მიდგომა სტანდარტიზაციისადმი

1985 წლიდან ტექნიკური რეგულაციებისადმი ევროკავშირში მოქმედებს ე.წ. „ახალი მიდგომა“, რომელიც სწორედ ზემოთ აღწერილი (და უფრო მოგვიანებით ჩამოყალიბებული) WTO-ს მიდგომის ანალოგიურია. იგი წარმოადგენს გამიჯვნას „ძველი მიდგომისგან“, რომლის მიხედვით 1970-1985 წლებში ევროპული თანამეგობრობა საერთო ბაზრის ფარგლებში ტექნიკური რეგულაციების უნიფიცირებას ცდილობდა. მიზანი აქაც იგივე იყო, რაც ზემოთ, WTO-ს შემთხვევაში აღვწერეთ - ტექნიკური ბარიერების აღმოფხვრა საერთო ბაზარზე - თუმცა ცხადია ამ შემთხვევაში იგულისხმებოდა მხოლოდ თანამეგობრობის შიდა ბაზარი. რეგულაციების უნიფიცირებისთვის „ძველი მიდგომა“ ითვალისწინებდა ყოველი პროდუქტისთვის ერთიანი ევროპული ტექნიკური მოთხოვნების შემუშავებას, რომლის

³ Agreement on Technical Barriers to Trade, TBT Agreement.

გამკაცრება (რეგულაციით დადგენილზე მეტის მოთხოვნა)⁴ ქვეყნებს აევრძალებოდათ. 1985 წლისთვის აშკარა გახდა, რომ ამ გეგმას შესრულება არ ეწერა - ქვეყნები თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდნენ ერთობლივ ტექნიკურ რეგულაციების დადგენას და მათში თავისი წარმოების თავისებურებების და თვითმყოფადობის, აგრეთვე ზოგადად პროდუქციის მრავალფეროვნების შეზღუდვას ხედავდნენ. არადა ასეთი რეგულაციების მიღება ევროპულ თანამეგობრობაში იმ პერიოდში მხოლოდ კონსენსუსის საშუალებით იყო დაშვებული, მისი მიღწევა კი ბევრ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

გამოსავალი ამ რთული მდგომარეობიდან ევროპული სასამართლოს რიგი გადაწყვეტილებების საშუალებით მოიძებნა. მათ ევროკომისიას გამოსავალი დაანახეს. აშკარა იყო რომ აუცილებელი იყო გამიჯნულიყო პროდუქციის „არსებითი“, საჯარო უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მახასიათებლები არაარსებითისგან. ერთიან რეგულირებაში მხოლოდ „არსებითი“ მახასიათებლები უნდა მოქცეულიყო. არაარსებითი მახასიათებლების უნიფიცირება კი არათუ საჭირო, საზიანოც იყო. ასე შეიქმნა ე.წ. „ახალი მიდგომა“ სტანდარტიზაციისადმი, რომელიც გულისხმობს თანამეგობრობის დონეზე პროდუქციის მხოლოდ ისეთი ტექნიკური მახასიათებლების რეგულირებას, რომელიც არსებითია პროდუქციის უსაფრთხოებისთვის (ადამიანთა ჯანმრთელობის, გარემოს ან სხვა თვალსაზრისით) და მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანის თავიდან აცილების ან სხვა მნიშვნელოვანი საჯარო ფუნქციისთვის. ყველა სხვა ტექნიკური მახასიათებელი დარჩა ერთიან რეგულირებას მიღმა და მეწარმის თავისუფალ არჩევანს დაექვემდებარა. დადგინდა პროდუქტის/მომსახურების სტანდარტის სამართლებრივი ფუნქციაც - ეს არის პროდუქტის/მომსახურების დეტალური ტექნიკური მახასიათებლების დამდგენი დოკუმენტები, რომელთა შესრულება მეწარმისთვის სავალდებულო ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მეწარმე ნებაყოფლობით განაცხადებს ამა თუ იმ სტანდარტის დაცვის თაობაზე. მეწარმეს შეუძლია არც ერთი სტანდარტი არ დაიცვას. თუმცა ყველა შემთხვევაში ვალდებულია დაიცვას ერთიანი ტექნიკური რეგულაციები.

ამდენად, „ახალი მიდგომის“ ფარგლებში სავალდებულო შესასრულებელ დოკუმენტებს წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკური რეგულაციები. მხოლოდ რეგულაციების მოთხოვნების დაცვით დამზადებული საქონელი შეიძლება მოხვდეს ბაზარზე. მეორეს მხრივ ყველა ის საქონელი, რომელიც ასეთ ახალ ტექნიკურ რეგულაციებს შეესაბამება, შეუფერხებლად უნდა იყოს დაშვებული საერთო ბაზარზე. სტანდარტის ფუნქცია კი არის მომხმარებლის

ევროპის სასამართლოს ეტაპობრივ გადაწყვეტილებად პროდუქციის ტექნიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებით მიიჩნევა 1979 წლის გადაწყვეტილება 120/78 საქმეზე. საქმე ეხებოდა 15%-ანი ფრანგული ლიქიორის დასახელებით Casis de Dijon დაშვებას გერმანიის ბაზარზე, სადაც 35% -ზე ნაკლები ალკოჰოლის შემცველი ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა იკრძალებოდა.

თავის გადაწყვეტილებაში ევროპის სასამართლომ მიუთითა, რომ თანამეგობრობის შიდა ბაზარზე პროდუქციის თავისუფალი გადაადგილების დაბრკოლება გამართლებული შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ემსახურება საზოგადოების მნიშვნელოვან საჭიროებებს, როგორცაა: ფისკალური ზედამხედველობა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა, კომერციული ტრანზაქციების სამართლიანობა და მომხმარებლის დაცვა. ვინაიდან არ ერთ ამ მოთხოვნას გერმანული წესი სასმელებში ალკოჰოლის შემცველობის ქვედა ზღვრის თაობაზე არ აკმაყოფილებდა, იგი ვაჭრობის გაუმართლებელ შეზღუდვად იქნა მიჩნეული.

⁴ იგულისხმება მოთხოვნის გამკაცრება იმპორტირებულ საქონელთან მიმართებაში.

ინფორმირება იმის თაობაზე, რომ გარდა რეგულაციით დადგენილი ზოგადი ნორმებისა⁵, პროდუქცია ხარისხის სხვა, დამატებით მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ამდენად, სტანდარტის დაცვა ნებაყოფლობითია და ხორციელდება ტექნიკურ რეგულაციაზე დამატებით. ცხადია მეწარმეები უპირატესობას ანიჭებენ ე.წ. ჰარმონიზებულ სტანდარტებს, რომელიც შესაბამისობაშია ევროკავშირის ტექნიკურ რეგულაციებთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი სტანდარტის დაცვა ავტომატურად უზრუნველყოფს რეგულაციის დაცვასაც. ჰარმონიზებული სტანდარტების ჩამონათვალს ევროკომისიას რეგულარულად აწვდიან სტანდარტიზაციის ორგანიზაციები და იგი ხელმისაწვდომია ევროკომისიის ვებ-გვერდზე მისამართზე <http://ec.europa.eu/growth/single-market/european-standards/harmonised-standards> . სურვილის შემთხვევაში მეწარმეს შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი სხვა სტანდარტი, ან არ გამოიყენოს არც ერთი.

2.1.2.2 პროდუქციის უსაფრთხოება

ტექნიკური რეგულაციები უზრუნველყოფს სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოებას ადამიანებისთვის, გარემოსთვის და სახელმწიფოს თვალსაზრისით, აგრეთვე მომხმარებელთა დაცვას შეცდომაში შეყვანისგან. პროდუქციის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები დადგენილია ევროკავშირის 2001/95/EC დირექტივით⁶. რიგი პროდუქციისთვის დამატებით დადგენილია უფრო კონკრეტული, დეტალიზებული მოთხოვნები. შესაბამისი რეგულაციების ჩამონათვალი მოყვანილია 1.1 ცხრილში. იმ პროდუქციისთვის, რომლისთვისაც ასეთი რეგულაციები დადგენილი არ არის, მოქმედებს ე.წ. „ურთიერთ აღიარების“ (mutual recognition) პრინციპი⁷: ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში კანონიერად წარმოებული პროდუქცია ევროკავშირის ყველა სხვა ქვეყნის ბაზარზე შეუფერხებლად უნდა იყოს დაშვებული. ფაქტიურად ეს ნიშნავს, რომ იმ სფეროებში, სადაც ერთიანი ევროპული რეგულაცია დადგენილი არ არის, მოქმედებს პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა და მის საფუძველზე მიღებული ეროვნული ნორმები. თუკი აღმოჩნდა შეუსაბამობა ორი სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ნორმებს შორის და არსებობს საკმარისი ობიექტური საფუძველი (საფრთხე მომხმარებლის ჯანმრთელობის ან უსაფრთხოებისთვის, ან პროდუქციის მიუღებლობა მორალური ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით) რომელიმე ქვეყანაში ამ პროდუქტის ბაზარზე არ-დაშვებისთვის, ამის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება დაიშვება მხოლოდ შესაბამისი ბიზნეს-ოპერატორის წერილობით ინფორმირებისა და მისთვის, საწინააღმდეგო არგუმენტების წარმოსადგენად, 20 სამუშაო დღის მიცემის შემდეგ. ასეთი გადაწყვეტილების თაობაზე ინფორმაცია მიეწოდება როგორც ევროკომისიას, ასევე იმ ქვეყნის ბაჟრის მაკონტროლებელ ორგანოებს, რომელშიც წარმოებულია პროდუქტი.

2.1.2.3 შესაბამისობის შეფასება

⁵ ე.წ. ჰარმონიზებული სტანდარტების შესრულება ავტომატურად იწვევს რეგულაციების შესრულებას.

⁶ DIRECTIVE 2001/95/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 3 December 2001 on general product safety.

⁷ პირველად ეს პრინციპი ჩამოაყალიბა ევროპის სასამართლომ 1979 წელს ე.წ. „კასის დე დიჟონის“ საქმეში. მისი გამოყენების დეტალურ წესებს ამჟამად 764/2008 რეგულაცია აგენს (Regulation (EC) 764/2008 of 9 July 2008 laying down procedures relating to the application of certain national technical rules to products lawfully marketed in another Member State).

პროდუქციის ბაზარზე მოხვედრამდე მის შესაბამისობას ამა თუ იმ ტექნიკური რეგულაციის თუ სტანდარტის მოთხოვნასთან ამოწმებს და აკონტროლებს პირველ რიგში თავად მწარმოებელი. იმის დასადასტურებლად, რომ პროდუქციის შესაბამისობა შესაბამის ტექნიკური რეგულაციის მოთხოვნებთან შემოწმდა და მწარმოებელი მასზე პასუხისმგებლობას იღებს, ნაწარმზე განთავსდება CE ნიშანი. როგორც ტექნიკური რეგულაციების, ასევე სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება მეწარმეს სხვადასხვა გზით შეუძლია: მას შეუძლია ეს შემოწმება განახორციელოს თავად, ან დაიქირავოს სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის კერძო პირი - შესაბამისობის შემფასებელი ორგანო.⁸ ორგანოები, რომელთა კვალიფიკაცია აღიარებულია შესაბამისი სახელმწიფო მაკონტროლებლის მიერ წარმოადგენენ ე.წ. ნოტიფიცირებულ⁹ ორგანოებს. ევროკავშირში ამჟამად 2500 ნოტიფიცირებული სასერტიფიკაციო ორგანო ფუნქციონირებს და მათი ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ევროკომისიის ვებ-გვერდზე მისამართზე <http://ec.europa.eu/enterprise/newapproach/nando>. პროდუქტზე მიეთითება იმ სასერტიფიკაციო ორგანოს აღნიშვნა, რომელიც აირჩია მეწარმემ ტექნიკურ რეგულაციასთან პროდუქტის შესაბამისობის მაკონტროლებლად. ოფიციალური ორგანოს მიერ პროდუქტის წინასწარი შემოწმება ან მწარმოებლის მიერ რაიმე ნებართვის აღება პროდუქციის ბაზარზე განთავსებისთვის საჭირო არ არის. თუმცა მწარმოებელი ვალდებულია უკვე ამ ეტაპზე გაამზადოს პროდუქციის შესაბამისობის დამადასტურებელი ან მამტკიცებელი მთელი დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ ეტაპზე, როცა პროდუქცია ბაზარზე უკვე განთავსებული იქნება, მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოებს.

შესაბამისობის შეფასების ორგანოების კვალიფიკაციისა და მიუკერძოებლობის აღიარების გზა არის მათი აკრედიტაცია. აკრედიტაცია მიიჩნევა არა-მომგებიან, საჯარო საქმიანობად და ამ სფეროში კონკურენცია იკრძალება¹⁰ (ვინაიდან კონკურენციამ შეიძლება მოიტანოს საქმიანობის კომერციალიზაცია, რაც ხარისხის/უსაფრთხოების ჯაჭვის საბოლოო/უმალესი შემმოწმებლის როლთან შეუთავსებელია). კომერციული ზეწოლის გამოსარიცხად ევროკავშირის თითოეულ ქვეყანაში მხოლოდ ერთი აკრედიტაციის ორგანო შეიძლება არსებობდეს და იგი სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად აღიარებული უნდა იყოს¹¹. აკრედიტაციის ორგანოებს არ აქვთ უფლება გაუწიონ კონკურენცია ერთმანეთს (ევროკავშირის ფარგლებში) ან რომელიმე აკრედიტებულ ორგანოს. აკრედიტაციის ყველა

⁸ პროდუქციის ზოგი ტექნიკური რეგულაცია ამ თავისუფლებას ზღუდავს და ითხოვს, რომ შესაბამისობის შეფასება მხოლოდ გარე, დამოუკიდებელი შემმოწმებლის - სასერტიფიკაციო ორგანოს საშუალებით განხორციელდეს.

⁹ ევროკავშირის ყველა ქვეყანა ვალდებულია ევროკომისიას მიაწოდოს ინფორმაცია (ნოტიფიკაცია) მასში არსებული შესაბამისობის შემფასებელი იმ ორგანოების თაობაზე, რომელსაც იგი აღიარებს/ენდობა (და რეგულარულად ამოწმებს). ორგანოებს, რომელთა თაობაზე ნოტიფიკაცია გაგზავნილია, ნოტიფიცირებული ორგანოები ეწოდება. ამ საკითხებს არეგულირებს 768/2008/EC გადაწყვეტილება (Decision No 768/2008/EC of the European Parliament and of the Council of 9 July 2008 on a common framework for the marketing of products).

¹⁰ აკრედიტაციის წესები დადგენილია 765/2008 რეგულაციით (Regulation (EC) No 765/2008 of the European Parliament and of the Council of 9 July 2008 setting out the requirements for accreditation and market surveillance relating to the marketing of products).

¹¹ ქვეყანას აგრეთვე შეუძლია უარი სთქვას აკრედიტაციის ორგანოს ქონაზე და ამ საკითხში ნდობა სხვა ქვეყნის აკრედიტაციის ორგანოს გამოუცხადოს.

ეროვნული ორგანო არის აკრედიტაციის ორგანოთა ევროპული ქსელის - აკრედიტაციის ევროპული კოოპერაციის (European co-operation for Accreditation, EA) წევრი, რომელიც უზრუნველყოფს მათ კოორდინაციას და ზედამხედველობას და უზრუნველყოფს მათი საქმიანობის ერთგვაროვნებას და მაღალ ხარისხს. ევროკავშირის ფარგლებში აკრედიტაციის რომელიმე ერთი ორგანოს მიერ გაცემულ აკრედიტაციის მოწმობა აღიარებულია ევროკავშირის ყველა სხვა ქვეყანაშიც.

ტექნიკურ მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის შეფასებისთვის 768/2008/EC გადაწყვეტილებით დადგენილია 8 მოდული, რომელთა შორის მეწარმე ირჩევს მისთვის მისაღებს (თუმცა ზოგიერთი პროდუქციის ტექნიკურ რეგლამენტებში არჩევანის თავისუფლება ამ მოდულების მხოლოდ ნაწილით არის შემოზღუდული). შესაბამისობის შეფასება შეიძლება იყოს ორეტაპიანი - პირველ ეტაპზე ფასდება ტიპიური მოდელის შესაბამისობა დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებთან, მეორე ეტაპზე კი - სერიულად წარმოებული ნაწარმის შესაბამისობა ამ ტიპიურ მოდელთან. შესაძლოა ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი იყოს შესაბამისობის შეფასების მოდულების ერთი ნაკრები მთლიანად პროდუქციისთვის და მეორე, დამატებითი მოდულების ნაკრები - უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტებისთვის (მაგალითად ლიფტის კარებების ჩამკეტი ან ვარდნის ან ზედმეტი სიჩქარისგან დამცავი მოწყობილობები).

ცხრილი 2: შესაბამისობის შეფასების მოდულები ([2] მიხედვით):

მოდულის აღნიშვნა	მოდულის დასახელება	ფაზა, რომელსაც ეხება		აღწერა	
		პროდუქციის დიზაინი/დაპროექტება	პროდუქციის წარმოება	მოდული	ქვემოდული
A	შიდა საწარმოო კონტროლი	X	X	შესაბამისობას უზრუნველყოფს თავად მეწარმე	
A1	A+ ნაწარმის შემოწმება	X	X		პროდუქციის ყოველი ერთეულის ცალკეული ასპექტები მოწმდება აკრედიტებული ორგანოს მიერ (საკუთარი ან გარე)
A2	A+ ნაწარმის შერჩევითი შემოწმებები	X	X		პროდუქცია შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოწმდება აკრედიტებული ორგანოს მიერ (საკუთარი ან გარე)
B	ტიპიური მოდელის EU-გამოცდა (EU-type examination)	X		სერტიფიკაციის ოფიციალური (ნოტიფიცირებული) ორგანო ამოწმებს ტიპიურ მოდელს (ტექნიკურ გადაწყვეტას) და გასცემს მოდელის/ტიპის შესაბამისობის სერტიფიკატს (EU-type examination certificate)	
C	ტიპიურ მოდელთან შესაბამისობა შიდა კონტროლის საშუალებით		X	მეწარმე თავად (შიდა საწარმოო კონტროლის საშუალებით) უზრუნველყოფს სერიულად წარმოებული ნაწარმის შესაბამისობას სერტიფიცირებულ ტიპიურ მოდელთან	

C1	C+ნაწარმის შემოწმება		X	პროდუქციის ყოველი ერთეულის ცალკეული ასპექტები მოწმდება აკრედიტებული ორგანოს მიერ (საკუთარი ან გარე)
C2	C+ნაწარმის შერჩევითი შემოწმებები		X	პროდუქცია შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოწმდება აკრედიტებული ორგანოს მიერ (საკუთარი ან გარე)
D	ტიპიურ მოდელთან შესაბამისობა წარმოების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის საშუალებით		X	სერიულად წარმოებული ნაწარმის შესაბამისობა სერტიფიცირებულ ტიპიურ მოდელთან უზრუნველყოფილია საწარმოო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვის გზით, რომელსაც ოფიციალური (ნოტიფიცირებული) ორგანო ამოწმებს.
D1	წარმოების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა	X	X	ინერგება საწარმოო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა (რომელსაც ამოწმებს ოფიციალური/ ნოტიფიცირებული ორგანო), რომლის მიზანია ნაწარმის შესაბამისობა მოქმედ ტექნიკურ მოთხოვნებთან (ტიპის შესაბამისობის გარეშე)
E	ტიპიურ მოდელთან შესაბამისობა საბოლოო პროდუქტის ხარისხის უზრუნველყოფის საშუალებით		X	სერიულად წარმოებული ნაწარმის შესაბამისობა სერტიფიცირებულ ტიპიურ მოდელთან უზრუნველყოფილია საბოლოო პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვის გზით, რომელსაც ოფიციალური (ნოტიფიცირებული) ორგანო ამოწმებს.
E1	საბოლოო პროდუქციის შემოწმებისა და კონტროლის ხარისხის უზრუნველყოფა	X	X	ინერგება საბოლოო ნაწარმის შემოწმებისა და კონტროლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა (რომელსაც ამოწმებს ოფიციალური/ ნოტიფიცირებული ორგანო), რომლის მიზანია ნაწარმის შესაბამისობა მოქმედ ტექნიკურ მოთხოვნებთან (ტიპის შესაბამისობის გარეშე)
F	ტიპიურ მოდელთან შესაბამისობა პროდუქციის შემოწმების (ვერიფიკაციის) საშუალებით		X	სერიულად წარმოებული ნაწარმის შესაბამისობა სერტიფიცირებულ ტიპიურ მოდელთან უზრუნველყოფილია საბოლოო პროდუქციის (სათითაოდ ან შერჩევით) შემოწმებებით ოფიციალური (ნოტიფიცირებული) ორგანოს მიერ
F1	პროდუქციის შემოწმება / ვერიფიკაცია	X	X	ნაწარმის შესაბამისობა დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებთან მოწმდება (სათითაოდ ან შერჩევით) ოფიციალური (ნოტიფიცირებული) ორგანოს მიერ
G	ერთეულის შემოწმება/ვერ	X	X	ოფიციალური (ნოტიფიცირებული) ორგანო ამოწმებს ყოველი გამოშვებული ერთეულის

	იფიკაცია			შესაბამისობას დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებთან
H	ხარისხის კონტროლის სრულფასოვანი სისტემა	X	X	ინერგება საწარმოო პროცესის და პროდუქცია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა (რომელსაც ამოწმებს ოფიციალური/ ნოტიფიცირებული ორგანო), რომლის მიზანია ნაწარმის შესაბამისობა მოქმედ ტექნიკურ მოთხოვნებთან (ტიპის შესაბამისობის გარეშე)
H1	H+ დიზაინის შემოწმება	X	X	ნოტიფიცირებული ორგანო აგრეთვე ამოწმებს პროდუქციის (მაგრამ არა ტიპიური მოდელის) დიზაინს და გასცემს დიზაინის შემოწმების სერტიფიკატს (EU design examination certificate)

2.1.2.4 პასუხისმგებლობა

ზოგადი წესით, ბაზარზე განთავსებული პროდუქტის შესაბამისობაზე მოქმედ ტექნიკურ რეგულაციებთან და აგრეთვე იმ სტანდარტთან, რომელიც პროდუქტზე მითითებულია (თუ ასეთი მითითება არსებობს) პასუხს აგებს პროდუქციის მწარმოებელი. თუკი მწარმოებელი არ არის რეგისტრირებული ევროკავშირში და არც წარმომადგენლობა გააჩნია იქ, მწარმოებლის პასუხისმგებლობები ეკისრება იმპორტიორს¹². პროდუქციის მომხმარებლისთვის მიწოდების ჯაჭვში მოქმედი სხვა ბიზნეს-ოპერატორები ვალდებული არიან თავისი ქმედებებით არ შეცვალონ (არ გააუარესონ) პროდუქციის მახასიათებლები - წინააღმდეგ შემთხვევაში მწარმოებლის პასუხისმგებლობა პროდუქციის ამ მახასიათებლებთან მიმართებაში მათ ეკისრებათ.

2.1.2.5 ბაზრის კონტროლი

ევროკავშირის ყველა ქვეყანა ვალდებულია აკონტროლოს, შეესაბამება თუ არა ბაზარზე განთავსებული პროდუქცია დადგენილ ტექნიკური რეგულაციებს. ამას აკონტროლებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები - ბაზრის მაკონტროლებელი ორგანოები. ტექნიკური რეგულაციების მოთხოვნებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში მწარმოებელი (იმპორტიორი) ჯარიმდება და პროდუქცია ამოიღება ბაზრიდან. ყველა ასეთი შემთხვევის თაობაზე ინფორმაცია მიეწოდება ევროკომისიას. თუკი აღმოჩენილი საფრთხე სერიოზულია და პროდუქცია იყიდება ევროკავშირის სხვა ქვეყნებშიც, ინფორმაცია მის თაობაზე ვრცელდება სწრაფი შეტყობინების სისტემის RASFF საშუალებით, რაც შესაძლებლობას აძლევს სხვა ქვეყნების მაკონტროლებელ ორგანოებს ოპერატიულად აღმოაჩინონ პროდუქტი თავის ბაზარზე და ამოიღონ იგი რეალიზაციიდან. RASFF შეტყობინებები ღიაა და ხელმისაწვდომია მისამართზე <http://ec.europa.eu/food/safety/rasff/portal>.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში არასასურსათო ბაზრის ზედამხედველობას ორი ნორმატიული აქტი არეგულირებს: პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა 2001/95/EC¹³ და აკრედიტაციისა და ბაზრის ზედამხედველობის რეგულაცია No 765/2008¹⁴. ამ

¹² ყველა იმპორტიორი ვალდებულია მის მიერ შემოტანილ პროდუქციაზე თავისი დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია მიუთითოს.

¹³ Directive 2001/95/EC of the European Parliament and of the Council of 3 December 2001 on general product safety.

ორ აქტის რეგულირების სფერო ოდნავ განსხვავდება: დირექტივა ითხოვს რომ ბაზრის ზედამხედველობის ორგანომ აკონტროლოს ბაზარზე განთავსებული მთელი (არასასურსათო) სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოება, ხოლო რეგულაცია ითხოვს იმ ობიექტების/პროდუქციის კონტროლს (მიუხედავად იმისა, ისინი სამომხმარებლო საქონელია თუ არა და ბაზარზე განთავსებულია თუ უკვე გამოყენებაშია), რომელიც ევროკავშირის ფარგლებში ჰარმონიზებული (ერთიანი) ტექნიკური რეგულაციებით რეგულირდება (იხ. ჩამონათვალი 1 ცხრილში) [3]. ამდენარ არსებობს ამ დოკუმენტების გადაფარვის სფეროები, ისევე როგორც სფერო, რომელსაც არც ერთი მათგანი არ ფარავს (არა-ჰარმონიზებული არა-სამომხმარებლო პროდუქცია) . დეტალურ იხ. ცხრილში

ცხრილი: მოქმედების სფეროების განაწილება 2001/95/EC დირექტივასა და 765/2008 რეგულაციას შორის

პროდუქცია	სამომხმარებლო	არა-სამომხმარებლო
ჰარმონიზებული	765/2008 რეგულაცია 2001/95/EC დირექტივა	765/2008 რეგულაცია
არა-ჰარმონიზებული	2001/95/EC დირექტივა	არ არის რეგულირებული (ევროკავშირის დონეზე)

ამჟამად მიმდინარეობს ევროკავშირის ბაზრის ზედამხედველობის სისტემის გადახედვა მისი მეტი სიმარტივის, ერთგვაროვნების და თანმიმდევრულობის მისაღწევად.

2.1.2.6 პასუხისმგებლობა ზიანისთვის (Liability)

როგორც აღვნიშნეთ, მწარმოებელი ვალდებულია ბაზარზე დაუშვას მხოლოდ უსაფრთხო პროდუქტი. თუმცა გასაგებია, რომ წუნის/დეფექტის („ბრაკის“) ბაზარზე მოხვედრის სრულებით გამორიცხვა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში მომხმარებლის ინტერესებს იცავს 85/374/EEC დირექტივა¹⁵, რომლის მიხედვით ასეთი დეფექტური (ან უბრალოდ რეგულაციების შეუსაბამო) პროდუქტით მომხმარებლისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება როგორც წესი მწარმოებელს (თუ ასეთი არ არის - იმპორტიორს) ეკისრება¹⁶.

2.1.3 DCFTA მოთხოვნები

ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების 45-ე მუხლის მიხედვით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის „შეთანხმება ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების თაობაზე“ ასოცირების ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად განიხილება და მისი მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა. ამ მოთხოვნების შესრულების საშუალებად კი ასოცირების

¹⁴ Regulation (EC) No 765/2008 of the European Parliament and of the Council of 9 July 2008 setting out the requirements for accreditation and market surveillance relating to the marketing of products.

¹⁵ Council Directive 85/374/EEC of 25 July 1985 on the approximation of the laws, regulations and administrative provisions of the Member States concerning liability for defective products.

¹⁶ მომხმარებლისთვის ზიანის ანაზღაურების შემდგომ მწარმოებელს თავის მხრივ, რეგრესის წესით, შეუძლია ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს პროდუქციის მომხმარებლისთვის მიწოდების ხაზის სხვა მოთამაშეს, თუკი რეალურად დეფექტი ამ უკანასკნელის ბრალი იყო.

შეთანხმება ადგენს საქართველოს ვალდებულებას ეტაპობრივად მიუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირისას.

ვალდებულებები დაყოფილია ორ ნაწილად:

1. ევროკავშირის მიერ ამ სფეროს რეგულირების პრინციპების შესრულება, რაც გამოიხატება შემდეგი ძირითადი 6 ჰორიზონტალური აქტის ეტაპობრივად დანერგვაში (ვადები მითითებული არ არის):
 1. 768/2008/EC გადაწყვეტილება პროდუქციით ვაჭრობის ერთიანი ჩარჩოების თაობაზე¹⁷.
 2. 765/2008 რეგულაცია აკრედიტაციისა და ბაზრის ზედამხედველობის თაობაზე¹⁸.
 3. 2001/95/EC დირექტივა პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების თაობაზე¹⁹
 4. 80/181/EEC დირექტივა გაზომვის ერთეულების თაობაზე²⁰
 5. 1025/2012 რეგულაცია ევროპული სტანდარტიზაციის თაობაზე²¹
 6. 85/374/EEC დირექტივა დეფექტური პროდუქტით მიყენებული ზიანის თაობაზე²².
2. 22²³ კონკრეტული (ვერტიკალური) ტექნიკური რეგულაციის გადმოტანას საქართველოს კანონმდებლობაში („ახალი მიდგომის“ დღეს მოქმედი 33 ტექნიკური რეგულაციიდან²⁴) - იხ ცხრილი.

ცხრილი 1.1: ევროკავშირის „ახალი მიდგომის“ ტექნიკური რეგულაციები და ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით საქართველოში მათი გადმოტანის ვადები

¹⁷ Decision 768/2008/EC of the European Parliament and of the Council of 9 July 2008 on a common framework for the marketing of products.

¹⁸ Regulation (EC) No 765/2008 of the European Parliament and of the Council of 9 July 2008 setting out the requirements for accreditation and market surveillance relating to the marketing of products.

¹⁹ Directive 2001/95/EC of the European Parliament and of the Council of 3 December 2001 on general product safety.

²⁰ Council Directive 80/181/EEC of 20 December 1979 on the approximation of the laws of the Member States relating to units of measurement.

²¹ Regulation (EU) No 1025/2012 of the European Parliament and of the Council on European standardisation of 25 October 2012.

²² Council Directive 85/374/EEC of 25 July 1985 on the approximation of the laws, regulations and administrative provisions of the Member States concerning liability for defective products.

²³ აქედან ერთი გათვალისწინებულია ენერგეტიკის თავში, XXV დანართში

²⁴ ევროკავშირის მიერ „ახალი მიდგომის“ ფარგლებში მიღებული ტექნიკური რეგულაციების ჩამონათვალი იხ. <http://www.newapproach.org/Directives/DirectiveList.asp> . თითოეული მიმართულებით მოქმედი წესების სრული პაკეტის გასაცნობათ მოსახერხებელია ბმული http://ec.europa.eu/enterprise/policies/single-market-goods/cemarking/professionals/manufacturers/directives/index_en.htm

დირექტივის / რეგულაციის ნომერი	საკითხი, რომელსაც არეგულირებს	გადმოტანის ვადა	შესაბამისი ქართული აქტი	ძალაში შესვლა
2000/9/EC	ადამიანების გადასაცვანად განკუთვნილი საბაგირო მოწყობილობები	2011	15.08.2011 № 320	2012
95/16/EC	ლიფტების უსაფრთხოება	2011	20.07.2011 № 289	2012
92/42/EEC	საქვაზე დანადგარის ენერგო-ეფექტურობის მოთხოვნები	2013	7.06.2013 №149	2017
97/23/EC	წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები	2013	9.06.2013 №151	2017
2009/105/EC	წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭელი	2013	9.06.2013 №150	2017
94/25/EC	სარეკრეაციო მოწყობილობები	2013	31.12.2013 №452	2017
94/9/EC	ფეთქებად ატმოსფეროში გამოსაყენებელი მოწყობილობები (ATEX)	01.09.2018		
1999/5/EC	რადიოტექნიკის მოწყობილობები და ტელეკომუნიკაციების ტერმინალის მოწყობილობები (RTTE)	01.09.2018		
93/15/EEC	სამოქალაქო დანიშნულების ფეთქებადი მასალები	01.09.2019		
2009/142/EC	აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები (GAD)	01.09.2019		
2006/42/EC	მოწყობილობა/მექანიზმები (MD)	01.09.2019		
93/42/EEC	სამედიცინო მოწყობილობები (MDD)	01.09.2019		
90/385/EEC	აქტიურად იმპლანტირებადი სამედიცინო მოწყობილობები	01.09.2019		
98/79/EC	ინ-ვიტრო დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობები	01.09.2019		
89/686/EEC	პერსონალური დაცვის აღჭურვილობა (PPE)	01.09.2019		
2009/48/EC	სათამაშოების უსაფრთხოება	01.09.2019		
(EU) 305/2011	სამშენებლო მასალები (CPR)	01.09.2022		
2004/108/EC	ელექტრომაგნიტური თავსებადობა (EMC)	01.09.2022		
2006/95/EC	დაბალი ძაბვა (LVD)	01.09.2022		
2004/22/EC	გამზომი ინსტრუმენტები (MID)	01.09.2022		
2009/23/EC	არავტომატური საწონი ინსტრუმენტები (NAWI)	01.09.2022		
2010/30/EU	Ecodesign and energy labelling	Approximation timeline to be clarified (within the Annex on Energy, XXV)		
(EC) 223/2009	Cosmetics	არ არის გათვალისწინებული		
2007/23/EC	Pyrotechnic articles	არ არის გათვალისწინებული		
(EC) 907/2006	Chemical substances (REACH)	არ არის გათვალისწინებული		
2001/83/EC	medicinal products for human use	არ არის გათვალისწინებული		
2001/82/EC	veterinary medicinal products	01.01.2019 (გათვალისწინებულია SPS ნაწილში)		

2011/65/EU	Restriction of the use of certain hazardous substances (RoHS)	არ არის გათვალისწინებული		
2009/128/EC	Inspection of pesticide application equipment	არ არის გათვალისწინებული		
89/106/EEC	Construction products (CPD)	არ არის გათვალისწინებული		
2009/125/EC	Ecodesign and energy labelling	არ არის გათვალისწინებული		
(EC) 221/2009	Eco-management and audit scheme (EMAS)	არ არის გათვალისწინებული		
(EC) 765/2008	New legislative framework (NLF)	არ არის გათვალისწინებული		
94/62/EC	Packaging and packaging waste	არ არის გათვალისწინებული		
2008/57/EC	Rail system: interoperability	არ არის გათვალისწინებული		

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ჰორიზონტალური აქტებისგან განსხვავებით 2001/95/EC დირექტივა პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების თაობაზე ასოცირების ხელშეკრულებაში მოხსენიებულია ორჯერ - ერთხელ მისი გადმოტანის ვადების მითითების გარეშე, მეორეჯერ კი - კონკრეტული ვადის მითითებით. კერძოდ, ასოცირების ხელშეკრულების VII კარის მე-13 თავის 347-ე მუხლი ავალდებულებს საქართველოს განახორციელოს ხელშეკრულების XXIX დანართში მითითებული ნორმატიული აქტების გადმოტანა ქართულ კანონმდებლობაში, ამავე დანართში მითითებულ ვადებში. XXIX დანართში კი მითითებულია, რომ საქართველოში 2001/95/EC დირექტივის განხორციელება უნდა მოხდეს ხელშეკრულების (შესაბამისი ნაწილის) ძალაში შესვლისთანავე, რაც 2014 წლის 1 სექტემბერს ნიშნავს.

2.1.4 საქართველოში არსებული მდგომარეობა

სტანდარტიზაციისადმი „ახალი მიდგომის“ ძირითადი პრინციპები საქართველოს კანონმდებლობაში გადმოტანილია საქართველოს 2012 წლის კანონით „პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“. კანონი შეიცავს ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული 6 ჰორიზონტალური აქტით დადგენილი ნორმების დიდ ნაწილს - გარდა პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების 2001/95/EC დირექტივით დადგენილი ველდებულებისა, რომ არსებობდეს ბაზრის მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც ბაზარზე განთავსებული მთელი (არასასურსათო) სამომხმარებლო საქონლის უსაფრთხოებას გააკონტროლებს. მიუხედავად იმისა, რომ ასოცირების ხელშეკრულების 347-ე მუხლის მიხედვით 2001/95/EC დირექტივა საქართველოში სრულად უნდა იყოს განხორციელებული ხელშეკრულების (შესაბამისი ნაწილის) ძალაში შესვლისთანავე, დირექტივის ეს მოთხოვნა დღემდე განხორციელებული არ არის და არც მისი ახლო მომავალში განხორციელების საშუალება ან გეგმა ჩანს.

რაც შეეხება ვერტიკალურ კანონმდებლობას, აპროქსიმაციისთვის გათვალისწინებული 22 რეგულაციიდან 6 რეგულაცია საქართველოს კანონმდებლობაში გადმოტანილი იქნა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე. შესაბამისი მთავრობის დადგენილების რეკვიზიტები იხ. ზემოთ ცხრილში. არსებული კანონმდებლობით მათი შესრულების კონტროლი ევალება ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს. ცხრილში მოცემულია სააგენტოს მიერ სხვადასხვა სასიში ობიექტების გეგმური ინსპექტირების სიხშირე.

ცხრილი 4: ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ სხვადასხვა სასიში ობიექტების გეგმური ინსპექტირების სიხშირე.

ობიექტი	გეგმური ინსპექტირების სიხშირე
მცირე ჰიდროენერგეტიკული ნაგებობები	ყოველ მე-5 წელს
საქვაზე დანადგარი	ყოველ მე-4 წელს
წნევაზე მომუშავე ჭურჭელი	
ნაგავსაყრელი	
ლიფტი	ყოველ მე-3 წელს
ბუნებრივი გამოქვაბული და მღვიმე, სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზებული დაშვება,	
ესკალატორი	
ამწე მოწყობილობა	
დიდი ჰიდროენერგეტიკული ნაგებობები;	ყოველ მე-2 წელს
მაგისტრალური გაზსადენი და ნავთობსადენი	
კარიერი	
ფუნქულიორი, საბაგირო გზა	
ატრაქციონი	
ჟანგბადის წარმოება და ჩაჭირხვნა	ყოველ წელს
ავტოგასამართი, აირგასამართი და აირსავსები სადგურები,	
ნავთობბაზა	
ამიაკზე მომუშავე სამაცივრო სამეწარმეო დანადგარი	
შახტი	ყოველ მე-6 თვეს
მალარო	

2.1.5 მოსალოდნელი ცვლილებები

ამოქმედდება ბაზრის ზედამხედველობის ინსტიტუციები და პროცედურები და დაიწყება პროდუქციის უსაფრთხოების მოთხოვნების რეალური იმპლემენტაცია.

2.2 SPS/Food safety²⁵

2.2.1 მსოფლიო საფაქრო ორგანიზაციის მოთხოვნები

საერთაშორისო ვაჭრობა საერთაშორისოდ აღიარებული სხვადასხვა წესებით რეგულირდება. მათ შორისაა საერთაშორისო სახელმწიკრულებო სამართალი, გადაზიდვებისა და დაზღვევის მარეგულირებელი ნორმები, საერთაშორისო ფინანსური ტრანსაქციების რეგულირება, საერთაშორისო ზღვების/ოკეანების და საჰაერო სივრცის გამოყენების

²⁵ გამოყენებულია ავტორის პუბლიკაცია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს-საბჭოსთვის: „ასოციირების შეთანხმების მოთხოვნები სურსათის უვნებლობისადმი საქართველოში“ (იხ. <http://eugbc.net/wp-content/uploads/2015/03/SPS-for-web-final.pdf>).

მარეგულირებელი ნორმები და სხვა. თუმცა საერთაშორისო ვაჭრობას, გარდა გეოგრაფიული ბარიერებისა, ქვეყნების მიერ ხელოვნურად შექმნილი ბარიერების - საბაჟო ბარიერების (გადასახადების, კვოტების) გადალახვაც უწევს, რომელიც, ხშირად ქვეყნის შიდა წარმოების დაცვას ემსახურება (ე.წ. „პროტექციონისტურ“ ღონისძიებებს წარმოადგენს). ამ ბარიერების შერბილებას ემსახურება „გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობის შესახებ“²⁶ (შემდგომში GATT), რომელიც 1947 წელს დაიდო²⁷ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ 23 ქვეყანას შორის. საერთაშორისო მოლაპარაკებები საბაჟო ბარიერების შესარბილებლად ამის შემდგომაც გაგრძელდა და გაფართოვდა. ყველაზე წარმატებული იყო სავაჭრო საკითხებზე საერთაშორისო მოლაპარაკებათა ე.წ. „ურუგვაის რაუნდი“ (1986-1994 წწ), რომლის შედეგად შეიქმნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია²⁸ და დაიდო და განახლდა 60-მდე ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ვაჭრობის ლიბერალიზაციის საკითხებს არა მხოლოდ სამრეწველო, არამედ სასოფლო-სამეურნეო სფეროშიც. WTO-ს ხელშეკრულებები ვრცელდება არა მხოლოდ საქონელზე, არამედ მომსახურებაზე და ინტელექტუალურ საკუთრებაზე და მოიცავს არა მხოლოდ სატარიფო ბარიერებს, არამედ აგრეთვე ე.წ. „არასატარიფო“ ღონისძიებებს (სტრანდარტები, სერტიფიკატები და სხვა მოთხოვნები პროდუქციისადმი), რომელიც აგრეთვე შეიძლება აფერხებდეს საერთაშორისო ვაჭრობას. დღეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაერთიანებულია მსოფლიოს 160 ქვეყანა, კიდევ 24 კი - დამკვირვებელია, რომელიც ამ ორგანიზაციასთან მიერთებას აპირებს²⁹.

როგორც ევროკავშირი, ასევე საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები არიან³⁰ და შესაბამისად, ვალდებული არიან მისი მოთხოვნები დაიცვან. ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც ორგანიზაცია თავის წევრებს უყენებს, ვაჭრობისას დისკრიმინაციის აკრძალვაში მდგომარეობს. ეს მოთხოვნა ორი ნაწილისგან შედგება:

1. „მოეპყარი უცხოურს ისევე როგორც ადგილობრივს“³¹: რეგულირების რეჟიმი ადგილობრივად წარმოებულ და იმპორტული საქონლისთვის³² ერთნაირი უნდა იყოს³³.

²⁶ General Agreement on Tariffs and Trade (GATT). ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1947 წლის 30 ოქტომბერს.

²⁷ შეთანხმებას ხელი მოეწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1947 წლის კონფერენციაზე, რომელიც ვაჭრობის და დასაქმების საკითხებისადმი იყო მიძღვნილი.

²⁸ World Trade Organization (WTO). შეიქმნა 1995 წელს. მისი ვებ-გვერდია www.wto.org.

²⁹ დღესდღეობით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში არც წევრის და არც დამკვირვებლის სტატუსი არ გააჩნია თხუთმეტი ქვეყანას. ესენია: ახალი კალედონია, გრენლანდია, ერთიერეა, თურქმენეთი, პუერტო-რიკო, სამხრეთ სუდანი, სომალი, ფანკლანდის კუნძულები, ფრანგული გუიანა, ჩრდილო კორეა და რამოდენიმე მცირე კუნძულოვანი სახელმწიფო.

³⁰ ევროკავშირი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრია. საქართველო ამ ორგანიზაციაში 2000 წლის 14 ივნისს გაწევრიანდა.

³¹ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ტერმინოლოგიით ამ მოთხოვნას ეწოდება National treatment.

³² მოთხოვნა აგრეთვე ვრცელდება მომსახურებასა და ინტელექტუალურ საკუთრებაზე.

2. „ყველა უცხოელი თანაბარია“³⁴: დაუშვებელია დისკრიმინაცია სხვადასხვა ქვეყნებს შორის - თუკი რომელიმე ქვეყანას თუნდაც ერთი სხვა ქვეყნიდან საქონლის იმპორტისათვის ე.წ. „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი“ აქვს დადგენილი (მაგალითად განსაკუთრებით დაბალი საბაჟო ტარიფი), იგი ვალდებულია იგივე რეჟიმი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ყველა სხვა ქვეყანაზე გაავრცელოს.

ეს უკანასკნელი წესი, თუკი მკაცრად იქნება დაცული, ცხადია ცალკეულ ქვეყნებს შორის ვაჭრობის ხელშემწყობი ხელშეკრულებების დადებას შეუძლებელს ხდის. საბედნიეროდ ეს წესი მხოლოდ ზოგადი ჩარჩოა, რომლის ფარგლებში დაშვებულია გამონაკლისები. მათ შორის დაშვებულია³⁵ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ცალკეულ წევრებს შორის საბაჟო კავშირების ან თავისუფალი ვაჭრობის სივრცეების³⁶ შექმნა. თუმცა სავალდებულოა ორი პირობის დაცვა:

ა) ეს რეჟიმები არ უნდა აზიანებდეს მისი მონაწილე ქვეყნების ვაჭრობას სხვა ქვეყნებთან - მაგალითად ტარიფების გაზრდის³⁷ ან სხვა სავაჭრო ბარიერების შექმნის საშუალებით. თუ ეს პირობა ირღვევა, ამ მესამე ქვეყნებს შეუძლიათ მოითხოვონ (დამრღვევი ქვეყნისგან) კომპენსაცია;

ბ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს რეჟიმების გამჭვირვალობა. ამისთვის ამ რეჟიმის შემოღების თაობაზე მისმა მონაწილე ქვეყნებმა დროულად უნდა აცნობონ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, რომელიც ამ ინფორმაციას მის ყველა წევრს მიაწვდის. 2006 წლიდან გამჭვირვალობის მექანიზმი კიდევ უფრო გაუმჯობესდა - ინფორმაცია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების / საბაჟო კავშირების თაობაზე თავსდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ვებ-გვერდზე არსებულ ღია მონაცემთა ბაზაში მისამართზე http://www.wto.org/english/tratop_e/region_e/region_e.htm .

ევროკავშირსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება სწორედ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დადგენილ ამ ფარგლებშია დადებული. ანუ მისი მთავარი მიზანი საბაჟო ბარიერების აღმოფხვრაში მდგომარეობს, და ამავე დროს იგი არ აზიანებს მესამე ქვეყნების ინტერესებს და იცავს გამჭვირვალობის მოთხოვნებს.

³³ იგულისხმება რეგულირება უცხოური საქონლის ადგილობრივ ბაზარზე მოხვედრის შემდგომ. შესაბამისად, ეს წესი საბაჟო გადასახადზე არ ვრცელდება.

³⁴ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ტერმინოლოგიით ამ მოთხოვნას ჰქვია Most-favoured-nation (MFN) treatment.

³⁵ GATT, 24-ე მუხლი.

³⁶ GATT მიხედვით „საბაჟო კავშირი“ და „თავისუფალი ვაჭრობის სივრცე“ ნიშნავს მის წევრებს შორის საბაჟო გადასახადების არსებითად აღმოფხვრას. განსხვავება თავისუფალ სავაჭრო სივრცესა და საბაჟო კავშირს შორის ამ სივრცის/კავშირის გარე ქვეყნებთან დამოკიდებულებაში მდგომარეობს. საბაჟო კავშირის ყველა ქვეყანას ერთიანი საბაჟო პოლიტიკა აქვს გარე ქვეყნებისადმი, თავისუფალი ვაჭრობის სივრცეში შემავალ ქვეყნებს კი - სხვადასხვა.

³⁷ საბაჟო კავშირის შემთხვევაში მესამე ქვეყნებისათვის უცვლელი უნდა დარჩეს შეწონილი საშუალო საბაჟო ტარიფი და საბაჟო გადასახდელები.

თუმცა ასოცირების შეთანხმების მე-4 კარით დადგენილი ურთიერთობები არ არის უბრალოდ შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის სივრცის, ანუ მის ფარგლებში საბაჟო ტარიფების შემცირება/აღმოფხვრის თაობაზე. ეს შეთანხმება გაცილებით ფართოა და ბევრ სხვა საკითხს მოიცავს. იგი ე.წ. „ღრმა და ყოვლისმომცველ“³⁸ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებს განეკუთვნება. ეს ტერმინი ევროკავშირის დოკუმენტებში 2006 წლიდან ჩნდება, როცა ევროკომისიამ ევროკავშირის საბჭოსა და პარლამენტს ევროკავშირის სამხრეთ და აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებთან სამეზობლო პოლიტიკის გაღრმავების მიმართულებები შესთავაზა³⁹. „სიღრმეში“ აქ იგულისხმება არა მხოლოდ სატარიფო, არამედ აგრეთვე არასატარიფო ბარიერების⁴⁰ აღმოფხვრა, ხოლო „ყოვლისმომცველობა“ ნიშნავს, რომ შეთანხმებით დარეგულირებული საკითხები სცდება წმინდა სავაჭრო სფეროს და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა საჯარო შესყიდვები, თავისუფალი კონკურენცია, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა, მდგრადი განვითარება და სხვა

2.2.2 სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მოწოდებულია საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების მიზნით შეარბილოს და აღმოფხვრას ქვეყნებს შორის ვაჭრობისათვის არსებული ბარიერები. ეს მოიცავს არა მხოლოდ საბაჟო გადასახადებს (ე.წ. სატარიფო ბარიერებს), არამედ ერთსა და იმავე საქონლისათვის სხვადასხვა ქვეყნებში დაწესებულ განსხვავებულ ტექნიკურ მოთხოვნებს (ე.წ. არასატარიფო ბარიერებს). სურსათის სფეროში ასეთ ზომებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მოიხსენიებს როგორც სანიტარულ და ფიტოსანიტარული ზომებს. WTO-ს ფარგლებში ამ ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით ცალკე შეთანხმებაა დადებული⁴¹ (შემდგომში SPS შეთანხმება).

SPS შეთანხმების თანახმად სანიტარული/ფიტოსანიტარული ზომები ნიშნავს ყველა ნორმატიულ აქტს, დებულებას, დადგენილ ნორმას, პროცედურას, მოთხოვნას წარმოების პროცესისადმი, შემოწმებისა და ინსპექტირების, სერტიფიცირების, აღიარების პროცედურებს, საკარანტინო ზომებს, მოთხოვნებს ცხოველების ან მცენარეების ტრანსპორტირებისადმი, რისკების შეფასების, სინჯების აღების, სტატისტიკური ანალიზის მეთოდებს, შეფუთვისა და ეტიკეტირების წესებს (თუ ეს უვნებლობასთან კავშირშია), რომელსაც ქვეყანა ატარებს მის ტერიტორიაზე:

³⁸ ასოცირების შეთანხმების ოფიციალურ ტექსტში მისი სავაჭრო ნაწილის დახასიათება როგორც „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე“ (Deep and Comprehensive Free Trade Area) მოცემულია შეთანხმების პრეამბულასა და მიზნებში, მაგრამ არა თავად ამ თავის დასახელებაში.

³⁹ იგულისხმება ევროკომისიის 2006 წლის კომუნიკე: Communication from the Commission to the Council and the European Parliament on Strengthening the European Neighbourhood Policy, COM(2006)726 final, Brussels, 4 December 2006;

⁴⁰ იგულისხმება სავალდებულო ტექნიკური მოთხოვნები პროდუქციისადმი. უფრო დეტალურად არასატარიფო ბარიერების განმარტება და აღწერა იხ. ამ სერიის წინა პუბლიკაციაში.

⁴¹ „შეთანხმება სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გამოყენების თაობაზე“, Agreement on the Application of Sanitary and Phytosanitary Measures.

- a) ცხოველებისა და მცენარეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისთვის მავნებლებისაგან, დაავადებათა გადამტანი ან გამომწვევი ორგანიზმებისგან;
- b) ადამიანთა და ცხოველების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისთვის იმ რისკებისგან, რაც დაკავშირებულია საკვების დანამატებთან, დამზინებლებთან, ან საკვებში არსებულ ტოქსინებთან და დაავადებათა გამომწვევ ორგანიზმებთან;
- c) ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად იმ რისკებისგან, რაც დაკავშირებულია დაავადებებთან, რომელიც ცხოველებს, მცენარეებს ან მათგან დამზადებულ პროდუქტებს გადააქვს, ან დაავადებათა გამომწვევი ორგანიზმების ქვეყანაში შემოსვლასა და გავრცელებასთან;
- d) ქვეყანაში მავნებლების შემოსვლისა და გავრცელების წინააღმდეგ.

SPS შეთანხმება ეყრდნობა იმ უდავო დებულებას, რომ ვერავინ აუკრძალავს ქვეყანას დაადგინოს და გაატაროს ზომები თავისი მოსახლეობის, აგრეთვე მის ტერიტორიაზე არსებულ ცხოველებისა და მცენარეების ჯანმრთელობის დასაცავად. თუმცა ორი პირობით: შეთანხმება ითხოვს, რომ ამ მიზნით გატარებული ზომები 1) არ სცდებოდეს იმ ფარგლებს, რაც აუცილებელია ადამიანების/ცხოველების/მცენარეების ჯანმრთელობის დასაცავად და 2) რომ ისინი მეცნიერულ დასაბუთებას ეყრდნობოდეს.⁴²

ეს მოთხოვნები არც ისეთი ტრივიალურია, როგორც შეიძლება მოგვეჩვენოს.

პირველი სირთულე დაკავშირებულია სანიტარული/ფიტოსანიტარული ზომების აუცილებლობის (საჭიროების, საკმარისობის) დასაბუთებასთან. საქმე იმაშია, რომ ქვეყნები განსხვავდებიან თავიანთი მოსახლეობის (აგრეთვე ცხოველების/მცენარეების) ჯანმრთელობის დაცვის დონის მიხედვით. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ვერ დაავალდებულებს მათ რომ ეს დონე შეცვალონ - მეტად ან ნაკლებად იზრუნონ თავიანთი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. ეს არჩევანი მთლიანად საკუთრივ ქვეყნისაა და მასში ვერავინ ჩაერევა. თუმცა გასაგებია, რომ რაც ნაკლებად ზრუნავს ხელისუფლება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე⁴³, მით ნაკლებად არის ქვეყანაში სურსათის უვნებლობა უზრუნველყოფილი. შესაბამისად, ქვეყანას, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის უფრო მაღალი სტანდარტისკენ ისწრაფვის, სრული საფუძველი ექნება თავის ტერიტორიაზე ასეთი სურსათის იმპორტი შეზღუდოს.

გარდა ამისა, სოციალური, კულტურული თუ ისტორიული განსხვავებების გამო ერთი და იმავე მიზნის (სურსათის უვნებლობის ერთი და იგივე დონის) მისაღწევად სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა სანიტარულ/ფიტოსანიტარულ ზომებს მიმართავენ. როგორ უნდა დამტკიცდეს, რომ ეს ზომები ეკვივალენტურია? რომ მაგალითად ერთი

⁴² ამის პარალელურად ცხადია მოქმედებს ზემოთ მითითებული ძირითადი პრინციპები - რომ ერთნაირი მოთხოვნები იყოს წაყენებული ეროვნული და იმპორტირებული საქონლისთვის და არ ჰქონდეს ადგილი რომელიმე უცხო ქვეყნის ნაწარმის დისკრიმინაციას სხვებთან შედარებით.

⁴³ იგულისხმება სურსათის უარყოფითი ზემოქმედება ჯანმრთელობაზე.

ქვეყნის სახელმწიფო ინსპექტირება მეორეში შემოღებული კერძო სერტიფიცირების სისტემის ტოლფასია? იმისათვის, რომ ფორმალური განსხვავება სანიტარულ/ფიტოსანიტარულ ზომებს შორის არ გახდეს ქვეყნებს შორის ვაჭრობის შემაფერხებელი ფაქტორი, SPS შეთანხმებას შემოაქვს „საერთო მაჩვენებელი“, რომლითაც ეს სხვადასვა ზომები ერთმანეთს უნდა შედარდეს. ეს არის ამ ზომებით მიღწეული შედეგი - სურსათთან დაკავშირებული ამა თუ იმ დაავადების რისკის დონე (უხეშად რომ ვთქვათ - ადამიანის ან ცხოველების ან მცენარეების დაავადებათა/მავენებლების სიხშირე ან გავრცელებულობა) ქვეყანაში. SPS შეთანხმების ტერმინოლოგიით ამას ეწოდება „სანიტარიული/ფიტოსანიტარიული დაცვის სათანადო დონე“⁴⁴ (შემდგომში ALOP) - ანუ დაცვის ის დონე, რომელიც სანიტარიული ან ფიტოსანიტარიული ზომების დამწესებელ ქვეყანას მიაჩნია სათანადოდ მის ტერიტორიაზე ადამიანთა, ცხოველების ან მცენარეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად. სწორედ ამ მაჩვენებლის მიხედვით უნდა მოხდეს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული სანიტარული/ფიტოსანიტარული ზომების შედარება და თუ იგი ერთნაირი აღმოჩნდა, მაშინ ერთ ქვეყანაში წარმოებულ სურსათს მეორეში შესვლისას დაბრკოლება არ უნდა შეექმნას.

აქ უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი რამ: დაავადებების რისკი არასოდეს არის ნული. არ შეიძლება ქვეყანამ განაცხადოს, რომ მისთვის მისაღები სასურსათო რისკები ნულის ტოლია და ამ მიზეზით აკრძალოს სხვა ქვეყნებიდან სურსათის შემოტანა. ქვეყნის მიერ დადგენილი ALOP დონე უნდა იყოს მიღწევადი - ქვეყანას უნდა შეეძლოს იმის დემონსტრირება, რომ მისი საკუთარი სანიტარული/ფიტოსანიტარული ზომები რისკის ამ დაბალ დონეს უზრუნველყოფს.

გარდა ამისა, SPS შეთანხმება ითხოვს, რომ ნებისმიერი ALOP დონის მისაღწევად ქვეყნებმა შეარჩიონ ისეთი (ფიტო)სანიტარიული რეგულირების ზომები, რომელიც რაც შეიძლება ნაკლებად იქნება შემაფერხებელი ვაჭრობისთვის. ქვეყნის მიერ განხორციელებული ზომა ჩაითვლება ყველაზე ნაკლებად შემაფერხებლად ვაჭრობისთვის, თუკი არ არსებობს სხვა, ალტერნატიული ზომა, რომელიც ვაჭრობას ნაკლებად ზღუდავს და ამავე დროს, ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც მიუღებელი არ არის. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ იმპორტის ქვეყნის მიერ დაწესებული ამა თუ იმ შეზღუდვის გადასალახად ექსპორტიორ სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს ის ფაქტი, რომ არსებობს სხვა ზომა, რომელიც ნაკლები ზიანის მომტანია ეკონომიკურად ან საერთაშორისო ვაჭრობის თვალსაზრისით (და ამიტომ ექსპორტიორი ქვეყნისთვის უფრო მისაღებია), და ამავე დროს, იგი სურსათის უვნებლობის იმავე დონეს უზრუნველყოფს, რაც იმპორტის ქვეყანას დეკლარირებული აქვს. ამ საფუძვლით შეიძლება ექსპორტიორმა ქვეყანამ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავათა განხილვის ორგანოს წინაშე ვაჭრობის

⁴⁴ Appropriate level of sanitary or phytosanitary protection, ხშირად ლიტერატურაში მოიხსენიება მოკლედ - Appropriate level of protection. იგივეა რაც რისკის მისაღები დონე (Acceptable level of risk).

შემაფერხებელი ზომის სხვა, ნაკლებად შემაფერხებელი ზომით ჩანაცვლების საკითხი დააყენოს.

თუმცა უფრო ხშირია ქვეყნების მიერ გატარებული განსხვავებული სანიტარული/ფიტოსანიტარული ზომების შედარების აუცილებლობა. ამ პროცედურისთვის SPS შეთანხმება კონკრეტულ მოთხოვნებს ადგენს. კერძოდ, იმპორტიორი ვალდებულია ექსპორტიორი ქვეყნის მოთხოვნით დაიწყოს შედარების პროცედურა. ის შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციის მოთხოვნას, ან სურსათის უვნებლობის ინსპექტორების გაგზავნას ექსპორტიორ ქვეყანაში - ცხადია ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს ყველა ობიექტის, დოკუმენტის თუ ინფორმაციის სრული ხელმისაწვდომობა იმპორტიორი ქვეყნის წარმომადგენლებისთვის. ზომების შედარების ძირითადი კრიტერიუმი კი, როგორც აღვნიშნეთ, ამ ზომებით მიღწეული შედეგი - ამა თუ იმ დაავადების გავრცელების (რისკის) დონე უნდა იყოს.

SPS შეთანხმების მოთხოვნებთან დაკავშირებული მეორე სირთულე სანიტარული/ფიტოსანიტარული ზომების მეცნიერულად დასაბუთებულობის მოთხოვნაში მდგომარეობს. მოგეხსენებათ, მეცნიერული აზრის ერთსულოვნების მიღწევას ხშირად საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. რა ხდება, სანამ ის მიღწეული არ არის? ასეთ შემთხვევებში SPS შეთანხმება აძლევს ქვეყნებს უფლებას, შემოიღოს დროებითი სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, იმ პირობით, რომ იგი არ დაიშურებს მცდელობას დამატებითი სამეცნიერო მონაცემების მოსაპოვებლად, რისკის უფრო ზუსტად და ობიექტურად შეფასების მიზნით. ანუ, დროებითი ზომების გამართლებისათვის ქვეყანამ უნდა დაგეგმოს და ახორციელოს კვლევები მათი ადექვატურობის მეცნიერულად შემოწმებისათვის.

ცხადია უფრო იოლად არის საქმე, თუკი სანიტარულ/ფიტოსანიტარული ზომა, რომელსაც ქვეყანა იყენებს, საერთაშორისოდ აღიარებულია. ასეთი ზომები მეცნიერულად დასაბუთებულად მიიჩნევა და ქვეყანას პირდაპირ შეუძლია მათი გამოყენება. გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად SPS შეთანხმება კონკრეტულად უთითებს სამ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელთა მიერ დამტკიცებული სტანდარტები ან სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტები შეიძლება გამოყენებული იქნეს ქვეყნების მიერ სანიტარული/ფიტოსანიტარული ზომების დასაბუთებისათვის. ესენია:

- სურსათის უვნებლობის საკითხებში - კოდექს ალიმენტარიუსის კომისია⁴⁵;

⁴⁵ Codex Alimentarius Commission - ორგანო, რომელიც კურირებს გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UN Food and Agriculture Organization, FAO) და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (World Health Organization, WHO) მიერ 1961-1963 წწ-ში ჩამოყალიბებულ სურსათის სტანდარტების ერთობლივ პროგრამას. მისი ოფიციალური ვებ-გვერდია www.codexalimentarius.org.

- ცხოველთა ჯანმრთელობისა და ზოონოზური დაავადებების სფეროში - ეპიზოოტიების საერთაშორისო ოფისი⁴⁶ (2003 წლიდან ორგანიზაციას ჰქვია ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია⁴⁷);
- მცენარეთა დაცვის სფეროში - მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის⁴⁸ სამდივნო.

ისეთ სფეროებში, რომელზეც ამ სამი ორგანიზაციის კომპეტენცია არ ვრცელდება, დასაშვებია სხვა, შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული სტანდარტების, რეკომენდაციების ან სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენება.

ყველა შემთხვევაში ქვეყანა ვალდებულია გამოაქვეყნოს და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამდივნოს მიაწოდოს თავისი სანიტარული/ფიტოსანიტარული ზომების აღწერა. იმ შემთხვევაში, თუ ეს ზომები საერთაშორისო სტანდარტებისგან განსხვავებულია, ქვეყანა ვალდებულია WTO-ს წევრებს მის შესახებ ადრეულ სტადიაზე, მის მიღებამდე⁴⁹ აცნობოს (WTO-ს სამდივნოს საშუალებით) და მათი დაინტერესების შემთხვევაში აგრეთვე მიაწოდოს შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი, მისცეს საკმარისი დრო მის განსახილველად, მიიღოს მათგან შენიშვნები, განიხილოს და სათანადოდ გაითვალისწინოს ისინი.

2.2.3 რისკების შეფასება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ითხოვს, რომ ქვეყნებმა თავისი სანიტარული/ფიტოსანიტარული ზომები ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეების დაავადებათა რისკების შეფასებაზე დააფუძნონ. ვინაიდან ეს კონცეფცია სურსათის უვნებლობის ევროპული კანონმდებლობის საფუძველია, საქართველოსთვის კი იგი საკმაოდ უცხოა, ამიტომ მიზანშეწონილია ეს საკითხი დეტალურად გავარჩიოთ.

SPS შეთანხმების მიხედვით ადამიანების, ცხოველების და მცენარეების დაავადებათა რისკების შეფასებები ზემოთ მითითებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილი მეთოდით უნდა განხორციელდეს. სამივე ორგანიზაციის მიერ დადგენილი რისკის შეფასების მეთოდიკა მსგავსია იმ საკითხში, რომ დაავადების/მავნებლის რისკის შეფასება წარმოადგენს ყველა არსებული მონაცემებისა თუ ფაქტების ობიექტური განხილვისა და ანალიზის მეცნიერულ პროცესს. მისი მიზანია დადგინდეს, თუ რა არის დაავადების მიზეზი/გამომწვევი. რა გზით თუ საშუალებით ვრცელდება იგი, რამდენად იოლად და ფართოდ, რამდენად საშიშია (რა ზიანის მოტანა შეუძლია), რა საშუალებებით არის მისი გავრცელების

⁴⁶ International Office of Epizootics, OIE.

⁴⁷ World Organisation for Animal health, დასახელების შეცვლის მიუხედავად, ორგანიზაცია ინარჩუნებს ძველ აკრონიმს: OIE. შესაბამისად, მისი ინტერნეტ-მისამართია <http://www.oie.int/>


⁴⁸ International Plant Protection Convention.

⁴⁹ გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ამ ზომის სასწრაფოდ მიღებაა საჭირო. ასეთ შემთხვევაში დაშვებულია WTO წევრებისათვის შეტყობინების გაგზავნა არა წინასწარ, არამედ ზომის მიღებისთანავე.

შეზღუდვა ან აღმოფხვრა შესაძლებელი. არსებითია, რომ ეს შეფასებები გაკეთდეს მიუკერძოებლად, ობიექტურად და შედეგები ყველა დაინტერესებული მხარისათვის (მათ შორის საზოგადოებისთვის) ხელმისაწვდომი იყოს.

შემდგომ, ამ ობიექტური და მიუკერძოებელი შეფასების საფუძველზე, ქვეყანა ადგენს თავის სანიტარულ/ფიტოსანიტარულ ზომებს. ამ სტადიას ეწოდება რისკების მართვა. ის ეფუძნება რისკების შეფასებებისას მოპოვებულ ობიექტურ დასკვნებს და რეკომენდაციებს. მაგრამ ამა თუ იმ ზომის შერჩევა და დადგენა მხოლოდ მეცნიერების რჩევებზე ვერ იქნება დამოკიდებული. მართვისას მხედველობაში მიიღება სხვა გარემოებებიც - სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული. მათი გათვალისწინებით შეირჩევა ისეთი ზომა, რომელიც ამ კონკრეტულ ეტაპზე, ამ კონკრეტული ქვეყნისთვის მისაღებია.

რისკის გამოვლენის, შეფასების, მართვის და ამ რისკთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლისა და გავრცელების პროცესების ერთობლიობას რისკების ანალიზი ეწოდება. აქ მოგვყავს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის სქემა რისკის ანალიზისათვის. ორი სხვა ორგანიზაციის მიერ დადგენილი სქემები აქ მოყვანილისგან ოდნავ განსხვავდება: კოდექს-ალიმენტარიუსის მიხედვით ⁵⁰ საფრთხის გამოვლენა რისკის შეფასების ნაწილია. მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის საერთაშორისო სტანდარტის ⁵¹ მიხედვით კი რისკის კომუნიკაცია არ წარმოადგენს ცალკე სტადიას. თუმცა არსებით საკითხებში ყველა ეს სქემა ერთიანია: ყველა შემთხვევაში რისკის შეფასება, რისკის მართვისგან დამოუკიდებელი პროცესია და მისი შედეგი ღიაა.



სურ. 1: რისკის ანალიზის სქემა ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ხმელეთის ცხოველთა ჯანმრთელობის კოდექსის მიხედვით⁵².

წყარო: <http://www.oie.int>

⁵⁰ იგულისხმება კოდექს-ალიმენტარიუსის საპროცედურო სახელმძღვანელო (ftp://ftp.fao.org/codex/Publications/ProcManuals/Manual_22e.pdf) და სტანდარტები. მაგალითად: Working Principles for Risk Analysis for Food Safety for Application by Governments, CAC/GL 62, 2007, http://www.codexalimentarius.org/download/standards/10751/CXG_062e.pdf

⁵¹ იგულისხმება მცენარეთა მავნებლების მართვის სტანდარტი №2 (ISPM-2, Framework for Pest Risk Analysis, 2007) https://www.ippc.int/sites/default/files/documents/1323944382_ISPM_02_2007_En_2011-12-01_Refor.pdf

⁵² Terrestrial Animal Health Code, ხელმისაწვდომია მისამართზე <http://www.oie.int/en/international-standard-setting/terrestrial-code/access-online/>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, SPS-შეთანხმება ითხოვს, რომ რისკის მისაღები დონის მისაღწევად ამა თუ იმ სანიტარულ/ფიტოსანიტარული ზომის შერჩევასა და ქვეყნებმა გაითვალისწინონ ყველა დაკავშირებული ეკონომიკური ფაქტორი: ზიანი, რომელიც ამ დაავადებებისგან/მავნებლებისგან ეკონომიკას ადგება, ხარჯები, რომლის გაწევა იმპორტიორ ქვეყანას მოუწევს და რისკის შემზღვევადი სხვა, ალტერნატიული ზომების ხარჯების ეფექტურობა. კონკრეტული ზომის არჩევასა და ქვეყანა უნდა ეცადოს შეარჩოს ისეთი, რომელსაც ნაკლები უარყოფითი ზემოქმედება ექნება საერთაშორისო ვაჭრობაზე. აგრეთვე თავიდან აცილებული უნდა იყოს ისეთი ზომების დადგენა, რომელიც დისკრიმინაციური იქნება სხვადასხვა ქვეყნებთან მიმართებაში.

ყოველივე ზემოთქმული რომ შევაჯამოთ: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნაა, რომ ქვეყნებმა სურსათთან დაკავშირებული რისკები, მათი შემცირების თუ აღმოფხვრის ღონისძიებები ობიექტური, სამეცნიერო მონაცემების საფუძველზე დაადგინონ. მიუხედავად იმისა, რომ რისკის მისაღები დონის (იგივე ALOP დონის) დადგენაში ქვეყანა თავისუფალია, ეს დონე ვერ იქნება თეორიული. ის უნდა იყოს მიღწევადი და ერთიანი როგორც შიდა ბაზრის, ასევე ყველა ქვეყნიდან იმპორტის რეგულირებისათვის. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი ვაჭრობის ზონის ფარგლებში ქვეყნები იმპორტის ტარიფებს სურვილისამებრ ამცირებენ, იგივე ვერ მოხდება სანიტარულ/ფიტოსანიტარულ ზომებთან დაკავშირებით. კერძოდ, მათი არსებითი, რისკზე დაფუძნებული ნაწილი (ანუ რისკის მისაღები დონე და მასთან დაკავშირებული სურსათის უვნებლობის კრიტერიუმები) ვერ შერბილდება (ვინაიდან ასეთ შემთხვევაში გაიზრდება რისკები, რომელიც ადგება ქვეყნის მოსახლეობას ან ცხოველებს/მცენარეებს და ქვეყანას გაუჭირდება იმის დამტკიცება, რომ იგი მისივე დადგენილ რისკის დონეს აღწევს). შესაბამისად, თავისუფალი ვაჭრობის ზონაში (თუკი იგი WTO წესებს ემორჩილება) შესაძლებელია არა უვნებლობის ნორმების/კრიტერიუმების, არამედ მხოლოდ მათი უზრუნველყოფის (შემოწმების, კონტროლის, დამოწმების და ა.შ) პროცედურების შერბილება ქვეყნების ურთიერთობის გამო. ამიტომ არ უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება მოგვცემს საშუალებას ევროკავშირში ისეთი საქონელი შევიტანოთ, რომელიც ევროკავშირის მიერ დადგენილ უვნებლობის ნორმებს/კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს. თავისუფალი ვაჭრობის ფარგლებში გაიოლდება მხოლოდ წესები და პროცედურები, რომლითაც ეს უვნებლობა შემოწმდება (საქართველოს უვნებლობის სისტემისადმი ნდობის ზრდის პარალელურად) მაგრამ არა თავად ნორმები⁵³.

⁵³ ამ გარემოებას ხაზს ვუსვამთ იმ არასწორი მოლოდინების გამო, რომელიც სურსათის ქართველ მეწარმეებს რუსეთთან ვაჭრობის ბოლო ორი დეკადის გამოცდილების საფუძველზე შეიძლება შეექმნათ, როცა რუსეთის ეპიდემიოლოგიური სამსახური ერთსა და იმავე ქართულ ნაწარმს ხან მავნედ მიიჩნევდა და ხან უვნებლად - იმის მიხედვით, „გაცივდებოდა“ თუ „დათბებოდა“ ქვეყნებს შორის ურთიერთობები. ამდენად რუსეთში უვნებლობის შეფასების კრიტერიუმები აშკარად პოლიტიკასთან არის დაკავშირებული, რაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილ

2.2.4 სანიტარული/ფიტოსანიტარული ზომები ასოცირების შეთანხმებაში

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების მე-4 კარის (ანუ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების) მე-3 თავი სწორედ ზემოთ აღწერილ სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ზომებს ეთმობა.

სხვადასხვა ქვეყნების სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების ურთიერთ-ეკვივალენტურობის ზემოთ აღწერილი პროცედურა თეორიული თვალსაზრისით ცხადია გამართული და ლოგიკურია, მაგრამ სამწუხაროდ პრაქტიკული თვალსაზრისით ძალზე რთული განსახორციელებელია. მთავარი სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ამ მეთოდის განხორციელებისათვის აუცილებელია არსებობდეს საიმედო ინფორმაცია სურსათით გამოწვეული ამა თუ იმ დაავადების რისკის თაობაზე. პრაქტიკაში ასეთი ინფორმაცია ხშირად არ არსებობს ან არასაიმედოა. მითუმეტეს რთული მოსაპოვებელია ინფორმაცია დაავადებათა რისკებზე, ამა თუ იმ SPS-ღონისძიების ზემოქმედების თაობაზე.

ცხადია ეკვივალენტობის შეფასება უფრო იოლდება, თუ ქვეყნების მიერ დადგენილი SPS ზომები მსგავსია. ამ შემთხვევაში ეკვივალენტურობის შეფასება შეიძლება შემოიფარგლოს უფრო ფორმალური ნაწილით. დადგენილი ნორმების, მოთხოვნების, წესების და მათი კონტროლის თუ აღსრულების პროცედურების შედარებით (ანუ არა SPS ზომებით მიღწეული შედეგის, არამედ თავად ზომების ფორმალური შედარებით). ასეთი შედარება მით უფრო იოლია, რაც უფრო მსგავსია ორი ქვეყნის მიერ დადგენილი ზომები.

ფაქტიურად ასოცირების ხელშეკრულების SPS ნაწილი წარმოადგენს შეთანხმებას იმის თაობაზე, თუკერძოდ როგორ განახორციელებენ სავაჭრო ორგანიზაციის SPS-შეთანხმებით დადგენილ ურთიერთობის ფორმებს საქართველო და ევროკავშირი. კერძოდ, SPS-ზომების ეკვივალენტურობის შესაფასებლად ნაცვლად დაავადების რისკების შედარებისა, მოხდება კანონმდებლობის დაახლოება (უფრო სწორედ საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს აპროქსიმაცია/მიახლოება ევროპულ კანონმდებლობასთან) და მისი ადეკვატური განხორციელების/აღსრულების შემოწმება, რისი დაკმაყოფილების შემთხვევაშიც მხარეების SPS-ზომები ურთიერთშესაბამისად ჩაითვლება⁵⁴.

ამდენად, შეთანხმების მიხედვით, საქართველომ უნდა განახორციელოს თავისი სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების დამდგენი კანონმდებლობის აპროქსიმაცია (მიახლოება) ევროკავშირის კანონმდებლობასთან. დაკონკრეტებულია,

რისკების ობიექტურ შეფასების მოთხოვნასთან წინააღმდეგობაშია. ამის საპირისპიროდ ევროკავშირთან ვაჭრობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებს ემორჩილება, ამა თუ იმ სურსათის უვნებლობის შეფასება ობიექტურ კრიტერიუმებს ეყრდნობა და რომელიმე ქვეყანასთან ურთიერთობის „დათბობაზე“ დამოკიდებული არ არის.

⁵⁴ თუმცა დაავადებათა/მავნებლების გავრცელების დონე (ხელმისაწვდომი ინფორმაციის ფარგლებში) მაინც იქნება მხედველობაში მიღებული, მოქმედი ხომების ეფექტურობის თაობაზე დასკვნების გამოსატანად.

თუ რას ნიშნავს ეს: საქართველომ უნდა მიიღოს ახალი ან შეასწოროს არსებული ნორმატიული აქტები იმისთვის, რომ მათში აისახოს ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნები. საქართველოს კანონმდებლობის ყველა დებულება, რომელიც აპროქსიმირებულ კანონმდებლობას ეწინააღმდეგება, უნდა გაუქმდეს და უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ მიახლოებული (აპროქსიმებული) ნორმების ეფექტური აღსრულება.

ამ გზით საქართველოს კანონმდებლობაში გადმოტანილი უნდა იყოს ევროკავშირის კანონმდებლობის ყველა ნორმა, რომელიც ეხება სანიტარულ და ფიტოსანიტარულ საკითხებს, ცხოველთა კეთილდღეობას და სხვა მოთხოვნებს, რომელიც დადგენილია შემდეგ ობიექტებთან მიმართებაში:

- ცოცხალი ცხოველები (ხერხემლიანები, კიბოსნაირები, მოლუსკები და ფუტკარი);
- ცხოველური პროდუქტები და სუბპროდუქტები;
- მცენარეები და მცენარეული პროდუქტები, რომელთაც აქვთ მავნებლების გადატანის უნარი;
- შერეული პროდუქტები⁵⁵;
- სურსათის/ცხოველის საკვების დანამატები, არომატიზატორები, ფერმენტები; ცხოველთა საკვებში მოხვედრილი არასასურველი ნივთიერებები;
- გენმოდიფიცირებული ორგანიზმები; კლონები;
- ცხოველთა კეთილდღეობის ნორმები მათი მოშენების, ტრანსპორტირებისა და დაკვლისას;
- შესაფუთი მასალიდან სურსათში მოხვედრილი ნივთიერებები;
- ზრდისა და სხვა ჰორმონები, თირეოსტატიკები⁵⁶, ბეტა აგონისტები⁵⁷;
- სურსათის გასაუვნებელყოფი ქიმიკატები; მაიონიზებული რადიაცია.

ევროკავშირის ნორმატიული აქტების დეტალური ჩამონათვალს, რომელთა მიმართაც განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის აპროქსიმაცია, ამჟამად შეთანხმება არ შეიცავს - შესაბამისი დანართი XI-B უბრალოდ ცარიელია. შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ მისი ძალაში შესვლიდან 6 თვის განმავლობაში საქართველო ამ ჩამონათვალს მოამზადებს. ჩამონათვალი შესაძლოა დაიყოს პრიორიტეტულ სფეროებად/ჯგუფებად, რომელთა აპროქსიმაცია პირველ რიგში არის საჭირო ამა თუ იმ ტიპის სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად.

⁵⁵ შეთანხმებაში მითითებულია composite products, რაც ნიშნავს ისეთ პროდუქტებს, რომელიც შეიცავს როგორც ცხოველური, ასევე მცენარეული წარმოშობის კომპონენტებს (Commission Decision of 17 April 2007 concerning lists of animals and products to be subject to controls at border inspection posts under Council Directives 91/496/EEC and 97/78/EC - მიხედვით).

⁵⁶ ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონის წარმოების მარეგულირებელი პრეპარატები.

⁵⁷ კუნთოვანი ქსოვილის მომადუნებელი პრეპარატები. გამოიყენება ცხოველთა კვებაში კუნთოვანი ქსოვილის ზრდის სტიმულირებისთვის.

2.2.4.1 ზომების ეკვივალენტობის დადგენის პროცედურა

როგორც აღნიშნეთ, საქართველოდან ევროკავშირში სასურსათო პროდუქტების ექსპორტის პროცედურის გაიოლების წინაპირობაა ევროკავშირისა და საქართველოს სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების ეკვივალენტურობა. თუმცა აუცილებელი არ არის ევროკავშირის სანიტარული და ფიტოსანიტარული ყველა ზომა ერთბაშად იყოს საქართველოში განხორციელებული. შესაძლებელია მიახლოება განხორციელდეს ეტაპობრივად, ნაწილ-ნაწილ, ცალკეული ზომების ან ზომათა ჯგუფების, ან ცალკეული პროდუქტისთვის ან პროდუქტთა ტიპისთვის გათვალისწინებული სისტემების. შესაბამისად შესაძლებელია საქართველომ მოითხოვოს და მიიღოს ამ ცალკეული ზომების ეკვივალენტობის შეფასება. მისი წარმატებით გავლის შემთხვევაში გაიხსნება იმპორტის შესაძლებლობა იმ სასურსათო პროდუქტებისთვის, რომელიც ევროკავშირთან ეკვივალენტური სისტემით არის მოცული.

ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, თუ რომელი კონკრეტული სურსათისთვის ხდება ეკვივალენტურობის დადგენა, შემფასებელ მხარეს აუცილებლად წარედგინება ინფორმაცია სურსათის უვნებლობის მთელი სისტემის რეფორმის პროგრესის თაობაზე. კერძოდ, ეს გულისხმობს შემდეგ ინფორმაციას:

- შიდა ბაზრისა და იმპორტირებული საქონლის სახელმწიფო კონტროლის სისტემები;
- ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საკითხები:
 - ცხოველთა და მათ გადაადგილებათა აღრიცხვა-რეგისტრაცია;
 - ცხოველთა დაავადებების კონტროლი;
 - შიდა ვაჭრობა ცოცხალი ცხოველებით;
 - ცხოველთა კეთილდღეობა.
- სურსათის/ცხოველთა საკვების უვნებლობა:
 - სურსათისა და ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსება;
 - სურსათის ეტიკეტირება, წარდგენა და რეკლამა;
 - ნარჩენ ნივთიერებათა კონტროლი სურსათში;
 - ცხოველთა საკვების რეგულირება;
 - ცხოველური სუბ-პროდუქტების რეგულირება.
- მცენარეთა ჯანმრთელობა, კერძოდ მავნე ორგანიზმებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების მართვა/რეგულირება;
- გენმოდირებული ორგანიზმების გარემოში გაშვების და გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების რეგულირება.

ეკვივალენტურობის შეფასების პროცესი ყოველთვის იწყება საქართველოს მოთხოვნის საფუძველზე. პროცესის ინიცირებისთვის საქართველოს ცხადია ზომების შესაბამისი ჯგუფის აპროქსიმაცია დასრულებული უნდა ჰქონდეს.

მოთხოვნიდან 3 თვის ვადაში დაიწყება შესაბამისობის შემოწმება, რომელმაც, როგორც წესი 1 წელზე მეტი არ უნდა გასტანოს⁵⁸.

ეკვივალენტურობის შეფასება პირველ რიგში მოიცავს კანონმდებლობის შედარებას, აგრეთვე პასუხისმგებელი ორგანოების ადექვატურობას (სტრუქტურა, სუბორდინაცია, უფლებამოსილებები, შიდა პროცედურები, რესურსები) და მის მიერ განხორციელებული კონტროლისა და ინსპექტირების ეფექტურობას (მ.შ შემოწმებათა რეგულარობა, რეაგირების სისწრაფე, ზემოქმედების საშუალებები).

კანონმდებლობის დაახლოების (აპროქსიმაციის) დონის შეფასება მოხდება საქართველოს მიერ მომზადებული ევროპული და ქართული ნორმატიული აქტების შედარების ცხრილების საფუძველზე, რომელიც ევროკომისიის მიერ საგანგებოდ დაქირავებული შემფასებლების მიერ გადამოწმდება. ამ ცხრილებში აქტები შედარდება უაღრესად დეტალურად, მუხლებისა და მათში შემავალი თითოეული დებულების/მოთხოვნის დონეზე. ცნობილია, რომ ევროკავშირის ნორმატიული აქტები საკმაოდ ხშირად იცვლება და შეიძლება მოხდეს ისე, რომ აპროქსიმაციის პროგრამაში მოხვედრილი აქტი მისი რეალური დაახლოების მომენტში შეიძლება სახეცვლილი ან გაუქმებული, და სხვა აქტით ჩანაცვლებული იყოს. ასეთ შემთხვევებში აპროქსიმაცია უნდა განხორციელდეს არა გაუქმებულ, არამედ აპროქსიმაციის მომენტისთვის მოქმედ ნორმებთან - ანუ აქტის იმ ვერსიასთან, რომელიც აპროქსიმაციის მომენტში ძალაშია.

რა თქმა უნდა ეკვივალენტობის შეფასება მარტო ნორმატიული დოკუმენტების შინაარსისა და მაკონტროლებელი ორგანოს შესაძლებლობების და უფლებამოსილებების შემოწმებით არ შემოიფარგლება. ქართული მხარე ვალდებული იქნება ამტკიცოს („დემოსტრირება მოახდინოს“) მის მიერ შემოღებული ზომის შედეგიანობაც - მათ შორის სასურსათო ბაზრის მონიტორინგის, ლაბორატორიული შემოწმებების, სურსათის ოპერატორების სახელმწიფო კონტროლის შედეგებისა და ანგარიშების, აგრეთვე მაკონტროლებელი ორგანოს საქმიანობათა აუდიტის შედეგების საშუალებით. ცხადია გამოყენებული იქნება აგრეთვე შესაბამისი პროდუქტის საზღვარზე შემოწმებების შედეგები ევროკავშირის მიერ და აგრეთვე საქართველოში ევროკავშირის შემოწმებელი მისიების დასკვნები (იხ. ქვემოთ).

თუ შეფასების შედეგმა აჩვენა, რომ საქართველოს მიერ შემოღებული სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები ევროკავშირის შესაბამისი ზომების ეკვივალენტური არ არის, ევროკავშირი მიაწვდის საქართველოს იმ ნაკლოვანებათა ჩამონათვალს, რომელიც მისი აზრით ქართულ სანიტარულ/ფიტოსანიტარულ ზომებს გააჩნია და ჩამოაყალიბებს კონკრეტულ მოთხოვნებს, რომელთა შესრულების შემდეგ საქართველოს შეეძლება კვლავ მოითხოვოს ეკვივალენტობის შეფასება.

⁵⁸ თუ საკითხი ეხება სეზონურ პროდუქტებს, შესაძლოა შემოწმების პერიოდი გაიზარდოს შესაბამისი სეზონის მოსავლამდე.

თუ საქართველომ ეკვივალენტობის შეფასება წარმატებით გაიარა, ევროკავშირი-საქართველო ასოცირების კომიტეტის⁵⁹ SPS ქვეკომიტეტის მიერ მოხდება შესაბამისი ვაჭრობის ეკვივალენტურობის დეკლარირება. რის შემდეგაც, 90 დღის განმავლობაში, ევროკავშირმა უნდა უზრუნველყოს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ცვლილებების განხორციელება იმისათვის, რომ დაუშვას⁶⁰ შესაბამისი ქართული პროდუქტის იმპორტი, ან ამ იმპორტის პირობების შერბილება: მაგალითად საზღვარზე პროდუქციის ფიზიკური შემოწმებების სიხშირის შემცირება ან სერტიფიცირებისა და საწარმოთა წინასწარი აღიარების პროცედურების⁶¹ გაიოლება.

თუ ეკვივალენტობის აღიარების შემდგომ საქართველო მოინდომებს იმ ზომების შეცვლას, რომელიც უკვე აღიარებულია ეკვივალენტურად, იგი ვალდებული იქნება ევროკავშირს წინასწარ მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია ამის თაობაზე. 30 დღის განმავლობაში ევროკავშირმა უნდა დაასკვნას, დარჩება თუ არა ძალაში ამ ცვლილების შემდეგ საქართველოსა და ევროკავშირის ზომების ეკვივალენტურობა. ასევე, თუკი ევროკავშირი გადაწყვეტს თავისი ზომების შეცვლას, რომელთან ეკვივალენტურობას საქართველომ უკვე მიაღწია, იგი წინასწარ აცნობებს საქართველოს ამის თაობაზე და მხარეები მოილაპარაკებენ ამ დამატებითი მოთხოვნების აპროქსიმაციისა და ეკვივალენტობის აღიარების პირობების თაობაზე.

გარდა ამისა, ევროკავშირი თავისი ინიციატივით, პერიოდულად (საჭიროების მიხედვით) საქართველოში გამოგზავნის შემმოწმებელ მისიებს, რომელიც აქ მოქმედ კონტროლის/ინსპექტირების და სერტიფიცირების სისტემებს გადაამოწმებენ⁶². ასეთი ვიზიტები არ იქნება მოულოდნელი - ქართულ მხარეს მათ შესახებ ეცნობება სულ ცოტა 60 სამუშაო დღით ადრე (გარდა საგანგებო სიტუაციებისა). ვიზიტის შედეგები დასრულებიდან 60 დღეში⁶³ მიეწოდება ქართულ მხარეს და მიეცემა 45 დღე კომენტარებისთვის, რომელიც საბოლოო ანგარიშს დაერთვება. გადამოწმებების საბოლოო ანგარიში საჯაროა (კონფიდენციალურობის კანონიერი მოთხოვნების გათვალისწინებით).

⁵⁹ ორივე მხარის წარმომადგენლებისგან შექმნილი ორგანო, რომელიც შეთანხმების შესრულებას აკონტროლებს და სადაც ხორციელდება მოლაპარაკებები და შეთანხმებები ამ პროცესში წარმოქმნილ ცალკეულ საკითხებზე.

⁶⁰ ასოცირების შეთანხმების ამოქმედების მომენტიდან სასურსათო პროდუქტების იმპორტს საქართველოდან ევროკავშირში აღარ ესაჭიროება ნებართვა - ისინი დაშვებულია, მაგრამ პირობებით, რომელთა დეტალურ ჩამონათვალს და აღწერას ევროკავშირი შეთანხმების ამოქმედებისას მიაწვდის საქართველოს. ეკვივალენტობის აღიარებასთან ერთად ეს პირობები ეტაპობრივად შერბილდება.

⁶¹ ევროკავშირში სხვადასხვა ტიპის სასურსათო პროდუქციის ექსპორტის დღეს მოქმედი პროცედურების აღწერა იხ. ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს 2009-2012 წლის პუბლიკაციებში, მისამართზე <http://eugbc.net>.

⁶² ასოცირების შეთანხმების მიხედვით ამ პროცესს ეწოდება „დამოწმება“ (verification).

⁶³ გარდა იმ შემთხვევებისა როცა შემოწმებამ ადამიანის, ცხოველთა ან მცენარეების ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი რისკები აღმოაჩინა. ასეთ შემთხვევაში შეტყობინებას ქართული მხარე 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიიღებს.

ასოცირების შეთანხმება აგრეთვე ითვალისწინებს საქართველოში წარმოებული ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ევროკავშირში იმპორტის გაიოლების შესაძლებლობას ეკვივალენტობის აღიარების პროცედურამდე. კერძოდ, შესაძლებელია ქართული საწარმო მოხვდეს ევროკავშირში იმპორტისათვის აღიარებული საწარმოების სიაში დროებითი სტატუსით, ევროკავშირის ინსპექტორების მიერ შემოწმების გარეშე საქართველოს შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე. ამისთვის საქართველოს სურსათის უვნებლობის მაკონტროლებელმა ორგანომ ოფიციალურად უნდა შეადგინოს იმ საწარმოების სია, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი პროდუქტის საქართველოდან ევროკავშირში იმპორტისათვის დადგენილ მოთხოვნებს და წარუდგინოს იგი ევროკავშირის პირობითი აღიარების (provisional approval) მოთხოვნით. ამ მოთხოვნიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში ევროკავშირი ვალდებულია განახორციელოს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული პროცედურები ამ საწარმოების ნაწარმის იმპორტის დასაშვებად. თუმცა პირველი ასეთი სიის დამტკიცება დამოკიდებული იქნება ზემოთ აღწერილი გადამოწმების პროცედურის შედეგებზე. ამ მისიის დროს შემოწმდება არა მხოლოდ მაკონტროლებელი ორგანო, არამედ რიგი საწარმოებიც („წარმომადგენლობითი რაოდენობა“) მის მიერ მიწოდებული სიიდან. შესაძლოა იგივე პროცედურა იყოს ინიცირებული არა მხოლოდ ევროკავშირში, არამედ მის ცალკეულ ქვეყნებში იმპორტის მსურველი საწარმოების დროებითი აღიარების მოთხოვნის შემთხვევაშიც.

2.2.5 სურსათის უვნებლობის ქართული სისტემის ძირითადი ნაკლოვანებები

სურსათის, ცხოველებისა და მცენარეების ჯანმრთელობის დაცვის სფეროს რეგულირების ევროპული სისტემა საქართველოს დღევანდელი რეგულირებებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ამის უპირველესი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ევროკავშირის მიერ დაწესებული რეგულირების მიზანს მოსახლეობის/ცხოველების/მცენარეების ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონე (ანუ დაავადებათა რისკის დაბალი დონე) წარმოადგენს, რომელსაც ევროკავშირი აღწევს კიდევ (როგორც ზემოთ განვმარტეთ, WTO-წესების მიხედვით იგი სხვა შემთხვევაში ვერ მოსთხოვდა იმპორტიორებს მის მიერ დაწესებული მკაცრი ნორმების დაცვას).

რაც შეეხება საქართველოს, აქ დღემდე ქართულად ნათარგმნი ყოფილი საბჭოთა ნორმები მოქმედებს, რომელიც თავის დროზე შესაძლოა საკმაოდ მკაცრიც იყო, მაგრამ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დღევანდელ დონეს აღარ შეესაბამება. თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ ნორმების აღსრულება (კონტროლი), საკმაოდ სუსტი იყო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში კორუფციაზე დამყარებულ „შერჩევითი“ კონტროლის სისტემის გამო⁶⁴. 2006 წელს, კორუფციის აღმოფხვრის მიზნით, საქართველოში ამ სფეროს კონტროლი მთლიანად გაუქმდა და მხოლოდ

⁶⁴ არსებობს მოსაზრება, რომ კორუფციის ფარული ხელშეწყობისათვის რიგი საბჭოური ნორმები მიუღწევლად მკაცრი იყო, რათა მათი დაცვა რეალურად შეუძლებელი ყოფილიყო და მეწარმე მაკონტროლებელთან კორუფციულ გარიგებაში დაინტერესებული ყოფილიყო.

2010 წლიდან დაიწყო ნელ-ნელა აღდგენა⁶⁵, თუმცა კონტროლის მასშტაბები და ეფექტურობა (სფეროს მოცვის თვალსაზრისით) დღემდე საკმაოდ დაბალია⁶⁶. მიუხედავად იმისა, რომ აშკარაა ამ სფეროს მმართველი უწყების სურსათის ეროვნული სააგენტოს განზრახვა და მონდომება ეფექტურობის გასაზრდელად (მათ ამაში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამებიც ეხმარება), ჯერჯერობით შედეგი მოკრძალებულია: ოფიციალურად რეგისტრირებული სურსათის ოპერატორებიდან მხოლოდ 10% თუ იქნება სახელმწიფოს მიერ ერთხელ მაინც შემოწმებული. აგრეთვე ჯერ-ჯერობით საკმაოდ შეზღუდულია ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები (თუმცა სწრაფი ტემპებით უმჯობესდება) და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლი(განსაკუთრებით მცენარეთა დაცვის საშუალებათა გამოყენების კონტროლის თვალსაზრისით).

ყოველივე აღნიშნულის გამო, დღესდღეობით საქართველოში სურსათით გამოწვეული დაავადებებისგან ადამიანების დაცვის დონე, ასევე ცხოველებისა და მცენარეების დაცვის დონე ევროპულზე ბევრად დაბალია. შესაბამისად ქვეყანაში მაღალია ადამიანების/ცხოველების/მცენარეების დაავადებების რისკი. როგორც ზემოთ განვმარტეთ, თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან არ ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირი საზღვრებს გაუხსნის საქართველოში წარმოებულ არასაკმარისად უვნებელ სურსათს ან სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობა ნიშნავს სურსათის უვნებლობის ქართული სისტემის ეტაპობრივ გაუმჯობესებას, რასაც თან მოჰყვება ევროკავშირის მიერ ამ ზომების ეკვივალენტურობის აღიარება და ქართული სურსათის ევროპაში ექსპორტის პროცედურების გაიოლება. ცხადია, სურსათის და სასურსათო ნედლეულის (ცხოველების, მცენარეების) უვნებლობის დონის ამაღლება სასარგებლო იქნება არა მარტო ქართული სასურსათო საქონლის ექსპორტისთვის, არამედ პირველ რიგში თავად ქართველი მომხმარებლის ჯანმრთელობისთვის და ქართველი მეწარმეების ბიზნესის მდგრადობისთვის, რომლებიც წარმოებაში ქართულ ნედლეულს იყენებენ.

2.2.6 სურსათის უვნებლობის ევროპული სისტემის ძირითადი მახასიათებლები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სურსათის და სასურსათო ნედლეულის უვნებლობის უზრუნველყოფა ევროკავშირში WTO-მოთხოვნებს, ანუ რისკების მეცნიერულ ანალიზს ეყრდნობა. WTO-ს ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად 2000-იან წლებში სურსათის უვნებლობის ევროპულმა კანონმდებლობამ და ნორმებმა ძირეული რეფორმა განიცადა - რათა მოთხოვნები არ ყოფილიყო იმაზე მკაცრი, ვიდრე ეს

⁶⁵ საგულისხმოა, რომ კონტროლის შეჩერების პერიოდში, 2007 წელს, საქართველოში შემოვიდა ღორის ვირუსული დაავადება, რომელიც ადრე ქვეყანაში დაფიქსირებული არ იყო - ღორის აფრიკული ჭირი. ითვლება რომ სწორედ საქართველოდან გავრცელდა იგი შემდგომ მეზობელი ქვეყნების (აზერბაიჯანის, ირანის, რუსეთის, სომხეთის,) ტერიტორიაზე.

⁶⁶ მაგალითად 2013 წელს სურსათის ეროვნულ სააგენტოს სულ 22 მაკონტროლებელი ინსპექტორი ჰყავდა. 2014 წელს მოხდა მათი რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა (80 ინსპექტორით), თუმცა ძირითადად ახალგაზრდა, გამოუცდელი კადრების ხარჯზე, რომელთა წვრთნა და სწავლება ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს.

ადამიანების/ცხოველების/მცენარეების დაავადებათა რისკის პრევენციის ან აღმოფხვრისთვის არის აუცილებელი. გაუქმდა ბევრი ისეთი ნორმა, რომელიც ამ მხრივ არაფრის მომტანი იყო ⁶⁷. შეიქმნა სასურსათო რისკების შეფასების დამოუკიდებელი ინსტიტუტი⁶⁸. გამოიყო სურსათით გამოწვეული პრიორიტეტული დაავადებები. გაირკვა მათი გამომწვევი მიკროორგანიზმები და პარაზიტები, მიმდინარეობს მათი რისკებისა და ამ რისკების რეგულირების ზომების ხარჯების ეფექტურობის საფუძვლიანი ანალიზი.

ევროკავშირში სურსათის უვნებლობის რეგულირების დღევანდელი სისტემის მთავარი პრინციპები შემდეგია:

- ბაზარზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ისეთი პროდუქტი, რომელიც უვნებელია ადამიანისთვის, ცხოველებისთვის და მცენარეებისთვის (და ეს უვნებლობის კრიტერიუმი საკმაოდ მკაცრია).
- პროდუქციის უვნებლობა უნდა გაკონტროლდეს იქ (იმ ეტაპზე), სადაც უფრო ეფექტურია (შედეგიანია). სურსათის შემთხვევაში ბაზარზე მოხვედრილი პროდუქტის კონტროლთან შედარებით ბევრად უფრო ეფექტურია მისი დაბინძურების პრევენცია და კონტროლი წარმოების პროცესში. შესაბამისად, უპირველესი პასუხისმგებლობა სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფაზე ეკისრება მის მწარმოებელს⁶⁹. ევროკავშირის კანონმდებლობა ითხოვს, რომ ამ ფუნქციის სათანადოდ შესასრულებლად სურსათის ოპერატორებს ⁷⁰ (გარდა რამოდენიმე გამონაკლისისა) დანერგილი ჰქონდეთ საწარმოში სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის საერთაშორისოდ აღიარებული სისტემა - ე.წ. „ჰასპი“ (HACCP)⁷¹;
- რეგულირების ზომების მინიმალიზაციის მოთხოვნის შედეგია ერთგვაროვანი მოთხოვნის დაწესება ყველა მეწარმისთვის, რომლის გამკაცრება ხდება მხოლოდ ისეთი პროცესების/პროდუქტებისთვის, რომელიც დაავადებათა მაღალ რისკთან არის კავშირში. ამის მაგალითია ჰიგიენის ერთიანი მოთხოვნები სურსათის ყველა ოპერატორისთვის, რომელსაც ემატება

⁶⁷ მაგალითად, გაუქმდა კოლიფორმების ნორმირება რიგ პროდუქტებში. ეს ნორმა რიგ შემთხვევაში ჩანაცვლდა ბაქტერიათა უფრო ვიწრო ჯგუფის - ენტერობაქტერიების ნორმირებით და დაწესდა არა უვნებლობის, არამედ ჰიგიენის ნორმად. მეტი დეტალებისთვის იხ. პუბლიკაცია „სურსათის რეგულირება ევროკავშირში: სურსათის ჰიგიენა“, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი, www.momxmarebeli.ge.

⁶⁸ იგულისხმება ევროპის სურსათის უვნებლობის სააგენტო, European Food Safety Agency, EFSA, www.efsa.europa.eu

⁶⁹ იგულისხმება სურსათთან შეხებაში მყოფი ყველა მეწარმე, თავის საქმიანობის ფარგლებში.

⁷⁰ სასურსათო ბიზნესის ოპერატორად მიიჩნევა ყველა პირი, რომელიც პასუხისმგებელია სურსათის მოყვანის, გადამამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირების, დისტრიბუციის, რეალიზაციის პროცესებზე.

⁷¹ Hazard Analysis and Critical Control Points System. ქართულად: საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა. სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის მეთოდი, რომელიც სურსათის საწარმოო ხაზში პროდუქტის შესაძლო დაბინძურების სტადიების (ე.წ. კრიტიკული წერტილების) გამოყოფასა და მუდმივ კონტროლში მდგომარეობს.

დამატებითი მოთხოვნები მეწარმის მიერ ცხოველური წარმოშობის ნედლეულის ან პროდუქციის გამოყენების შემთხვევაში.

- რისკების ანალიზისა და შემუშავებული ზომების ხარჯთ-ეფექტურობის მოთხოვნის შედეგია სახელმწიფო რეგულირების ზომების ძირითადი ნაწილის მიმართვა პრიორიტეტულ დაავადებებსა და სურსათზე. თუმცა ცხადია ამ მიდგომამ არ უნდა გამოიწვიოს ყურადღების მოდუნება უფრო იშვიათ დაავადებებზე, რამაც შესაძლოა მათი აფეთქება გამოიწვიოს. ამიტომ ევროკავშირში მოქმედებს როგორც მკვეთრი სურსათის, ასევე ცხოველების და ადამიანების დაავადებების თაობაზე ყველა ქვეყნის უწყებების სწრაფი ინფორმირებისა და რეაგირების უზრუნველყოფის სისტემები და მასთან დაკავშირებული სწრაფი რეაგირების გეგმები.
- მოულოდნელ საფრთხეებზე სწრაფ რეაგირებას ემსახურება აგრეთვე ე.წ. მიკვლევადობის სისტემა, რომლის მიხედვით სურსათის ოპერატორები ვალდებული არიან იქონიონ და შეინახონ ინფორმაცია მათ მიერ სურსათის წარმოებისას გამოყენებული ყველა ნედლეულის, მასალის თუ პროდუქტის მომწოდებლის თაობაზე. ეს სისტემა საშუალებას იძლევა სწრაფად დადგინდეს ამა თუ იმ მიკრობის ან ქიმიური ნივთიერების სურსათში მოხვედრის წყარო და სურსათის დაბინძურებული ან თუნდაც საექვო პარტია ერთიანად და სწრაფად იყოს ამოღებული ბაზრიდან.
- გამოცდილებამ აჩვენა, რომ სურსათის უვნებლობა დამოკიდებულია არა მარტო სურსათის გადამამუშავებაზე, არამედ მის პირველად წარმოებასა და საბოლოო მოხმარებაზეც. ამიტომ ევროკავშირის მიერ დეკლარირებულია სურსათის უვნებლობის „ფერმიდან ჩანგლამდე“ უზრუნველყოფის პრინციპი, რაც გულისხმობს სურსათის უვნებლობის რეგულირების სფეროში ფერმების (პირველ რიგში ცხოველთა ფერმების - ვინაიდან ცხოველური წარმოშობის სურსათი უფრო მეტ რისკს შეიცავს) მოქცევას, ისევე როგორც მომხმარებელთა მეტი ინფორმირების და განათლების საჭიროებას სურსათის მოხმარების წესების თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის მიერ დადგენილი ნორმები საქართველოში დღეს მოქმედ ნორმებთან შედარებით (აგრეთვე საბჭოთა კავშირში მოქმედ ზოგიერთ ნორმასთან შედარებით), ხშირ შემთხვევაში საკმაოდ რბილია. ამის მიზეზი კი მათ მკაცრ აღსრულებაში მდგომარეობს - საბჭოთა ნორმებისგან განსხვავებით ევროპული ნორმები ყოველთვის რეალურია, შესრულებადია. ამის მიზეზია თუნდაც ზემოთ აღწერილი WTO-მოთხოვნები: მათ მიხედვით ხომ ქვეყანა ვერ მოსთხოვს იმპორტიორებს დაიცვან ნორმები, რომელსაც მისი ეროვნული საწარმოები ვერ იცავენ! იმისათვის, რომ ქვეყანამ იმპორტიორებს რაიმე ნორმის დაცვა მოსთხოვოს, აუცილებელია ეროვნული მეწარმეები ამ ნორმაც იცავდნენ. ამისთვის კი ნორმა უნდა იყოს შესრულებადი და მკაცრად აღსრულებადი.

სწორედ ეს თვისებები ახასიათებს ევროპულ SPS ნორმებს: ისინი არის რეალურად მიღწევადი, შესრულებადი და მათი დაცვა ძალიან მკაცრად კონტროლდება. ეს არის

ნორმები, რომელსაც ძალიან მკაცრად იცავენ პირველ რიგში სწორედ ევროპული მწარმოებლები. და სწორედ ამის საფუძველზე მოეთხოვება მათი ასეთივე მკაცრად დაცვა იმპორტიორებს.

2.2.7 სურსათის უვნებლობის სფეროში ევროპასთან მიახლოების სტრატეგია და პროგრამა

საქართველოში სურსათის უვნებლობის სფეროში ევროპასთან მიახლოებისა და შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური რეფორმის დაგეგმვა ჯერ კიდევ ასოცირების შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებების პროცესში დაიწყო. კერძოდ, სურსათის უვნებლობის სფერო ერთ-ერთი იყო იმ 4 პრობლემურ სფეროს შორის⁷², რომელიც ევროკავშირმა 2009 წელს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების დასადავად საქართველოს მზადყოფნის შეფასებისას გამოჰყო [Error! Reference source not found.]. ამ შეფასების პასუხად, 2009 წლის აპრილში, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის⁷³ ფარგლებში ჩამოყალიბდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მოსამზადებელ საკითხთა კოორდინაციის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი. ხოლო იმავე წლის მაისში კი მასში ორი თემატური სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, - მათგან ერთ-ერთი სწორედ სურსათის უვნებლობის საკითხებზე იყო ფოკუსირებული. 2010 წლის ნოემბრისთვის ამ ჯგუფის მიერ მომზადდა „სურსათის უვნებლობის სფეროში ყოვლისმომცველი სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა“, რომელიც 2010 წლის დეკემბრის ბოლოს ოფიციალურად დამტკიცდა კიდევ⁷⁴.

ამ საკანონმდებლო მიახლოების პროგრამაში მითითებული იყო ევროკავშირის 43 ნორმატიული აქტი, რომელთანაც საქართველოს კანონმდებლობის მიახლოება (აპროქსიმაცია) 2014 წლამდე უნდა მომხდარიყო. თუმცა პროგრამაში გაწერილი ვადების დაცვა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა და 2014 წელს პროგრამაში ცვლილებები შევიდა⁷⁵ - საკანონმდებლო მიახლოების ვადები გადაიწია. ამავე დროს მიახლოების პროგრამა გაფართოვდა და სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული

⁷² დანარჩენი სამი სფერო იყო: ტექნიკური რეგულაციები (მოიცავს სტანდარტიზაციას, აკრედიტაციას, მეტროლოგიას, შესაბამისობის შეფასებისა და ბაზრის ზედამხედველობის საკითხებს), კონკურენციის პოლიტიკა (მონოპოლიების პრევენცია) და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა;

⁷³ ეს კომისია შეიქმნა 2004 წლის 10 ივლისს, საქართველოს მთავრობის №76 განკარგულებით. მისი დებულება დამტკიცდა 2004 წლის 9 ექტემბერს, საქართველოს მთავრობის №76 დადგენილებით. კომისიის წევრები არიან მინისტრები. კომისიის სამდივნოს როლს ევროინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ასრულებს. კომისია წარმოადგენდა ევროგაერთიანების ტექნიკური დახმარების პროგრამა TACIS-ის 1997-2010 წწ პროექტის „ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლის ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის“ (GEPLAC) მიმღებ მხარეს.

⁷⁴ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის №1756 განკარგულებით. პუბლიკაციაში მითითებული საქართველოს ნორმატიული აქტების გაცნობა შესაძლებელია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე, მისამართზე <https://matsne.gov.ge/>.

⁷⁵ დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 მაისის №783 განკარგულებით.

ევროპული კანონმდებლობა უფრო სრულად მოცვა - ამჟამად პროგრამით 100-მდე⁷⁶ ევროპულ ნორმატიულ აქტთან მიახლოება არის გათვალისწინებული. თუმცა ესეც არ არის საბოლოო გეგმა - როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს საქართველოს მიერ სანიტარული და ფიტოსანიტარულ სფეროში აპროქსიმაციის სრული გეგმის მომზადებას ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 6 თვეში (რომელიც შეთანხმების XI-B დანართი გახდება). ამდენად, ამ სფეროში კანონმდებლობის მიახლოების საბოლოო გეგმა სავარაუდოდ 2015 წლის მარტისთვის გახდება ცნობილი.

თუმცა დღეს არსებული მიახლოების/აპროქსიმაციის გეგმა აგრეთვე საკმარის საფუძველს იძლევა იმისთვის, რომ წარმოდგენა შევიქმნათ საქართველოში სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის სისტემის მომავალ კონტურებზე და სხვადასხვა ღონისძიებათა დანერგვისა და ამოქმედების მოსალოდნელ ვადებზე.

2.2.8 საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა სურსათის უვნებლობის სფეროში

2010 წელს საქართველოს მიერ დამტკიცებული სურსათის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების ევროკავშირთან მიახლოების პროგრამა ევროპის სურსათის მარეგულირებელი ძირითადი კანონმდებლობის⁷⁷ აპროქსიმაციის საბოლოო ვადად 2014 წელს ითვალისწინებდა. ეს გეგმა ძალზე ამბიციური იყო. მისი შესრულება კიდევ უფრო გაართულა მთავრობის 2011 წლის საკანონმდებლო ინიციატივამ სურსათის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის ერთიან კოდექსად გასაერთიანებლად. ამ კოდექსის მიღება მხოლოდ 2012 წელს მოხერხდა და კოდექსის მომზადებისა და შეთანხმების პროცესმა შეაფერხა გეგმით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტების მომზადება. თუმცა პროგრამით გათვალისწინებული რამოდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტის შემუშავება და მიღება 2010-2012 წლებში მთავრობამ მაინც მოახერხა. ესენია:

- სურსათის ჰიგიენის ზოგადი და გამარტივებული წესები⁷⁸,
- ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის განსაკუთრებული წესები⁷⁹,
- სურსათის სფეროში მოქმედ მეწარმეთა⁸⁰ კონტროლის წესები⁸¹,

⁷⁶ ეს არის მხოლოდ ძირითადი აქტების რაოდენობა, ცვლილებების დოკუმენტების გარეშე.

⁷⁷ აპროქსიმაციის გეგმის 2010 და 2014 წლის ვარიანტები ითვალისწინებენ ევროკავშირის მხოლოდ ე.წ. „ჰორიზონტალურ“ კანონმდებლობასთან აპროქსიმაციას. („ჰორიზონტალურია“ კანონმდებლობა, რომელიც „გამჭოლია“, ანუ ყველა ტიპის სურსათზე ვრცელდება). ამავე დროს სურსათის უვნებლობის ზემოთ მოხსენიებული სტრატეგია ევროკავშირის „ვერტიკალურ“ (ანუ ცალკეული ტიპის სურსათის მარეგულირებელი) კანონმდებლობასთან აპროქსიმაციის გეგმის მომზადებას და დამტკიცებას ითვალისწინებდა, რაც დღემდე არ შესრულებულა.

⁷⁸ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის №173 და №282 დადგენილებებით.

⁷⁹ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2012 წლის №90 დადგენილებით.

⁸⁰ სურსათის უვნებლობის ქართული კანონმდებლობა ვრცელდება „ბიზნესოპერატორებზე“, რაც ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომლის საქმიანობა უკავშირდება სურსათის პირველად წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას (ეს მოიცავს რეალიზაციასაც) და რომელიც პასუხისმგებელია თავისი

- საიმპორტო საქონლის ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის წესები⁸²,
- სურსათის განადგურების წესი⁸³,
- კრიზისული სიტუაციის მართვის ზოგადი წესები⁸⁴.

ეს ნორმატიული აქტები ევროკავშირის შესაბამისი აქტების გათვალისწინებით მომზადდა (იხ. ქვემოთ) და ასოცირების ხელშეკრულების განხორციელებისას, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან ცვლილებებს აღარ განიცდის.

როგორც ასოცირების ხელშეკრულება, ასევე ეროვნული სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების გეგმა ამა თუ იმ ნორმატიული აქტის არა მარტო მიღებას, არამედ სრულფასოვან ამოქმედებას ითვალისწინებს. ამ მხრივ აგრეთვე გვაქვს დადებითი დინამიკა ზემოთ ჩამოთვლილი აქტების განხორციელების თვალსაზრისით. სურსათის მწარმოებლების, შემომტანების, დისტრიბუტორების და რეალიზატორების (იურიდიული პირების) სახელმწიფო რეგისტრაცია ჯერ კიდევ 2009 წელს დაიწყო. 2010 წლის ზაფხულიდან ამოქმედდა საწარმოების რეგულარული გეგმური და არაგეგმური სახელმწიფო ინსპექტირება. შეზღუდული მასშტაბით, მაგრამ მაინც ხორციელდება ბაზარზე არსებული სურსათის უვნებლობისა და ეტიკეტირების მონიტორინგი. გამკაცრდა მოთხოვნები სასაკლაოებისადმი და მათი კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან. 2015 წლიდან სავალდებულო ხდება ცხოველური წარმოშობის სურსათის გადამამუშავებელი საწარმოების აღიარება, რაც რეგისტრაციისგან განსხვავებით, საწარმოს ინსპექტირებასაც გულისხმობს.

თუმცა აღნიშნული აქტების სრულფასოვან აღსრულებამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. სურსათის ბიზნესოპერატორების დიდმა ნაწილმა არც კი იცის, რა მოთხოვნებს უყენებს მას კანონი და საწარმოში ინსპექტორის შესვლამდე არც იწუხებს თავს კანონის მოთხოვნების გასარკვევად. ცხადია, ეკვივალენტობის აღიარებამდე ეს სიტუაცია უნდა შეიცვალოს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ევროკავშირის მოთხოვნები (ნორმები) რიგ შემთხვევაში საბჭოურზე უფრო რბილია (ვინაიდან აუცილებელია რომ ისინი შესრულებადი იყოს), მაგრამ სამაგიეროდ სავალდებულოა მათი ზედმიწევნით დაცვა. ამიტომ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ ნორმების დაცვის მოთხოვნის სიმკაცრე სახელმწიფოს მხრიდან გაიზრდება.

გარდა ამისა, ზემოთ ჩამოთვლილი აქტებით დადგენილი მოთხოვნები რიგ შემთხვევაში უფრო რბილია, ვიდრე შესაბამისი ევროპული მოთხოვნები, რაც იმას ნიშნავს, რომ, ეკვივალენტობის მისაღწევად აუცილებელი იქნება მათი ეტაპობრივი

საქმიანობის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამე. 2020 წლამდე ეს პასუხისმგებლობა საქართველოში მხოლოდ იურიდიულ ირებს ეკისრება.

⁸¹ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის №173 დადგენილებით.

⁸² საქართველოს მთავრობის 2010 წლის № 427, 428, 429 და 430 დადგენილებები.

⁸³ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის №176 დადგენილებით.

⁸⁴ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის №419 დადგენილებით.

გამკაცრება. მაგალითად, ზემოთ მოხსენიებული „ჰასპის“ სისტემის დანერგვა საქართველოში დღესდღეობით მოეთხოვება მხოლოდ ცხოველთა სასაკლაოებსა და ნედლი რძის გადამამუშავებელ საწარმოებს, მაშინ როდესაც ევროკავშირის კანონმდებლობა ამ მოთხოვნას უყენებს სურსათის ყველა ოპერატორს (გარდა პირველადი წარმოებისა და ზოგიერთი ტიპის მცირე ბიზნესებისა).

იმისათვის, რომ წარმოდგენა შევიქმნათ სხვა მოსალოდნელ საკანონმდებლო ცვლილებებზე, ქვემოთ მოგვყავს საკანონმდებლო მიახლოების გეგმის მიხედვით 2014-2020 წლებში საქართველოს კანონმდებლობაში გადმოსატანი და ასამოქმედებელი ევროკავშირის ნორმატიული აქტების მოკლე აღწერა⁸⁵ და ამოქმედების ვადები.

2.2.8.1 სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა

არსებული გეგმით, 2014 წელს გათვალისწინებულია ევროკავშირში სურსათის უვნებლობის მარეგულირებელ ძირითად კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის უკვე განხორციელებული აპროქსიმაციის (იხ. ზემოთ) მოწესრიგება. ეს გულისხმობს სურსათის უვნებლობის კოდექსის შესწორებას (უკვე განხორციელდა 2014 წლის მაისში), 2010-2012 წწ-ში მიღებული დადგენილებების (იხ. ზემოთ) მცირე შესწორებებს და ერთი ახალი დადგენილების მიღებას - ცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის თაობაზე. ამ ცვლილებების შედეგად გაუმჯობესდება საქართველოს კანონმდებლობის მიახლოების მდგომარეობა ევროკავშირის ე.წ. „ჰიგიენის პაკეტთან“, რომელიც მოიცავს:

- სურსათის ძირითად კანონს (178/2002 რეგულაცია⁸⁶),
- სურსათის ჰიგიენის ზოგად წესებს (852/2004 რეგულაცია⁸⁷),
- სურსათის ოპერატორების კონტროლის ზოგად წესებს (882/2004 რეგულაცია⁸⁸),
- ცხოველური სურსათის ჰიგიენის სპეციალურ წესებს (853/2004 რეგულაცია⁸⁹)

⁸⁵ ევროკავშირის ნორმატიული დოკუმენტების შინაარსი აღწერილია მათი დღევანდელი მდგომარეობით. თუმცა ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს ნორმატიული აქტის აპროქსიმაციას იმ მდგომარეობით, რაც მას აპროქსიმაციის მომენტისთვის აქვს.

⁸⁶ Regulation (EC) No 178/2002 of the European Parliament and of the Council of 28 January 2002 laying down the general principles and requirements of food law, establishing the European Food Safety Authority and laying down procedures in matters of food safety. პუბლიკაციაში მითითებული ევროკავშირის ნორმატიული აქტების გაცნობა შესაძლებელია ევროპული კანონმდებლობის (EUR-Lex) ვებ-გვერდზე, მისამართზე <http://eur-lex.europa.eu>

⁸⁷ Regulation (EC) No 852/2004 of the European Parliament and of the Council of 29 April 2004 on the hygiene of foodstuffs.

⁸⁸ Regulation (EC) No 882/2004 of the European Parliament and of the Council of 29 April 2004 on official controls performed to ensure the verification of compliance with feed and food law, animal health and animal welfare rules.

⁸⁹ Regulation (EC) No 853/2004 of the European Parliament and of the Council of 29 April 2004 laying down specific hygiene rules for food of animal origin.

- ცხოველური სურსათის კონტროლის სპეციალურ წესებს (854/2004 რეგულაცია⁹⁰).

2015 წელს მოხდება ევროკავშირის „სურსათის ჰიგიენის პაკეტის“ კიდევ ერთი შემადგენელი აქტის, სურსათის მიკრობიოლოგიური ნორმების აპროქსიმაცია. შესაბამისი რეგულაცია 2073/2005⁹¹ ადგენს სხვადასხვა მიკროორგანიზმების დასაშვებ რაოდენობებს სურსათში. აქტი ითვალისწინებს ორი ტიპის ნორმებს: უვნებლობის ნორმებს (ძირითადად პათოგენური მიკროორგანიზმები) და ჰიგიენის მაჩვენებლებს. ნორმა მოიცავს არა მხოლოდ მიკროორგანიზმის დასაშვებ (ან არ-დასაშვებ) რაოდენობებს, არამედ აგრეთვე სინჯების ზომას, შესამოწმებელი სინჯების რაოდენობას, აგრეთვე წარმოების ან დისტრიბუციის სტადიას, რომელზეც უნდა მოხდეს სინჯის აღება. უვნებლობის ნორმის დარღვევის შემთხვევაში პროდუქტი მიიჩნევა მავნედ და ბაზარზე არ დაიშვება. ჰიგიენის მაჩვენებლები კი იზომება ძირითადად წარმოების პროცესში, მათი დარღვევა როგორც წესი არ ნიშნავს პროდუქტის მავნებლობას, არამედ საწარმოო პროცესის ჰიგიენის გაუმჯობესების ვალდებულებას გულისხმობს (შესაბამისი ზომები აგრეთვე მითითებულია აქტში).

აგრეთვე 2015 წელს დაიწყება სურსათის ქიმიური დაბინძურების ნორმირების მიახლოება შესაბამის ევროპულ კანონმდებლობასთან. ამისათვის საქართველოს კანონმდებლობაში გადმოტანილი იქნება ჯერ ზოგადი ჩარჩო-რეგულაცია 315/93⁹², რომელიც განსაზღვრავს თუ რას ნიშნავს „დამბინძურებელი ნივთიერება“⁹³ და ადგენს ზოგად მოთხოვნას, რომ ბაზარზე არ შეიძლება განთავსდეს სურსათი, რომელიც შეიცავს რაიმე დამბინძურებელს ისეთი ოდენობით, რაც ტოქსიკოლოგიური თვალსაზრისით ადამიანის ჯანმრთელობისთვის მიუღებელია (სწორედ ამ მიზნით დგინდება გარკვეული დამბინძურებლების მაქსიმალური დასაშვები დონეები სურსათში). თუმცა, ამავე დროს, მწარმოებლები უნდა ეცადონ გამოიყენონ კარგი პრაქტიკის მიდგომები, რათა დამბინძურებელთა შემადგენლობა სურსათში რაც შეიძლება დაბალი იყოს.

ამის შემდგომ (2015-2016 წლებში) კი მოხდება საქართველოს კანონმდებლობაში იმ ნორმატიული აქტების გადმოტანა, რომელიც სურსათში ამა თუ იმ დამბინძურებლების შემადგენლობის ზღვრულ ოდენობებს აწესრიგებს. ესენია:

⁹⁰ Regulation (EC) No 854/2004 of the European Parliament and of the Council of 29 April 2004 laying down specific rules for the organisation of official controls on products of animal origin intended for human consumption.

⁹¹ Commission Regulation (EC) No 2073/2005 of 15 November 2005 on microbiological criteria for foodstuffs.

⁹² Council Regulation (EEC) No 315/93 of 8 February 1993 laying down Community procedures for contaminants in food.

⁹³ რეგულაციის მიხედვით დამბინძურებელი არის ნებისმიერ ნივთიერება, რომელიც სურსათისთვის განზრახ არ დაუმატებიათ მაგრამ იგი ამ სურსათში მოხვდა წარმოების, გადამუშავების, შეფუთვის, ტრანსპორტირების ან შენახვის პროცესში ან წარმოადგენს გარემოს დაბინძურების შედეგს. სურსათში მოხვედრილი ისეთი გარე მასალა, როგორცაა მაგალითად თმა, მწერის ფრაგმენტები და სხვა დამბინძურებელ ნივთიერებად არ მიიჩნევა.

- რეგულაცია 1881/2006⁹⁴, რომელიც ადგენს ნიტრატების, მიკოტოქსინების, მეტალების, დიოქსინების, პოლიციკლური არომატური ნახშირწყალბადების, მელამინის და ერუკის მჟავის დასაშვებ კონცენტრაციებს სხვადასხვა სურსათში და სურსათის ინგრედიენტებში;
- რეგულაცია 396/2005⁹⁵, რომელიც ადგენს პესტიციდების ნარჩენი რაოდენობის ზღვრულ დონეს სურსათში. რეგულაციის მიხედვით ნებისმიერი პესტიციდის შემცველობა საბოლოო სურსათში ან ცხოველის საკვებში არ უნდა აღემატებოდეს 0,01 მგ/კგ. ჩამოთვლილია შემთხვევები, როცა დასაშვები დონე ამ კონცენტრაციაზე მეტი ან ნაკლებია⁹⁶. რეგულაცია აგრეთვე ადგენს ახალი პესტიციდებისათვის სურსათში მათი ნარჩენების დასაშვები დონის დადგენის პროცედურას, აგრეთვე არსებული დასაშვები დონის ცვლილების ან გაუქმების პროცედურებს.
- ცხოველური წარმოშობის სურსათში ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენი რაოდენობის შემცველობის მარეგულირებელი აქტების პაკეტი, რომელიც მოიცავს:
 - 470/2009 რეგულაციას⁹⁷, რომელიც ადგენს ვეტერინარული ფარმაკოლოგიური პრეპარატების ზღვრული რაოდენობის დაწესების პროცედურებს;
 - 37/2010 რეგულაციას⁹⁸, რომელიც შეიცავს სურსათში სხვადასხვა ფარმაკოლოგიური პრეპარატების ნარჩენ ნივთიერებათა დასაშვებ ოდენობების ჩამონათვალს;
 - 96/23/EC დირექტივას⁹⁹, რომელიც აწესებს ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენების მონიტორინგის სქემებს ცხოველური წარმოშობის სხვადასხვა პროდუქტისთვის; და მისი აღსრულების დამხმარე გადაწყვეტილებებს: 97/747/EC გადაწყვეტილებას¹⁰⁰, რომელიც ადგენს სინჯის აღების სიხშირეს ასეთი მონიტორინგისას და

⁹⁴ Commission Regulation (EC) No 1881/2006 of 19 December 2006 setting maximum levels for certain contaminants in foodstuffs.

⁹⁵ Regulation (EC) No 396/2005 of the European Parliament and of the Council of 23 February 2005 on maximum residue levels of pesticides in or on food and feed of plant and animal origin.

⁹⁶ დღევანდელი მდგომარეობით რეგულაცია 1800-ზე მეტ გვერდს მოიცავს. მის უკეთ გამოსაყენებლად ევროკომისიის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია მონაცემთა ბაზა (http://ec.europa.eu/sanco_pesticides), რომელშიც შესაძლებელია მოინახოს სხვადასხვა სურსათში ამა თუ იმ პესტიციდის ნარჩენის ზღვრული დასაშვები რაოდენობა.

⁹⁷ Regulation (EC) No 470/2009 of the European Parliament and of the Council of 6 May 2009 laying down Community procedures for the establishment of residue limits of pharmacologically active substances in foodstuffs of animal origin.

⁹⁸ Commission Regulation (EU) No 37/2010 of 22 December 2009 on pharmacologically active substances and their classification regarding maximum residue limits in foodstuffs of animal origin.

⁹⁹ Council Directive 96/23/EC of 29 April 1996 on measures to monitor certain substances and residues thereof in live animals and animal products.

¹⁰⁰ Commission Decision of 27 October 1997 fixing the levels and frequencies of sampling provided for by Council Directive 96/23/EC for the monitoring of certain substances and residues thereof in certain animal products.

2002/657/EC გადაწყვეტილებას¹⁰¹, რომელიც ადგენს მოთხოვნებს ამ მონიტორინგისას გამოსაყენებელი ლაბორატორიული მეთოდებისა და გაზომვათა შედეგების ინტერპრეტირებისადმი.

უფრო, გვიან, 2017 წელს განხორციელდება სასმელი წყლის ხარისხის მარეგულირებელი კანონმდებლობის აპროქსიმაცია ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან (98/83/EC დირექტივა¹⁰²), ხოლო მინერალური წყლების ხარისხის მარეგულირებელი კანონმდებლობის მიახლოება მინერალური და წყაროს წყლების შემადგენლობისა და დაშვებული დამუშავების საშუალებების, აგრეთვე ეტიკეტირების მოთხოვნების დამდგენ 2003/40/EC დირექტივასთან¹⁰³ - 2020 წლისთვის არის გათვალისწინებული.

2015 წელს აგრეთვე დაგეგმილია საქართველოს კანონმდებლობის ევროპულთან შესაბამისობაში მოყვანა სურსათთან შეხებაში მყოფ მასალების რეგულირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, იგეგმება აპროქსიმაცია შესაბამის ჩარჩო-რეგულაციასთან (რეგულაცია 1935/2004¹⁰⁴), რომელიც ეხება არა მარტო სურსათის შესაფუთ მასალას, ტარას და ჭურჭელს, არამედ აგრეთვე წებოს და საღებავებს, რომელიც სურსათის ეტიკეტისთვის გამოიყენება. რეგულაცია ადგენს ზოგად წესს, რომლის მიხედვით დაუშვებელია სურსათთან შეხებაში მყოფი მასალიდან სურსათში გადავიდეს რაიმე ნივთიერება, რომელიც უქმნის საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობას, დაუშვებლად ცვლის სურსათის შემადგენლობას ან აუარესებს მის ორგანოლეპტიკურ თვისებებს.

ევროკავშირის კანონმდებლობა ითვალისწინებს უფრო კონკრეტულ, სპეციალურ წესებს ოთხი ტიპის შესაფუთი მასალისთვის: კერამიკა, პლასტიკური მასალები, ალდგენილი ცელულოზა და ე.წ. „აქტიური“ ან „ჰკვიანი“ შეფუთვა (სპეციალური შესაფუთი მასალები/ტარა, რომელიც უხანგრძლივებს პროდუქტს შენახვის ვადას, ან რეაგირებს პროდუქტის დაღვრაზე ან გაჟონვაზე - მაგალითად ფერს იცვლის). 2015 წელს გათვალისწინებულია ამ წესებიდან ერთერთის - 10/2011 რეგულაციის¹⁰⁵ აპროქსიმაცია, რომელიც ადგენს სურსათის შესაფუთად (ტარად) გამოყენებისთვის დასაშვები პლასტიკური მასალის¹⁰⁶ ჩამონათვალს. აპროქსიმაციის გეგმის

¹⁰¹ Commission Decision of 12 August 2002 implementing Council Directive 96/23/EC concerning the performance of analytical methods and the interpretation of results.

¹⁰² Council Directive 98/83/EC of 3 November 1998 on the quality of water intended for human consumption.

¹⁰³ Commission Directive 2003/40/EC of 16 May 2003 establishing the list, concentration limits and labelling requirements for the constituents of natural mineral waters and the conditions for using ozone-enriched air for the treatment of natural mineral waters and spring waters.

¹⁰⁴ Regulation (EC) No 1935/2004 of the European Parliament and of the Council of 27 October 2004 on materials and articles intended to come into contact with food.

¹⁰⁵ Commission Regulation (EU) No 10/2011 of 14 January 2011 on plastic materials and articles intended to come into contact with food.

¹⁰⁶ უფრო ზუსტად, რეგულაცია ადგენს სურსათის შესაფუთად გამოსაყენებელი პლასტიკური მასალის მიღებისათვის დაშვებული მონომერების და დამხმარე ნივთიერებების ჩამონათვალს (სუპ 988 ნივთიერება). ეს მონაცემები ხელმისაწვდომია საგანგებო მონაცემთა ბაზაში, მისამართზე https://webgate.ec.europa.eu/sanco_foods/?sector=FCM

დღევანდელი ვერსია სხვა შესაფუთი მასალის მარეგულირებელ აქტებს არ შეიცავს. სავარაუდოდ ისინი გეგმას მომავალში დაემატება.

გეგმის მიხედვით, 2015 წელს აგრეთვე გადაიხედება სურსათის ეტიკეტირების (აგრეთვე სურსათის წარდგენისა და რეკლამის) დღეს არსებული წესები, მათი ევროკავშირის მოთხოვნებთან მიახლოებისთვის. გეგმაში ამ მიმართულებით აპროქსიმაციის საფუძვლად მითითებულია 2000/13/EC დირექტივა¹⁰⁷, თუმცა ვინაიდან 2014 წლის 13 დეკემბრიდან იგი უქმდება და ჩანაცვლდება 1169/2011 რეგულაციით¹⁰⁸, აპროქსიმაციის საფუძველი, ცხადია, ეს უკანასკნელი იქნება¹⁰⁹. აპროქსიმაცია მოიცავს აგრეთვე 1924/2006 რეგულაციას¹¹⁰, რომელიც სასურსათო პროდუქტებზე მათი კვებითი ღირებულების ან ჯანმრთელობაზე მათი ზეგავლენის თაობაზე განაცხადების დასაშვებობას და შინაარსს ადგენს.

2016-2018 წლებში განხორციელდება ევროკავშირის იმ კანონმდებლობასთან მიახლოება, რომელიც სურსათის ტექნოლოგიური დანამატების, არომატიზატორების და ფერმენტების გამოყენებას არეგულირებს (ე.წ. „სურსათის გამაუმჯობესებლების“ მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პაკეტი). კერძოდ, 2016 წელს დაგეგმილია 1331/2008¹¹¹ რეგულაციის გადმოტანა საქართველოს კანონმდებლობაში, რომელიც ამ ნივთიერებათა რეგულირების ზოგად პრინციპებს ადგენს: რომ გამოსაყენებლად დაიშვება მხოლოდ ის საკვებდანამატი, რომელიც უვნებელია, შესაბამისი ფუნქციისთვის აუცილებელია და გამართლებულია (ეკონომიკური თვალსაზრისით) და ისიც - მხოლოდ კარგი პრაქტიკის მიდგომების ფარგლებში, რაც სურსათში ამ ნივთიერებათა შემცველობის შეძლებისდაგვარად მინიმუმაციას გულისხმობს. 2018 წელს კი მოხდება აპროქსიმაცია იმ რეგულაციებთან, რომელიც კონკრეტულად ადგენს დასაშვებ საკვებდანამატებს/არომატიზატორებს და ფერმენტებს, გრეთვე სურსათს, რომელშიც მათი გამოყენება დაიშვება და დანამატების დასაშვებ რაოდენობებს სხვადასხვა ტიპის სურსათში:

- რეგულაცია 1333/2008¹¹², რომელიც შეიცავს დაშვებული საკვებდანამატების ჩამონათვალს¹¹³;

¹⁰⁷ Directive 2000/13/EC of the European Parliament and of the Council of 20 March 2000 on the approximation of the laws of the Member States relating to the labelling, presentation and advertising of foodstuffs.

¹⁰⁸ Regulation (EU) No 1169/2011 of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on the provision of food information to consumers.

¹⁰⁹ ევროკავშირის მოთხოვნები სურსათის ეტიკეტირების, წარდგენისა და რეკლამისადმი დეტალურად იხ. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის პუბლიკაციაში : „სურსათის რეგულირება ევროკავშირში: სურსათის ეტიკეტირება“, http://momxmarebeli.ge/images/file_409388.pdf.

¹¹⁰ Regulation (EC) No 1924/2006 of the European Parliament and of the Council of 20 December 2006 on nutrition and health claims made on foods.

¹¹¹ Regulation (EC) No 1331/2008 of the European Parliament and of the Council of 16 December 2008 establishing a common authorisation procedure for food additives, food enzymes and food flavourings.

¹¹² Regulation (EC) No 1333/2008 of the European Parliament and of the Council of 16 December 2008 on food additives.

- რეგულაცია 1332/2008¹¹⁴, რომელიც შეიცავს დაშვებული არომატიზატორების ჩამონათვალს¹¹⁵;
- რეგულაცია 1334/2008¹¹⁶, რომლის მიხედვით ამჟამად ყალიბდება ევროკავშირში დაშვებული ფერმენტების ჩამონათვალი.¹¹⁷

2017-2019 წლებში იგეგმება ე.წ. „სპეციალური კვებითი დანიშნულების“ სურსათის მარეგულირებელი აქტების პაკეტის გადმოტანა ქართულ კანონმდებლობაში. კერძოდ, 2017 წელს განხორციელდება მცირეწლოვან ბავშვთა კვების პროდუქტების (ბურღულეულის ფაფები და სხვა) შემადგენლობისა და ეტიკეტირების მარეგულირებელ 2006/125/EC დირექტივასთან აპროქსიმაცია, ხოლო 2019 წელს კი - ამ ჯგუფის სხვა პროდუქტების მარეგულირებელ აქტებთან:

- 2009/39/EC დირექტივასთან¹¹⁸, რომელიც „სპეციალური კვებითი დანიშნულების“ სურსათთან დაკავშირებულ ზოგად მოთხოვნებს ადგენს. კერძოდ: რომ ასეთი სურსათი გასაყიდად დაიშვება მხოლოდ წინასწარ დაფასობულ მდგომარეობაში და რომ იგი შესაფერისი და უვნებელი უნდა იყოს იმ კატეგორიის მომხმარებლებისთვის, რომლისთვისაც განკუთვნილია,
- 2006/141/EC დირექტივასთან¹¹⁹, რომელიც არეგულირებს ჩვილი ბავშვებისთვის განკუთვნილ, დედის რძის შემცვლელი პროდუქტების შემადგენლობას და ეტიკეტირებას;
- 1999/21/EC დირექტივასთან¹²⁰, რომელიც არეგულირებს იმავე საკითხებს სპეციალური სამკურნალო დანიშნულების სურსათისთვის;
- 41/2009 რეგულაციასთან¹²¹, რომელიც ადგენს განსაკუთრებულ წესებს იმ სურსათისთვის, რომელიც გლუტენისადმი¹²² ალერგიული ადამიანებისთვისაა განკუთვნილი.

¹¹³ ევროკავშირში სხვადასხვა სურსათში დაშვებული საკვებდანამატების მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომია ევროკომისიის ვებ-გვერდზე, მისამართზე https://webgate.ec.europa.eu/sanco_foods/?sector=FAD.

¹¹⁴ Regulation (EC) No 1332/2008 of the European Parliament and of the Council of 16 December 2008 on food enzymes.

¹¹⁵ ევროკავშირში დაშვებული არომატული ნივთიერებების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია მისამართზე <http://ec.europa.eu/food/food/chemicalsafety/flavouring/database>.

¹¹⁶ Regulation (EC) No 1334/2008 of the European Parliament and of the Council of 16 December 2008 on flavourings and certain food ingredients with flavouring properties for use in and on foods.

¹¹⁷ მეტი დეტალებისთვის ამ საკითხზე შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის პუბლიკაცია: „სურსათის რეგულირება ევროკავშირში: სურსათის (არასაკვები) დანამატები“, http://www.momxmarebeli.ge/images/file_677746.pdf

¹¹⁸ Directive 2009/39/EC of the European Parliament and of the Council of 6 May 2009 on foodstuffs intended for particular nutritional uses.

¹¹⁹ Commission Directive 2006/141/EC of 22 December 2006 on infant formulae and follow-on formulae and amending Directive 1999/21/EC.

¹²⁰ Commission Directive 1999/21/EC of 25 March 1999 on dietary foods for special medical purposes.

¹²¹ Commission Regulation (EC) No 41/2009 of 20 January 2009 concerning the composition and labelling of foodstuffs suitable for people intolerant to gluten.

¹²² ცილა, რომელიც შედის რიგი ბურღულეულის (ხორბალი, ჭვავი, ქერი, შვრია) შემადგენლობაში.

- 953/2009 რეგულაციასთან ¹²³, რომელიც ამ სპეციალური დანიშნულების სურსათისთვის ვიტამინების და მინერალების დამატების წესებს (დაშვებულ მინერალებს და ვიტამინებს, დაშვებულ რაოდენობებს და მათი ეტიკეტზე მითითების წესებს) ადგენს.

ნიშანდობლივია, რომ ევროკავშირში 2016 წლის 20 ივლისიდან „სპეციალური კვებითი დანიშნულების“ სურსათის მარეგულირებელი ყველა ჩამოთვლილი აქტი გაუქმდება და ჩანაცვლდება მომხმარებელთა ცალკეული ჯგუფებისთვის განკუთვნილი სურსათის მარეგულირებელი ერთიანი 609/2013 რეგულაციით ¹²⁴. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის აპროქსიმაცია ამ ერთიან რეგულაციასთან განხორციელდება.

გენმოდირებული პროდუქციის წარმოების, გამოყენების და ეტიკეტირების მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობის მოწესრიგებას აპროქსიმაციის გეგმა 2017 წელს ითვალისწინებს. კერძოდ, ამ მიმართულებით აპროქსიმაცია მოიცავს შემდეგ ნორმატიულ აქტებს:

- 1829/2003 რეგულაციას ¹²⁵, რომელიც ეხება გენმოდირებული ორგანიზმებისგან წარმოებულ ან მათ შემცველ სურსათს და ცხოველთა საკვებს, ან ამ მიზნით გამოსაყენებელ გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებს და ადგენს ასეთი პროდუქტების დაშვების (ავტორიზაციის) პროცედურას ¹²⁶ და მათი ეტიკეტირების წესებს; აგრეთვე 641/2004 რეგულაციას¹²⁷, რომელიც ამ წესებს კიდევ უფრო აკონკრეტებს;
- 1830/2003 რეგულაციას ¹²⁸, რომელიც ადგენს გენმოდირებული ორგანიზმებისგან წარმოებული პროდუქციის მიკვლევადობის განსაკუთრებულ წესებს ¹²⁹, მაგალითად მოთხოვნას, რომ არა მხოლოდ დაფასოებულ, არამედ დაუფასოებელ ან დასაფასოებელ სურსათს/მასალას,

¹²³ Commission Regulation (EC) No 953/2009 of 13 October 2009 on substances that may be added for specific nutritional purposes in foods for particular nutritional uses.

¹²⁴ Regulation (EU) No 609/2013 of the European Parliament and of the Council of 12 June 2013 on food intended for infants and young children, food for special medical purposes, and total diet replacement for weight control.

¹²⁵ Regulation (EC) No 1829/2003 of the European Parliament and of the Council of 22 September 2003 on genetically modified food and feed.

¹²⁶ ევროკავშირში გამოსაყენებლად დაშვებული გენმოდირებული ორგანიზმების რეესტრი ხელმისაწვდომია მისამართზე http://ec.europa.eu/food/dyna/gm_register.

¹²⁷ Commission Regulation (EC) No 641/2004 of 6 April 2004 on detailed rules for the implementation of Regulation (EC) No 1829/2003 of the European Parliament and of the Council as regards the application for the authorisation of new genetically modified food and feed, the notification of existing products and adventitious or technically unavoidable presence of genetically modified material which has benefited from a favourable risk evaluation.

¹²⁸ Regulation (EC) No 1830/2003 of the European Parliament and of the Council of 22 September 2003 concerning the traceability and labelling of genetically modified organisms and the traceability of food and feed products produced from genetically modified organisms.

¹²⁹ ეს წესები აუცილებელია, ვინაიდან თუკი პროდუქტი მოდიფიცირებულ გენს ან ცილას აღარ შეიცავს (მაგალითად გმო-სახამებელი, ან გმო-ლეციტინი), მისი გმო-წარმომავლობის გარკვევა მხოლოდ მიკვლევადობის საშუალებით არის შესაძლებელი.

მათ შორის მისი წარმოების სტადიებზეც თან ახლდეს მითითება იმის თაობაზე, რომ იგი გენმოდიფიცირებულია.

აპროქსიმაციის ბოლოს, 2019-2020 წლებისთვის არის დაგეგმილი ისეთი სპეციალური სურსათის რეგულირების მოწესრიგება, როგორცაა დასახივებული სურსათი (1999/2/EC დირექტივა¹³⁰) და ე.წ. „ახალი სურსათი“ (Novel Food¹³¹, 258/97 რეგულაცია¹³²). ორივე ტიპის სურსათის წარმოებას სჭირდება საგანგებო ნებართვა (ავტორიზაცია). ნორმატიული აქტები ადგენს ამ ნებართვის მოთხოვნის და გაცემის პროცედურებს და პირობებს და აგრეთვე ეტიკეტირების განსაკუთრებულ მოთხოვნებს ასეთი ტიპის სურსათისთვის. აგრეთვე 2019 წლისთვისაა დაგეგმილი სურსათის სწრაფად გაყინვის წესების და ასეთი სურსათის შენახვის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის, ასევე ეტიკეტირების წესების განმსაზღვრელი 89/108 დირექტივის¹³³ გადმოტანა ქართულ კანონმდებლობაში.

2.2.8.2 ცხოველთა საკვების უვნებლობა

2015 წლიდან დაიწყო საქართველოს კანონმდებლობაში იმ ევროპული აქტების გადმოტანა, რომელიც ცხოველების საკვების უვნებლობას არეგულირებს. კერძოდ, 2015 წელს გადმოტანილი იქნება 183/2005 რეგულაცია¹³⁴, რომელიც ცხოველთა საკვების ჰიგიენას ეხება. რეგულაცია ადგენს ჰიგიენურ მოთხოვნებს ცხოველთა საკვების მოყვანის, დამუშავების, დაფასობის, შენახვის და ტრანსპორტირების ოპერაციებისა და შესაბამისი საწარმოებისადმი. დადგენილია მოთხოვნები მთლიანად ობიექტისადმი, მოწყობილობისადმი, პერსონალისა და მისი წვრთნისადმი, წარმოების სხვადასხვა ეტაპების ორგანიზებასა და მონიტორინგისადმი, აგრეთვე მითითებულია თუ რა დოკუმენტები უნდა იქონიოს და შეინახოს მეწარმემ. დადგენილია „ჰასპის“ სისტემის დანერგვის მოთხოვნა. უფრო რბილი მოთხოვნებია დადგენილი პირველადი წარმოებისადმი. რეგულაცია აგრეთვე ადგენს ცხოველთა საკვების მწარმოებლების რეგისტრაციის, ხოლო გარკვეული ტიპის საკვებისთვის (დანამატები, პრემიქსები, შედგენილი საკვები) - საწარმოს აღიარების მოთხოვნას.

¹³⁰ Directive 1999/2/EC of the European Parliament and of the Council of 22 February 1999 on the approximation of the laws of the Member States concerning foods and food ingredients treated with ionising radiation.

¹³¹ ეს არის სურსათი, რომელიც ევროკავშირის ტერიტორიაზე 1997 წლამდე ცნობილი არ იყო. შესაძლოა ეს იყოს სხვა ქვეყნებიდან შესული ბუნებრივი სურსათი, ან ახალი ტექნოლოგიით მიღებული სურსათი. ამგვარი „ახალი სურსათის“ კატალოგი ხელმისაწვდომია ევროკომისიის ვებ-გვერდზე, მისამართზე http://ec.europa.eu/food/food/biotechnology/novelfood/novel_food_catalogue_en.htm

¹³² Regulation (EC) No 258/97 of the European Parliament and of the Council of 27 January 1997 concerning novel foods and novel food ingredients.

¹³³ Council Directive 89/108/EEC of 21 December 1988 on the approximation of the laws of the Member States relating to quick-frozen foodstuffs for human consumption.

¹³⁴ Regulation (EC) No 183/2005 of the European Parliament and of the Council of 12 January 2005 laying down requirements for feed hygiene.

2016 წელს აპროქსიმაცია მოიცავს ცხოველთა საკვების შემადგენლობის მარეგულირებელ ორ ნორმატიულ აქტს:

- 2002/32/EC დირექტივას¹³⁵ ცხოველთა საკვებში არასასურველი ნივთიერებების თაობაზე, რომელიც ადგენს „არასასურველი ნივთიერების“ ცნებას და რიგი ასეთი ნივთიერებების (მაგ.: დარიშხანი, კადმიუმი, ფტორი, ტყვია, ვერცხლისწყალი, ნიტრიტები, მელამინი, მიკოტოქსინები, მცენარეული ბუნებრივი ტოქსინები, ქლორშემცველი ორგანული ნივთიერებები, დიოქსინები და სხვა) ზღვრულ დასაშვებ ოდენობებს ცხოველთა საკვებში. დირექტივა აგრეთვე ითხოვს, რომ ზღვრული დონეების გადაჭარბების შემთხვევაში გამოძიებული იყოს ნივთიერების საკვებში მოხვედრის მიზეზი და წყარო.
- 1831/2003 რეგულაციას¹³⁶, რომელიც ადგენს ცხოველთა საკვების დანამატების¹³⁷ დაშვების წესებსა და პროცედურებს. თავად დაშვებული დანამატების ჩამონათვალი (რეესტრი) ევროკომისიის მიერ გამოიცემა საინფორმაციო დოკუმენტის სახით და ხელმისაწვდომია ინტერნეტის საშუალებით¹³⁸. ზემოთ მითითებული 1831/2003 რეგულაციის მიხედვით, ცხოველთა საკვების დანამატების, აგრეთვე მათი შემცველი პრემიქსების ან ცხოველთა შედგენილი საკვების წარმოებას ესაჭიროება საწარმოს ოფიციალური აღიარება შესაბამისი უწყების მიერ.

2017 წელს მოწესრიგდება ცხოველური საკვების მარკეტინგის საკითხები. კერძოდ, ქართულ კანონმდებლობაში გადმოტანილი იქნება 767/2009 რეგულაცია¹³⁹, რომელიც ადგენს ზოგად მოთხოვნებს ბაზარზე გატანილი ცხოველთა საკვებისადმი (აქ იგულისხმება როგორც უვნებლობის, ასევე ზოგადი მარკეტინგული მოთხოვნები - რომ პროდუქტი იყოს საღი, ნამდვილი, სარეალიზაციო ხარისხის და ა.შ), აგრეთვე მათი შეფუთვის, ეტიკეტირების და მიკვლევადობის წესებს. რეგულაცია აგრეთვე ითვალისწინებს ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი მასალების კატალოგის

¹³⁵ Directive 2002/32/EC of the European Parliament and of the Council of 7 May 2002 on undesirable substances in animal feed.

¹³⁶ Regulation (EC) No 1831/2003 of the European Parliament and of the Council of 22 September 2003 on additives for use in animal nutrition.

¹³⁷ განსხვავებით სურსათის დანამატებისგან (food additives), ცხოველთა საკვების დანამატებს (feed additives) განეკუთვნება არა მხოლოდ ის ნივთიერებები/მასალა, რომელიც სურსათს ამა თუ იმ ტექნოლოგიური მიზნით (მაგ. ფერის შესაცვლელად, უკეთ შესანახად, სტრუქტურის გასაუმჯობესებლად, გემოს გასაუმჯობესებლად) ემატება, არამედ აგრეთვე კვებითი ღირებულების მქონე ნივთიერებები (მინერალები, ვიტამინები, ცხიმები, ცილები და სხვა).

¹³⁸ რეესტრის უკანასკნელი გამოცემები რეგულარულად ქვეყნდება

http://ec.europa.eu/food/food/animalnutrition/feedadditives/registeradditives_en.htm ვებ-გვერდზე

¹³⁹ Regulation (EC) No 767/2009 of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 on the placing on the market and use of feed.

დამტკიცებას. ბოლო ასეთი კატალოგი ევროკომისიის 68/2013 რეგულაციით¹⁴⁰ არის დამტკიცებული.

2018-19 წლებში ქართულ კანონმდებლობაში გადმოტანილი იქნება ევროპული ნორმები, რომლებიც ცხოველთა კვებაში ჰორმონების ან მსგავსი ეფექტის მქონე ნივთიერებების (თირეოსტატიკების, ბეტა აგონისტების) გამოყენებას კრძალავს (96/22/EC დირექტივა¹⁴¹).

2.2.8.3 ცხოველთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფა

ცხოველთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფა ცხოველთა და მათი გადაადგილებების აღრიცხვას და რეგულარულ ვეტერინარულ შემოწმებებს ეფუძნება, რაც დაავადებული ცხოველის ან ცხოველთა ჯგუფის იზოლირების (შესაძლოა - განადგურების) და ამ გზით დაავადებათა ლოკალიზების და მათი გავრცელების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. შესაბამისად, აპროქსიმაციის გეგმა პირველ რიგში ცხოველების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ღონისძიებებისათვის საჭირო ნორმატიული ბაზის მოწესრიგებას ითვალისწინებს. პირველ რიგში ეს შეეხება მსხვილფეხა საქონელს, შემდეგ კი - თხეებს, ცხვრებს და ღორებს.

კერძოდ, 2014 წლის ბოლომდე მოწესრიგდება მსხვილფეხა საქონლის რეგისტრაციის და საქონლის ხორცის კონკრეტულ ცხოველამდე მიკვლევის უზრუნველყოფი საკანონმდებლო ბაზა. ამისათვის, აპროქსიმაცია მოიცავს 760/2000 რეგულაციას¹⁴², რომელიც მსხვილფეხა საქონლის რეგისტრაციის, მისი გადაადგილების აღრიცხვის და აგრეთვე საქონლიდან მიღებული ხორცისა და მისი პროდუქტების იდენტიფიცირების და ეტიკეტზე ამ საიდენტიფიკაციო ინფორმაციის მითითების სისტემას ადგენს. გადმოტანილი იქნება აგრეთვე ამ რეგულაციის დამხმარე აქტები:

- ევროკომისიის 1082/2003 რეგულაცია¹⁴³, რომელიც ადგენს ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სისტემის კონტროლის წესებს.
- ევროკომისიის 1825/2000 რეგულაცია¹⁴⁴, რომელიც აკონკრეტებს საქონლის ხორცის ეტიკეტირების წესებს;

¹⁴⁰ Commission Regulation (EU) No 68/2013 of 16 January 2013 on the Catalogue of feed materials.

¹⁴¹ Council Directive 96/22/EC of 29 April 1996 concerning the prohibition on the use in stockfarming of certain substances having a hormonal or thyrostatic action and of β -agonists.

¹⁴² Regulation (EC) No 1760/2000 of the European Parliament and of the Council of 17 July 2000 establishing a system for the identification and registration of bovine animals and regarding the labelling of beef and beef products and repealing Council Regulation (EC) No 820/97.

¹⁴³ Commission Regulation (EC) No 1082/2003 of 23 June 2003 laying down detailed rules for the implementation of Regulation (EC) No 1760/2000 of the European Parliament and of the Council as regards the minimum level of controls to be carried out in the framework of the system for the identification and registration of bovine animals.

¹⁴⁴ Commission Regulation (EC) No 1825/2000 of 25 August 2000 laying down detailed rules for the application of Regulation (EC) No 1760/2000 of the European Parliament and of the Council as regards the labelling of beef and beef products.

- ევროკომისიის 911/2004 რეგულაცია¹⁴⁵, რომელიც აკონკრეტებს ცხოველების საყურე ნიშნებთან, პასპორტებთან და საწარმოების აღრიცხვა-რეგისტრაციასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებს;

2015 წელს კი დაგეგმილია საქართველოს კანონმდებლობაში ევროკომისიის 494/98 რეგულაციის¹⁴⁶ გადმოტანა, რომელიც საქონლის რეგისტრაციის დასრულებას ემსახურება, საკმაოდ მკაცრი სადამსჯელო ღონისძიების დაწესების საშუალებით. კერძოდ, ამ აქტის მიხედვით, მაკონტროლებელი ორგანოს მიერ აღმოჩენილი არარეგისტრირებული მსხვილფეხა საქონელი ექვემდებარება განადგურებას, თუკი მისი პატრონი 2 სამუშაო დღის ვადაში ცხოველის იდენტიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენას ვერ შეძლებს.

2015 წელს დაიწყება წვრილფეხა საქონლისა და ღორების რეგისტრაციის სისტემების მარეგულირებელი აქტების გადმოტანა და ამოქმედება. კერძოდ ესენია:

- 21/2004 რეგულაცია¹⁴⁷, რომელიც ცხვრებისა და თხების რეგისტრაციის სისტემას აფუძნებს. აგრეთვე მისი დამხმარე აქტები:
 - 1505/2006 რეგულაცია¹⁴⁸, რომელიც სახელმწიფოს მიერ ამ სისტემის კონტროლისა და შემოწმების მინიმალურ წესებს ადგენს (ფერმების რა წილი უნდა შემოწმდეს ყოველწლიურად, როგორ უნდა შეირჩეს შესამოწმებელი ფერმა, რამდენი ხნით ადრე შეიძლება ეცნობოს მეპატრონეს შემოწმების შესახებ, რამდენი ცხოველი უნდა შემოწმდეს თითოეულ ფერმაში და ა.შ.);
 - 2006/968/EC გადაწყვეტილება¹⁴⁹, რომელიც ცხოველთა იდენტიფიკაციის ელექტრონული სისტემის აწყობის დეტალებს აკონკრეტებს;
- 2008/71/EC დირექტივა¹⁵⁰, რომელიც ღორების რეგისტრაციის სისტემას აფუძნებს.

პარალელურად 2015-2016 წლებში საქართველოს კანონმდებლობაში გადმოტანილი იქნება ევროკავშირის ნორმატიული აქტები, რომელიც ცხოველებისა და ფრინველების ცალკეულ ინფექციურ დაავადებებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების (აგრეთვე პრევენციისა და აღმოფხვრის) ზომებს ევროპულ

¹⁴⁵ Commission Regulation (EC) No 911/2004 of 29 April 2004 implementing Regulation (EC) No 1760/2000 of the European Parliament and of the Council as regards eartags, passports and holding registers.

¹⁴⁶ Commission Regulation (EC) No 494/98 of 27 February 1998 laying down detailed rules for the implementation of Council Regulation (EC) No 820/97 as regards the application of minimum administrative sanctions in the framework of the system for the identification and registration of bovine animals.

¹⁴⁷ Council Regulation (EC) No 21/2004 of 17 December 2003 establishing a system for the identification and registration of ovine and caprine animals.

¹⁴⁸ Commission Regulation (EC) No 1505/2006 of 11 October 2006 implementing Council Regulation (EC) No 21/2004 as regards the minimum level of checks to be carried out in relation to the identification and registration of ovine and caprine animals.

¹⁴⁹ Commission Decision of 15 December 2006 implementing Council Regulation (EC) No 21/2004 as regards guidelines and procedures for the electronic identification of ovine and caprine animals.

¹⁵⁰ Council Directive 2008/71/EC of 15 July 2008 on the identification and registration of pigs.

მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანს. კერძოდ, მოცული იქნება შემდეგი დაავადებები:

- ღორის კლასიკური ჭირი (2001/89/EC დირექტივა¹⁵¹);
- ღორის აფრიკული ჭირი (2002/60/EC დირექტივა¹⁵²);
- ნიუკასტლის დაავადება (92/66/EEC დირექტივა¹⁵³);
- ბლუტანგი (2000/75/EC დირექტივა¹⁵⁴);
- თურქული (2003/85/EC დირექტივა¹⁵⁵);
- ფრინველის გრიპი (2005/94/EC დირექტივა¹⁵⁶);
- სხვა იშვიათი დაავადებები, მათ შორის: ღორის ვეზიკულარული დაავადება, მსხვილფეხა საქონლის ჭირი, ცხვრისა და თხის ჭირი და სხვა (92/119/EEC დირექტივა¹⁵⁷);

2015-2016 წლებში აგრეთვე გადმოტანილი იქნება აქტები, რომელიც ცხოველებისა და ფრინველების შედარებით გავრცელებული დაავადებების¹⁵⁸ და დაავადებათა გადამტანი აგენტების გავრცელების შეფასების (მონიტორინგის) და გეგმაზომიერი შემცირებისა და აღმოფხვრის ღონისძიებებს ადგენს. კერძოდ:

- 2003/99/EC დირექტივა¹⁵⁹, რომელიც ადგენს ქვეყნის მიერ ცხოველთა დაავადებების და დაავადებათა გადამტანი აგენტების მონიტორინგის ვალდებულებას. პირველ რიგში ეს ეხება ისეთ დაავადებებს/აგენტებს, როგორცაა ბრუცელოზი, კამპილობაქტერია, ექინოკოკი, ლისტერია, სალმონელა, ტრიქინელა, ტუბერკულოზი, ვეროტოქსინის წარმომქმნელი ეშერიქია კოლი. დირექტივა კონკრეტულად ადგენს ცალკეული დაავადებების/დაავადებათა გამომწვევის მონიტორინგის მახასიათებლებს (რომელ ცხოველში/ფრინველში, რა სიხშირით, რა სტადიაზე, რა პარამეტრის შემოწმება უნდა მოხდეს და ა.შ).

¹⁵¹ Council Directive 2001/89/EC of 23 October 2001 on Community measures for the control of classical swine fever.

¹⁵² Council Directive 2002/60/EC of 27 June 2002 laying down specific provisions for the control of African swine fever and amending Directive 92/119/EEC as regards Teschen disease and African swine fever.

¹⁵³ Council Directive 92/66/EEC of 14 July 1992 introducing Community measures for the control of Newcastle disease.

¹⁵⁴ Council Directive 2000/75/EC of 20 November 2000 laying down specific provisions for the control and eradication of bluetongue.

¹⁵⁵ Council Directive 2003/85/EC of 29 September 2003 on Community measures for the control of foot-and-mouth disease repealing Directive 85/511/EEC and Decisions 89/531/EEC and 91/665/EEC and amending Directive 92/46/EEC.

¹⁵⁶ Council Directive 2005/94/EC of 20 December 2005 on Community measures for the control of avian influenza and repealing Directive 92/40/EEC.

¹⁵⁷ Council Directive 92/119/EEC of 17 December 1992 introducing general Community measures for the control of certain animal diseases and specific measures relating to swine vesicular disease.

¹⁵⁸ ეს არ ეხება მსხვილფეხა საქონლის ღრუბლისებრ ენცეფალოპათიას.

¹⁵⁹ Directive 2003/99/EC of the European Parliament and of the Council of 17 November 2003 on the monitoring of zoonoses and zoonotic agents, amending Council Decision 90/424/EEC and repealing Council Directive 92/117/EEC.

- 78/52/EEC დირექტივა¹⁶⁰, რომელიც მსხვილფეხა საქონლის ბრუცელოზის, ტუბერკულოზისა და ლეიკოზის აღმოფხვრის ეროვნული გეგმების მახასიათებლებს ადგენს;
- რეგულაცია, რომელიც ცხოველებსა და ფრინველებში სალმონელას ჯგუფის ბაქტერიების გავრცელების შესამცირებელ ღონისძიებებს და შესაბამისი ეროვნული გეგმების მახასიათებლებს აწესებს;
- 2075/2005 რეგულაცია¹⁶¹, რომელიც აწესებს ხორცში (ძირითადად ღორის ხორცში) პარაზიტული ჭიის - ტრიქინელას კონტროლის ღონისძიებებს;
- 999/2001 რეგულაცია¹⁶², რომელიც ადგენს მსხვილფეხა საქონლის ღრუბლისებრი ენცეფალოპათიის (ე.წ. ძროხის სიგიჟის დაავადების) რეგულარული მონიტორინგის და პრევენციის ღონისძიებებს.

2016 წლიდან დაიწყება საქართველოს კანონმდებლობაში ევროპული ნორმების დიდი პაკეტის გადმოტანა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ცხოველების/ფრინველების ჯანმრთელობის დაცვის წესებს ადგენს. პირველ რიგში ეს იქნება 2002/99/EC ჩარჩო-დირექტივა¹⁶³, რომელიც კრძალავს ცხოველური პროდუქტების წარმოებას არა მარტო დაავადებული ცხოველებისგან, არამედ აგრეთვე იმ ცხოველებისგან, რომელიც იმავე ფერმაში ან ამ ფერმის გარშემო, დაავადების გავრცელების ტერიტორიებზე იმყოფება¹⁶⁴. ეს მოთხოვნა ეხება ისეთ დაავადებებს, როგორცაა ღორის კლასიკური ჭირი, ღორის აფრიკული ჭირი, თურქული, ფრინველის გრიპი, ნიუკასტლის დაავადება, მსხვილფეხა საქონლის ჭირი, ცხვრისა და თხის ჭირი, ღორის ვეზიკულარული დაავადება და წყლის ცხოველების რიგი დაავადებები.

ამ დირექტივის მოთხოვნების შესრულებას ემსახურება 2016-17 წლებში გადმოსატანად დაგეგმილი დირექტივები ცხოველების და ცხოველური პროდუქტების ტრანსპორტირებისას მათი ვეტერინარული შემოწმების თაობაზე. გათვალისწინებულია დაახლოება (აპროქსიმაცია) როგორც ევროკავშირის შიდა გადაადგილებების მარეგულირებელ აქტებთან (90/425/EEC დირექტივა¹⁶⁵ -

¹⁶⁰ Council Directive 78/52/EEC of 13 December 1977 establishing the Community criteria for national plans for the accelerated eradication of brucellosis, tuberculosis and enzootic leukosis in cattle.

¹⁶¹ Commission Regulation (EC) No 2075/2005 of 5 December 2005 laying down specific rules on official controls for Trichinella in meat.

¹⁶² Regulation (EC) No 999/2001 of the European Parliament and of the Council of 22 May 2001 laying down rules for the prevention, control and eradication of certain transmissible spongiform encephalopathies.

¹⁶³ Council Directive 2002/99/EC of 16 December 2002 laying down the animal health rules governing the production, processing, distribution and introduction of products of animal origin for human consumption.

¹⁶⁴ განსაკუთრებულ შემთხვევებში დაიშვება ხორცის გამოყენება დაავადების გავრცელების ტერიტორიიდან (მაგრამ არა იმავე ფერმიდან). ასეთ შემთხვევაში ხორცზე უნდა გაკეთდეს სპეციალური ნიშანი (ჯვარედინად გადახაზული ჯანმრთელობის ნიშანი) და პროდუქტი დაექვემდებაროს რეგულაციაში მითითებულ გაუფნებელყოფის ღონისძიებებს.

¹⁶⁵ Council Directive 90/425/EEC of 26 June 1990 concerning veterinary and zootechnical checks applicable in intra-Community trade in certain live animals and products with a view to the completion of the internal market.

ცხოველების კონტროლი, 89/662/EEC დირექტივა¹⁶⁶ - ცხოველური პროდუქტების კონტროლი) ასევე ევროკავშირში მესამე ქვეყნებიდან შეტანილი ცხოველებისა და პროდუქტების ვეტერინარული შემოწმების წესებთან (91/496/EEC დირექტივა¹⁶⁷ - ცხოველების კონტროლი, 97/78/EC დირექტივა¹⁶⁸ - ცხოველური პროდუქტების კონტროლი).

შემდგომში, 2017-2019 წლებში, გათვალისწინებულია ცალკეული ტიპის ცხოველების/ფრინველების ჯანმრთელობის უზრუნველყოფის წესების ეტაპობრივი გადმოტანა საქართველოს კანონმდებლობაში. კერძოდ:

- 90/539/EEC დირექტივა¹⁶⁹, რომელიც შინაური ფრინველებისა და მათი სანაშენე კვერცხით ვაჭრობისა და იმპორტის წესებს ადგენს (ამჟამად უკვე ჩანაცვლებულია 2009/158/EC დირექტივით¹⁷⁰);
- 64/432/EEC დირექტივა¹⁷¹, რომელიც მსხვილფეხა საქონლისა და ღორების ტრანსპორტირების წესებს ადგენს;
- 91/68/EEC დირექტივა¹⁷², რომელიც ცხვრისა და თხის ტრანსპორტირების და ვაჭრობის წესებს ადგენს;
- 2006/88/EC დირექტივა¹⁷³, რომელიც ტრანსპორტირებისა და ვაჭრობისთვის განკუთვნილი თევზის, მოლუსკის და კიბოსნაირების ჯანმრთელობის წესებს ადგენს;
- 998/2003 რეგულაცია¹⁷⁴, რომელიც ადგენს მოთხოვნებს სხვა შინაური (ან მოშინაურებული) ცხოველების ქვეყნებს შორის არა-კომერციული მიზნით გადაადგილებისას;

¹⁶⁶ Council Directive 89/662/EEC of 11 December 1989 concerning veterinary checks in intra-Community trade with a view to the completion of the internal market.

¹⁶⁷ Council Directive 91/496/EEC of 15 July 1991 laying down the principles governing the organization of veterinary checks on animals entering the Community from third countries and amending Directives 89/662/EEC, 90/425/EEC and 90/675/EEC.

¹⁶⁸ Council Directive 97/78/EC of 18 December 1997 laying down the principles governing the organisation of veterinary checks on products entering the Community from third countries.

¹⁶⁹ Council Directive 90/539/EEC of 15 October 1990 on animal health conditions governing intra-Community trade in, and imports from third countries of, poultry and hatching eggs.

¹⁷⁰ Council Directive 2009/158/EC of 30 November 2009 on animal health conditions governing intra-Community trade in, and imports from third countries of, poultry and hatching eggs.

¹⁷¹ Council Directive of 26 June 1964 on animal health problems affecting intra-Community trade in bovine animals and swine.

¹⁷² Council Directive 91/68/EEC of 28 January 1991 on animal health conditions governing intra-Community trade in ovine and caprine animals.

¹⁷³ Council Directive 2006/88/EC of 24 October 2006 on animal health requirements for aquaculture animals and products thereof, and on the prevention and control of certain diseases in aquatic animals.

¹⁷⁴ Regulation (EC) No 998/2003 of the European Parliament and of the Council of 26 May 2003 on the animal health requirements applicable to the non-commercial movement of pet animals and amending Council Directive 92/65/EEC.

- 90/426/EEC დირექტივა ¹⁷⁵ , რომელიც ცხენისებრი ცხოველების ტრანსპორტირებისას მათი ჯანმრთელობის საკითხებს არეგულირებს (ამჟამად უკვე ჩანაცვლებულია 2009/156/EC დირექტივით¹⁷⁶);
- 92/65/EEC დირექტივა¹⁷⁷, რომელიც არეგულირებს ყველა სხვა ცხოველების, აგრეთვე მათი კვერცხუჯრედების, სპერმისა და ემბრიონების ჯანმრთელობის საკითხებს მათი იმპორტის და ვაჭრობისას;
- 92/118/EEC დირექტივა ¹⁷⁸ , რომელიც არეგულირებს ცხოველების ჯანმრთელობის უზრუნველყოფის საკითხებს ყველა სხვა ცხოველური პროდუქტების იმპორტისა და ტრანსპორტირებისას.

2.2.8.4 მცენარეთა დაცვა

ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც საქართველოს მცენარეთა დაცვის კანონმდებლობაში არის მოსალოდნელი, საქართველოს კანონმდებლობაში მცენარეთა დაცვის ძირითადი ევროპული ნორმატიული აქტის - 2000/29/EC დირექტივის¹⁷⁹ გადმოტანა წარმოადგენს. დირექტივა ადგენს მცენარეებისთვის მავნე ორგანიზმების ჩამონათვალს და კრძალავს ევროკავშირის ტერიტორიისთვის, ან მისი ცალკეული ნაწილებისთვის (ე.წ. მავნებლებისგან თავისუფალი ტერიტორიები“) უცხო მავნე ორგანიზმების შეტანას. ამ მიზნით ამ ტერიტორიებზე (ან მთლიანად ევროკავშირში) იკრძალება რიგი მცენარეების ან მცენარეული მასალის შეტანა სათანადო დამუშავების გარეშე (დამუშავების სახეები მითითებულია დირექტივაში). გარდა ამისა, დირექტივა ადგენს მცენარეების და მცენარეული მასალის ჩამონათვალს, რომელიც აუცილებლად, სულ ცოტა წელიწადში ერთხელ, ექვემდებარება სახელმწიფო ინსპექტირებას მავნებლების არსებობაზე; თუკი მავნებლები არ აღმოჩნდა, სახელმწიფო ორგანო გასცემს მცენარის/ მცენარეული მასალის პასპორტს. განსაკუთრებული დაცვის ზონებში მცენარეები და მასალა მხოლოდ ასეთი პასპორტის საფუძველზე დაიშვება.

აღნიშნული დირექტივის აღსრულების მიზნით ევროკომისიის¹⁸⁰ მიერ მთელი რიგი კონკრეტული წესები და პროცედურები არის დამტკიცებული. აპროქსიმაციის

¹⁷⁵ Council Directive 90/426/EEC of 26 June 1990 on animal health conditions governing the movement and import from third countries of equidae.

¹⁷⁶ Council Directive 2009/156/EC of 30 November 2009 on animal health conditions governing the movement and importation from third countries of equidae Text with EEA relevance.

¹⁷⁷ Council Directive 92/65/EEC of 13 July 1992 laying down animal health requirements governing trade in and imports into the Community of animals, semen, ova and embryos not subject to animal health requirements laid down in specific Community rules referred to in Annex A (I) to Directive 90/425/EEC.

¹⁷⁸ Council Directive 92/118/EEC of 17 December 1992 laying down animal health and public health requirements governing trade in and imports into the Community of products not subject to the said requirements laid down in specific Community rules referred to in Annex A (I) to Directive 89/662/EEC and, as regards pathogens, to Directive 90/425/EE.

¹⁷⁹ Council Directive 2000/29/EC of 8 May 2000 on protective measures against the introduction into the Community of organisms harmful to plants or plant products and against their spread within the Community.

¹⁸⁰ ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანო.

პროგრამა სამ მათგანს უთითებს, რომელიც მცენარეების ჯანმრთელობის შემოწმების პროცედურებსა და მეთოდებს ეხება (დირექტივები 98/22/EC¹⁸¹ და 2004/103/EC¹⁸² და 1756/2004 რეგულაცია¹⁸³).

თუმცა მითითებული დირექტივების საქართველოს კანონმდებლობაში გადმოტანა მხოლოდ 2016-17 წლებში იგეგმება. მანამდე, 2014 წელს, გადმოტანილი იქნება დირექტივები, რომელიც უფრო ვიწრო ტექნიკურ საკითხებს აგვარებს - ფიტოსანიტარული ტვირთების შეჩერებისა და შესაბამისი შეტყობინების პროცედურებს (94/3/EC დირექტივა¹⁸⁴) და განსაკუთრებულ შემთხვევებში, მეცნიერული მიზნებისათვის, დაცულ ზონებში მავნე ორგანიზმების შეტანისა და გადაადგილების პროცედურებს (2008/61/EC დირექტივა). 2015 წელს კი შეიქმნება მოსამზადებელი პლაცდარმი ზემოთ მოხსენიებული ფიტოსანიტარული დაცვის ჩარჩო-დირექტივასთან აპროქსიმაციისთვის. კერძოდ კანონმდებლობაში გადმოტანილი იქნება ნორმები მცენარეების და ცოცხალი მცენარეული პროდუქტების მწარმოებლების, საწყობების, გადამტვირთავების და იმპორტიორების სახელმწიფო რეგისტრაციის ვალდებულების თაობაზე (92/90/EEC დირექტივა¹⁸⁵).

საკანონმდებლო ცვლილებები შეეხება მცენარეთა კონკრეტულ დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებებსაც: აპროქსიმაციის პროგრამით 2014-2016 წლებში იგეგმება ქართულ კანონმდებლობაში იმ ნორმატიულ აქტების გადმოტანა, რომელიც მცენარეთა ზოგიერთი კონკრეტული დაავადების კონტროლის (გავრცელების აღკვეთის) ზომებს ადგენს. ესენია

- კარტოფილის კიბო (69/464/EEC დირექტივა¹⁸⁶);
- ფოთლის მხვევია (74/647/EEC დირექტივა¹⁸⁷);
- ნემატოდები კარტოფილში (2007/33/EC დირექტივა¹⁸⁸);
- კარტოფილის სიდამპლე (93/85/EEC დირექტივა¹⁸⁹);

¹⁸¹ Commission Directive 98/22/EC of 15 April 1998 laying down the minimum conditions for carrying out plant health checks in the Community, at inspection posts other than those at the place of destination, of plants, plant products or other objects coming from third countries.

¹⁸² Commission Directive 2004/103/EC of 7 October 2004 on identity and plant health checks of plants, plant products or other objects, listed in Part B of Annex V to Council Directive 2000/29/EC, which may be carried out at a place other than the point of entry into the Community or at a place close by and specifying the conditions related to these checks.

¹⁸³ Commission Regulation (EC) No 1756/2004 of 11 October 2004 specifying the detailed conditions for the evidence required and the criteria for the type and level of the reduction of the plant health checks of certain plants, plant products or other objects listed in Part B of Annex V to Council Directive 2000/29/EC.

¹⁸⁴ Commission Directive 94/3/EC of 21 January 1994 establishing a procedure for the notification of interception of a consignment or a harmful organism from third countries and presenting an imminent phytosanitary danger.

¹⁸⁵ Commission Directive 92/90/EEC of 3 November 1992 establishing obligations to which producers and importers of plants, plant products or other objects are subject and establishing details for their registration.

¹⁸⁶ Council Directive 69/464/EEC of 8 December 1969 on control of Potato Wart Disease.

¹⁸⁷ Council Directive 74/647/EEC of 9 December 1974 on control of carnation leaf-rollers.

¹⁸⁸ Council Directive 2007/33/EC of 11 June 2007 on the control of potato cyst nematodes.

¹⁸⁹ Council Directive 93/85/EEC of 4 October 1993 on the control of potato ring rot.

- კომსტოკის ცრუ ფარიანა (2006/91/EC დირექტივა¹⁹⁰);

გარდა მცენარეთა დაავადებებთან ბრძოლისა, SPS კანონმდებლობა ამ ბრძოლის საშუალებების უვნებლობასაც არეგულირებს. ამ მიმართულებით 2015 წელს საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვა შემდეგ ორ ევროპულ ნორმატიულ აქტთან:

- რეგულაცია 1107/2009 ¹⁹¹ , რომელიც მცენარეთა დაცვის საშუალებების რეგულირების საფუძველია, ადგენს, რომ მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენება დაიშვება მხოლოდ მისი აქტიური ნივთიერებების ოფიციალური დაშვების (ავტორიზაციის) შემთხვევაში (მსგავსი მოთხოვნა საქართველოში დღესაც მოქმედებს). რეგულაცია ადგენს ამ ავტორიზაციის მოთხოვნისა და გაცემის პროცედურებს, აგრეთვე მცენარეთა დაცვის საშუალებების ეტიკეტირების ზოგად მოთხოვნებს და ამ საშუალებების ოფიციალური კონტროლის პროცედურებს.
- 2009/128/EC დირექტივა ¹⁹² , რომელიც შხამქიმიკატების (პესტიციდების) მდგრადი გამოყენების წესებს ადგენს. დირექტივა ითხოვს სახელმწიფოს მიერ ძალისხმევის გაღებას შხამქიმიკატების ადამიანებზე და გარემოზე ზემოქმედების მინიმიზებისთვის. ეს მოიცავს შხამქიმიკატების გამყიდველების ინფორმირებას, სწავლებასა და სერტიფიცირებას. შხამქიმიკატების შესატანად გამოსაყენებელი მოწყობილობის რეგულარულ შემოწმებებს, შხამქიმიკატების ჰაერში გაფრქვევის მინიმუმამდე დაყვანას (ან აკრძალვას), ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, აგრეთვე სენსიტიური ბიოლოგიური ჰაბიტატების დაცვის ღონისძიებებს, მავნებლებისგან დაცვის ბუნებრივი მეთოდების გამოყენების ხელშეწყობას და სხვა.

2.3 კონკურენციის დაცვა

2.3.1 შესავალი

2.3.1.1 რატომ არის მნიშვნელოვანი კონკურენციის დაცვა

სამომხმარებლო საქონელი იწარმოება იმისთვის, რომ მოვიხმაროთ. ისტორიამ აჩვენა, რომ მოხმარებასა და წარმოებას შორის საუკეთესო უკუკავშირი თავისუფალი ბაზარია. საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პარადიგმა მდგომარეობს იმაში, რომ ბაზრის მოთამაშეები დამოუკიდებლად და თავისუფლად განსაზღვრავენ რა გაყიდონ და რა შეიძინონ. თავისუფალი ბაზარი შესაძლებლობას აძლევს მეწარმეს დაადგინოს რა სჭირდება მომხმარებელს და სწორედ ის აწარმოოს. ანუ, თავისუფალ ბაზარზე მომხმარებელი განსაზღვრავს, თუ რა უნდა იწარმოებოდეს.

¹⁹⁰ Council Directive 2006/91/EC of 7 November 2006 on control of San José Scale.

¹⁹¹ Regulation (EC) No 1107/2009 of the European Parliament and of the Council of 21 October 2009 concerning the placing of plant protection products on the market.

¹⁹² Directive 2009/128/EC of the European Parliament and of the Council of 21 October 2009 establishing a framework for Community action to achieve the sustainable use of pesticides.

თუმცა იმისთვის, რომ რესურსების ეფექტური გამანაწილებლის როლი შეასრულოს, აუცილებელია ბაზარი „თავისუფალი“ იყოს. ეს ნიშნავს შეთავაზებისა და არჩევანის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას. არჩევანი კი გულისხმობს მრავალფეროვნებას - პირველ რიგში ფასისა და ხარისხის, აგრეთვე სხვა მახასიათებლების მიხედვით. ამდენად არჩევანისთვის გადამწყვეტია ბაზარზე მსგავსი მაგრამ მრავალფეროვანი საქონლის არსებობა და ამ საქონლის შეჯიბრება. სწორედ ეს არის კონკურენცია.

2.3.1.2 რატომ აქვს მეწარმეს კონკურენციის შეზღუდვის ცდუნება

მეწარმის ძირითადი მამოძრავებელი ძალა არის მოგება. მოგება მით მეტია, რაც ნაკლებია დანახარჯები პროდუქციის წარმოებაზე და მეტია მისი გასაყიდი ფასი. თუ პროდუქტი თავისუფალ ბაზარზე იყიდება, მომხმარებლის მოსაზიდად მეწარმე იძულებულია შეამციროს პროდუქციის გასაყიდი ფასი და გააუმჯობესოს მისი ხარისხი - ანუ გაზარდოს პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯები. შედეგად, გაწონასწორებულ კონკურენტულ ბაზარზე მეწარმის მოგება მინიმალურია. მაგრამ თუკი მეწარმემ რაიმე საშუალებით მოახერხა კონკურენციის მოსპობა და „დაიბევა“ მომხმარებლები, რომლებიც იძულებულნი არიან პროდუქტი მხოლოდ მისგან შეიძინონ, მას შეუძლია გაზარდოს გასაყიდი ფასი და გააუარესოს პროდუქციის ხარისხი (და ამით შეამციროს პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯები) - პროდუქტი მაინც გაეყიდება და მეწარმე გაცილებით მაღალ მოგებას მიიღებს. გასაგებია, რომ ყველა მეწარმეს აქვს ბუნებრივი მისწრაფება კონკურენციისგან „თავის დამკვრენისკენ“ - ეს ხომ მას უფრო იოლ და უფრო მაღალ მოგებას უქადის.

თუმცა კონკურენციის შეზღუდვა და მოსპობა საზიანოა მომხმარებლისთვის: მას უწევს პროდუქტში მეტი ფასის გადახდა, იღებს უფრო მდარე ხარისხის პროდუქტს და მომსახურებას. გარდა ამისა, კონკურენციის მოსპობა ან შეზღუდვა საზიანოა საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისთვის. მეტი მოგების ძიება ხომ აიძულებდა მეწარმეებს პროდუქტის უფრო იოლად და იაფად წარმოების გზები ეძებნათ, ეს კი ტექნოლოგიური პროგრესის მამოძრავებელი ძალაა. კონკურენციის გაქრობისას ეს მამოძრავებელი ქრება და ტექნოლოგიური პროგრესი ჩერდება.

რომ შევაჯამოთ: მეწარმეთა კონკურენცია, თავისუფალი ბაზარი არის ის ველი, სადაც მეწარმისა და საზოგადოების ინტერესები ურთიერთბალანსდება. მეწარმე მუდმივად, ბუნებრივად ეცდება კონკურენციას „დაუძვრეს“. მომხმარებლის და ტექნოლოგიური პროგრესის ინტერესებისასთვის საზოგადოება ასევე მუდმივად უნდა ცდილობდეს დაიცვას და შეინარჩუნოს თავისუფალი კონკურენცია ბაზარზე.

2.3.2 საერთაშორისო მიდგომა

1980 წლის 5 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო კონკურენციის შემზღუდავი ბიზნეს-საქმიანობის კონტროლის პრინციპები¹⁹³, ე.წ. Set of Principles, სადაც

¹⁹³ დოკუმენტის ზუსტი დასახელებაა: „შემზღუდავი ბიზნეს-პრაქტიკის კონტროლის მრავალმხრივად შეთანხმებული თანასწორი პრინციპებისა და წესების კრებული (Set of Multilaterally Agreed Equitable Principles and Rules for the Control of Restrictive Business Practices, მიღებულია გაეროს 35/65 რეზოლუციით, იხ: <http://unctad.org/en/Pages/DITC/CompetitionLaw/The-United-Nations-Set-of-Principles-on-Competition.aspx>). შემუშავდა და დამტკიცდა 1978-80 წლებში გამართულ „შემზღუდავი ბიზნეს-პრაქტიკის თაობაზე“ გაეროს კონფერენციის მიერ.

მოყვანილია ყველაზე გავრცელებული შეთანხმებული ქმედებების მაგალითები, რომლითაც მეწარმეები ცდილობენ ხელოვნურად შეზღუდონ კონკურენცია ბაზარზე. ესენია:

- ურთიერთ-შეთანხმება ფასების, ან ვაჭრობის სხვა პირობების თაობაზე;
- ურთიერთ-შეთანხმება ტენდერში მონაწილეობისას (Collusive tendering);
- ბაზრის ან მომხმარებლების გადანაწილება;
- ზღვრების/კვოტების დაწესება რისიმე წარმოებაზე ან გაყიდვაზე;
- შეთანხმებული უარი რაიმეს შექმნაზე ან მიწოდებაზე (ბოიკოტი);
- კონკურენციისთვის მნიშვნელოვან რაიმე საშუალებებისადმი (მაგალითად, საკომუნიკაციო)¹⁹⁴ ან გაერთიანებებში (მაგალითად, პროფესიულ გაერთიანებებში) ბაზრის მოთამაშის კოლექტიურად არდაშვება.

კონკურენციის კონტროლის პრინციპების მიხედვით, ყველა ასეთი შეთანხმებული ქმედება კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის უნდა აიკრძალოს.

1980 წლიდან, ყოველ 5 წელიწადში ერთხელ, გაერთიანებული ერების ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია¹⁹⁵ (UNCTAD) ატარებს საერთაშორისო შეხვედრას ამ პრინციპების გადასახედად. განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად ორგანიზაციის მიერ მომზადებულია კონკურენციის დაცვის სამოდელო კანონი¹⁹⁶ და მისი განმარტებები, რომელიც აგრეთვე რეგულარულად გადაიხედება.

კონკურენციის დარღვევის/შეზღუდვის სამი ძირითადი ტიპი არსებობს:

- კონკურენციის შეზღუდვა ერთი მეწარმის მიერ, დამოუკიდებლად (მონოპოლია, ოლიგოპოლია, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება);
- კონკურენციის შეზღუდვა რამოდენიმე მეწარმის მიერ ერთობლივად (კარტელი, კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმებები და ერთობლივი ქმედებები);
- კონკურენციის შეზღუდვა სახელმწიფოს მიერ

2.3.3 სფეროს რეგულირება ევროკავშირში

ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის მთავარ მიზანს საერთო ბაზრის შექმნა წარმოადგენდა, რომელსაც ქვეყნებს შორის ვაჭრობისათვის ბარიერების მოხსნით ამ ქვეყნების ეკონომიკური ზრდისთვის და მოქალაქეთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის უნდა შეეწყო ხელი. თუმცა თანამეგობრობის დამფუძნებლებს კარგად ესმოდათ, რომ საბაჟო გადასახადების ეტაპობრივი გაუქმება და სხვა საბაჟო ბარიერების მოხსნა არ არის საკმარისი

ერთიანი ბაზარი საუკეთესო პირობაა ევროპის მდგრადი ზრდისთვის. ეფექტური ბაზრისთვის ორი პირობაა საჭირო: ქვეყნებს შორის საბაჟო ბარიერების მოსპობა და კონკურენციის პოლიტიკა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბაზრის ნორმალურ ფუნქციონირება არ შეფერხდეს კომპანიების ანტიკონკურენციული ქმედებებით ან სახელმწიფოების მიერ რომელიმე მოთამაშის მფარველობით. კონკურენცია ეკონომიკური წინსვლის მთავარი მამოძრავებელი ძალაა: ის უზიბებს მეწარმეებს ბაზრების ათვისებისკენ და ინოვაციისკენ, რაც საერთო ჯამში პროდუქტიულობას და კონკურენტუნარიანობას ზრდის. კონკურენცია აგრეთვე ხარჯთ-ეფექტურია, ვინაიდან მის განხორციელებას არავითარი დანახარჯები არ სჭირდება... (COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS EU State Aid Modernisation (SAM), COM/2012/0209 final)

¹⁹⁴ მაგალითების წყაროა UNCTAD Model law on Competition, P

¹⁹⁵ United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD) ინსტიტუტია.

¹⁹⁶ სამოდელო კანონი და განმარტებების ყოველი განახლებულ

თავისუფალი ბაზრის სათანადო ფუნქციონირებისთვის. ყოველთვის არსებობს საშიშროება, რომ ქვეყნების მიერ გახსნილი ბაზარი მონოპოლისტი კომპანიების ან კარტელების მიერ ხელახლა გადანაწილდეს და დანაწევრდეს, რაც მოიტანს წარმოების ხელოვნურ შეზღუდვას, ფასების ხელოვნურ ზრდას, საბოლოო ჯამში კი ეკონომიკური განვითარებასა და პროგრესს შეაფერხებს. ამიტომ საერთო ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ძირითადი შეთანხმების ერთ-ერთი მიზანი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის მომზადების მიზნით ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრის, სპააკის, ხელმძღვანელობით მომზადებული ე.წ. „სპააკის ანგარიში“¹⁹⁷ რეკომენდაციას იძლეოდა, რომ ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტით დადგენილიყო ქმედებები კარტელებისა და მონოპოლიების მიერ ქვეყნებს შორის ვაჭრობის შემაფერხებელ ისეთ საქმიანობებზე, როგორცაა დისკრიმინაცია, ბაზრების დანაწილება, გარკვეული პროდუქტის წარმოების შეზღუდვა და ბაზრის გაკონტროლება.

ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის სადამფუძნებლო დოკუმენტით, ე.წ. რომის შეთანხმებით,¹⁹⁸ თანამეგობრობის პოლიტიკის აღწერა სწორედ კონკურენციის დაცვის დებულებებით იწყება¹⁹⁹. შეთანხმებით დადგენილია ძირითადი მოთხოვნები კონკურენციის სამი ტიპის დარღვევის თავიდან ასაცილებლად:

- კარტელური გარიგებები
- მონოპოლური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება
- კერძო ფირმებისათვის სახელმწიფო დახმარება

2.3.3.1 კარტელები

ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის მიერ საერთო ბაზარზე კონკურენციის დაცვისათვის უპირველეს სამიზნეს მეწარმეებს შორის კარტელური გარიგებების არ-დაშვება წარმოადგენდა. ეკონომიკური თანამეგობრობის სადამფუძნებლო დოკუმენტის 85-ე მუხლით²⁰⁰ საერთო ბაზარზე აიკრძალა მეწარმეთა გარიგებები, კოლექტიური გადაწყვეტილებები ან ერთობლივი ქმედება, რომელთა საგანს/მიზანს ან შედეგს

¹⁹⁷ The Brussels Report on the General Common Market, High Authority of the European Community for Coal and Steel, Information Service, Luxembourg, June 1956,

http://www.fd.unl.pt/docentes/docs/ma/jlcv_MA_12459.pdf

¹⁹⁸ 1957 წლის რომის „შეთანხმება ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის ჩამოყალიბების შესახებ“ (Treaty Establishing the European economic Community, Treaty of Rome). 1992 წლის მასტრიქტის ხელშეკრულებით (the Treaty on European Union) ხელშეკრულების დასახელება შეიცვალა და მას დაერქვა „შეთანხმება ევროპული თანამეგობრობის ჩამოყალიბების შესახებ“ (Treaty Establishing European Community). 2007 წლის ლისაბონის ხელშეკრულებით (Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community) ხელშეკრულების დასახელება კვლავ შეიცვალა. დღეს მას ჰქვია „შეთანხმება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ“ (Treaty on Functioning of the European Union, TFEU).

¹⁹⁹ რომის ხელშეკრულებაში კონკურენციის დაცვის თავი წარმოდგენილია 85-94 მუხლებით. იგივე დებულებები „ევროპული თანამეგობრობის ჩამოყალიბების შესახებ“ შეთანხმებაში წარმოდგენილია 81-89 მუხლებით, ხოლო „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ“ შეთანხმებაში - 101-109 მუხლებში.

²⁰⁰ შემდგომში ეს მუხლი გახდა 81-ე მუხლი „ევროპული თანამეგობრობის ჩამოყალიბების შესახებ“ შეთანხმებაში და 101-ე მუხლი „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ“ შეთანხმებაში.

წარმოადგენს კონკურენციის თავიდან აცილებას, შეზღუდვას ან შეფერხებას, თუკი ეს იმოქმედებს წევრ-ქვეყნებს შორის ვაჭრობაზე. კერძოდ, აიკრძალა:

- ფასების ან სხვა სავაჭრო პირობების დაფიქსირება;
- ბაზრების განაწილება;
- წარმოების, ბაზრების, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა ან კონტროლი;
- განსხვავებული პირობების დადგენა სხვადასხვა სავაჭრო პარტნიორებთან ერთსა და იმავე ტრანსაქციისათვის, მათი წამგებიან მდგომარეობაში ჩასაყენებლად;
- გარიგების მხარისათვის ისეთ დამატებითი ვალდებულებების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან;

მეწარმეებს შორის დადებული ასეთი გარიგებები ავტომატურად ბათილად იქნა მიჩნეული.

თუმცა, ეკონომიკური თანამეგობრობის დამფუძნებლებს კარგად ესმოდათ, რომ ზოგ შემთხვევაში გარიგებები, რომელიც ერთი შეხედვით კონკურენციას ზღუდავს, ტექნიკური და ეკონომიკური პროგრესისთვის სასარგებლო და აუცილებელიცაა. ამიტომ შეთანხმების 85-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს ასეთი გარიგებების დაშვებას ისეთ შემთხვევებში, როცა გარიგება / ერთობლივი გადაწყვეტილება / ერთობლივი ქმედება ხელს უწყობს პროდუქციის წარმოებას, გავრცელებას, ტექნიკურ ან ეკონომიკურ პროგრესს და ამ გზით მიღებული სარგებლის „სამართლიან წილს“ მომხმარებელსაც ერგება. თუმცა გადამეტება დაუშვებელია - არ შეიძლება ისეთი შეზღუდვების შემოღება, რომელიც აღწერილ მიზნების მისაღწევად აუცილებელი არაა. და ყველა შემთხვევაში იკრძალება კონკურენციის აღმოფხვრა პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილზე.

კონკურენციის დაცვის დეტალური წესები, მათ შორის „საზოგადოებისთვის სასარგებლო“ ანტიკონკურენტული შეთანხმებების გამონაკლისების დასადგენი დეტალური განმარტებები ევროპის საბჭოს, ან მის მიერ დელეგირებული უფლებების საფუძველზე - ევროკომისიას უნდა დაედგინა. თუმცა ასეთი დეტალური წესების გაწერას კონკურენციის სფეროს რეგულირების დიდი გამოცდილება სჭირდებოდა, რომელიც თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს იმ პერიოდში ჯერ არ გააჩნდათ [4]. ამიტომ პირველ პერიოდში (რომელიც 40 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, 1962 წლის 13 მარტიდან 2004 წლის 1 მაისამდე.) ევროკომისიას დაევალა ყველა იმ კერძო ხელშეკრულების ან გადაწყვეტილების განხილვა და კონკურენციის თვალსაზრისით შეფასება, რომელსაც მას მეწარმეები წარუდგენდნენ. ვინაიდან კონკურენციის დამრთვევი ხელშეკრულებები და გადაწყვეტილებები ბათილად გამოცხადდა, და ცხადია მეწარმეები დაინტერესებულნი იყვნენ თავისი ხელშეკრულებების/გადაწყვეტილებების სამართლებრივი მდგომარეობა გაერკვიათ, ისინი მონდომებით აგზავნიდნენ თავის დოკუმენტებს ევროკომისიაში შესაფასებლად, ასე რომ პირველივე წლებიდან ევროკომისიას წელიწადში 10 ათასამდე ხელშეკრულების/გადაწყვეტილების შესწავლა უხდებოდა. ძალიან მალე ევროკომისიამ დაიწყო ხელშეკრულებების/გადაწყვეტილებების ისეთი ტიპების გამოყოფა, რომელიც კონკურენციის დარღვევის თვალსაზრისით დიდ საშიშროებას არ წარმოადგენდა. ინფორმაცია ასეთი ხელშეკრულებების/გადაწყვეტილებების თაობაზე ევროკომისიის ნოტიფიკაციების სახით ვრცელდებოდა და მიმართული იყო იმისკენ, რომ მეწარმეებს

ამგვარი ხელშეკრულებები/გადაწყვეტილებები ევროკომისიისთვის აღარ წარედგინათ (თუმცა 2004 წლის მასამდე მეწარმეებს მაინც რჩებოდათ ევროკომისიის მიერ შესაფასებლად ნებისმიერი ხელშეკრულების/გადაწყვეტილების წარდგენის უფლება). თანდათანობით ყველა ასეთი „ჯგუფური გამონაკლისი“ დროებითი რეგულაციების სახით ჩამოყალიბდა და 2004 წლიდან (მას მერე რაც ამოქმედდა 2003/1 რეგულაცია²⁰¹) ევროკომისია ასეთ ხელშეკრულებებს/გადაწყვეტილებებს განსახილველად აღარ იღებს. თუმცა, თუკი საკითხი ეხება რაიმე ახალი ტიპის ურთიერთობებს და მათი შეფასება კონკურენციის თვალსაზრისით კითხვებს ბადებს, მეწარმეებს შეუძლიათ მიმართონ დახმარებისთვის ევროკომისიას და მიიღონ მისგან არაფორმალური განმარტებები ან მითითებები ე.წ. „სახელმძღვანელო წერილის“ (Guidance letter) სახით. ასეთი მიმართვები ევროკომისიის მიერ განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკითხი რეალურია, მართლა ახალია, მნიშვნელოვანია²⁰² და არც კანონმდებლობა, არც სასამართლო გადაწყვეტილებები და არც ევროკომისიის მიერ გამოცემული საინფორმაციო მასალა მის განმარტებას არ იძლევა და გარდა ამისა საქმე უკვე არ იხილება ეროვნული „ანტიმონოპოლური“ უწყების, სასამართლოს ან თავად ევროკავშირის მიერ²⁰³.

დღეის მდგომარეობით კონკურენციის მოთხოვნებიდან დროებითი²⁰⁴ გამონაკლისები ვრცელდება მეწარმეებს შორის დადებულ შემდეგი ტიპის ხელშეკრულებებზე ან გადაწყვეტილებებზე:

1. ვერტიკალური გარიგებები²⁰⁵ - აქ შედის პირველ რიგში „ექსკლუზიური ურთიერთობების“ დამდგენი

ვერტიკალური ეწოდება შეთანხმებებს (ან ერთობლივ ქმედებებს) ისეთ ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომელიც წარმოება-დისტრიბუციის სხვადასხვა სტადიაზე ფუნქციონირებენ და ერთმანეთის უშუალო კონკურენტებს არ წარმოადგენენ.

²⁰¹ Council Regulation (EC) No 1/2003 of 16 December 2002 on the implementation laid down in Articles 81 and 82 of the Treaty.

²⁰² მხედველობაში მიიღება: შესაბამისი საქონლის ან მომსახურების ეკონომიკური მომხმარებლებისათვის; ამგვარი პრაქტიკის ეკონომიკური გამოყენების არ მასშტაბი; ტრანსაქციით გათვალისწინებული ინვესტიციების და მონაწილე კომპანიების ზომა, აგრეთვე კონცენტრაცია, რომელიც ამ ტრანსაქციამ შეიძლება გამოიწვიოს.

²⁰³ Commission Notice on informal guidance relating to novel questions concerning Articles 81 and 82 of the EC Treaty that arise in individual cases (guidance letters), Official Journal C 101 of 27.4.2004, პუნქტები 8-10.

²⁰⁴ მოქმედების ვადებია 2022-23 წლებამდე.

²⁰⁵ გამონაკლისი მოქმედებს 1967 წლიდან. თავდაპირველად დადგინდა 67/67 რეგულაციით (Regulation No 19/65/EEC of 2 March of the Council on application of Article 85 (3) of the Treaty to certain categories of agreements and concerted practices), მისი ვადის დასვლის შემდეგ ჩანაცვლდა 1983/83 რეგულაციით (Commission Regulation (EEC) No 1983/83 of 22 June 1983 on the application of Article 85 (3) of the Treaty to categories of exclusive distribution agreements) და 1984/83 რეგულაციით (Commission Regulation (EEC) No 1984/83 of 22 June 1983 on the application of Article 85 (3) of the Treaty to categories of exclusive purchasing agreements). 1988 წელს მათ დაემატა 4087/88 რეგულაცია ფრანჩაიზის თაობაზე (Commission Regulation No 4087/88 of 30 November 1988 on the application of Article 85 (3) of the Treaty to categories of franchise agreements). 2000 წლის 1 იანვარს სამივე ამ რეგულაციას გაუვიდა ვადა და ჩანაცვლდა 2790/1999 რეგულაციით ვერტიკალური ხელშეკრულებების თაობაზე (Commission Regulation (EC) No 2790/1999 of 22 December 1999 on the application of Article 81(3) of the Treaty to categories of vertical agreements and concerted practices). ამ უკანასკნელის ვადა ამოიწურა 2010 წლის 1 ივნისს და ამ თარიღიდან მოქმედებს 330/2010 რეგულაცია (Commission Regulation (EU) No 330/2010 of 20 April 2010 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to categories of vertical agreements and concerted practices), რომელიც ძალაშია 2022 წლის 31 მასამდე. ამ გამონაკლისის

გარიგებები²⁰⁶ მწარმოებელსა და დისტრიბუტორ(ებ)ს ან მოვაჭრეს შორის. 1999 წლიდან ამ ჯგუფური განთავისუფლების ფარგლები გაფართოვდა და მოიცვა პროდუქციის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვერტიკალური გარიგება (მათ შორის ისეთიც, როცა პროდუქციის შექმნა მის სხვა პროდუქციაში ინკორპორირების მიზნით ხდება), - თუკი მხარეების წილი შესაბამის ბაზარზე²⁰⁷ 30%-ს არ აღემატება. განთავისუფლება მოიცავს აგრეთვე ფრანჩაიზის გარიგებებს და ქვეკონტრაქტებს.

2. ჰორიზონტალური გარიგებებიდან: კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებული გარიგებები და სპეციალიზაციასთან დაკავშირებული გარიგებები
3. ტექნოლოგიების გადაცემასთან დაკავშირებული გარიგებები.
4. გარიგებები/ერთობლივი ქმედებები, რომელთა მონაწილეების ზეგავლენა საერთო ბაზარზე უმნიშვნელოა - ე.წ. de-minimis პრინციპი. მხედველობაში მიიღება კომპანიების „სიმცირის“ ორი კრიტერიუმი: კომპანიების საბაზრო წილი და წლიური ბრუნვა. ამჟამად მოქმედი წესებით²⁰⁸ ჰორიზონტალური გარიგებებისათვის მონაწილე კომპანიების ერთობლივი საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს, ხოლო ვერტიკალური გარიგებებისათვის კი მონაწილე კომპანიების ინდივიდუალური წილი შესაბამის ბაზარზე არ უნდა აღემატებოდეს 15%-ს. რაც შეეხება მონაწილე კომპანიების ზომას, ისინი უნდა წარმოადგენდნენ მცირე და საშუალო საწარმოებს, რაც ნიშნავს დამოუკიდებელ საწარმოს, რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 50 მილიონ ევროს (ან წლიური ბალანსი - 43 მილიონ ევროს) და რომელშიც 250-მდე ადამიანია დასაქმებული.²⁰⁹

თუმცა ეს ჯგუფური გამონაკლისები არ არის უპირობო. ყველა მათგანი შეიცავს აკრძალულ ქმედებათა ჩამონათვალს, რომლის დარღვევის შემთხვევაში გამონაკლისი აღარ მოქმედებს. პირველ რიგში ესაა ე.წ. „მძიმე დარღვევები“ (Hardcore restrictions). ესენია:

- მესამე მხარისთვის პროდუქციის მისაყიდი (მინიმალური) ფასის დადგენა;
- წარმოების ან გაყიდვების მოცულობის შეზღუდვა;
- ბაზრის ან მომხმარებლების განაწილება.

გამოყენების დეტალური გაიდლაინები დადგენილია ევროკომისიის 2010 წლის საინფორმაციო შეტყობინებით (Commission notice - Guidelines on Vertical Restraints, SEC/2010/0411 final).

²⁰⁶ იგულისხმება გარიგებები, რომლითაც მწარმოებელი კისრულობს ვალდებულებას თავისი პროდუქცია მხოლოდ ერთ დისტრიბუტორს/მოვაჭრეს მიაწოდოს (გარკვეულ ტერიტორიაზე) ან გარიგებები, რომლითაც დისტრიბუტორი/მოვაჭრე კისრულობს ვალდებულებას მხოლოდ ერთი მწარმოებლის პროდუქცია გაავრცელოს/გაყიდოს.

²⁰⁷ მიმწოდებლისთვის ეს არის ბაზარი, რომელზეც იგი ყიდის პროდუქციას, მყიდველისთვის - ბაზარი, რომელზეც იგი ყიდულობს პროდუქციას. ორივე შემთხვევაში იგულისხმება იმ პროდუქტების ბაზარი, რომელიც პროდუქტის შემსყიდველების მიერ ურთიერთთანაცვლებად საქონლად მიიჩნევა, და იმ გეოგრაფიულ ჩარჩოებში, რომელშიც ხელშეკრულების მხარეები ოპერირებენ (იხ. Commission Notice on the Definition of Relevant Market for the Purposes of Community Competition Law, OJ C 372, 9.12.1997, p. 5)

²⁰⁸ Commission Notice on agreements of minor importance which do not appreciably restrict competition under Article 81(1) of the Treaty establishing the European Community (de minimis), 2001/C 368/07, Official Journal C 368, 22/12/2001 P. 0013 – 0015.

²⁰⁹ Commission Recommendation of 6 May 2003 concerning the definition of micro, small and medium-sized enterprises (notified under document number C(2003) 1422), OJ L 124, 20.5.2003, p. 36–41.

გარდა ამისა, მაგალითად, გამონაკლისი ვერტიკალური ხელშეკრულებებისთვის მოქმედებს მხოლოდ იმ პირობით, რომ ხელშეკრულება არ ადგენს გაუმართლებელ გეოგრაფიულ შეზღუდვებს. ეს განთავისუფლება მოქმედებს კონკურენციის შემზღუდავი მხოლოდ იმ მოთხოვნებზე²¹⁰, რომლის ვადა 5 წელს არ აღემატება.²¹¹ განსაკუთრებული შემთხვევაა საავტომობილო ვაჭრობა და მომსახურება - აქ დამატებითი მოთხოვნებია ავტომობილების მომსახურების სფეროში კონკურენციის შემზღუდვის თავიდან ასაცილებლად.²¹² ამ მიზნით იკრძალება სათადარიგო ნაწილების გაყიდვის ან მათი სპეციფიკაციების ხელმისაწვდომობის ან ამ სათადარიგო ნაწილებზე მწარმოებლის სავაჭრო მარკის დატანის შეზღუდვა.

როგორც აღვნიშნეთ, ჯგუფური გამონაკლისები დროებითია - მათ აქვთ წინასწარ დადგენილი მოქმედების ვადა. გარდა ამისა, დაშვებულია ჯგუფური გამონაკლისის მოქმედების გაუქმება რომელიმე კონკრეტული გარიგების მიმართებაში - ამის უფლება 2004 წლამდე მხოლოდ ევროკომისიას ჰქონდა, 2004 წლიდან კი უკვე შესაბამის ეროვნულ უწყებებსაც მიენიჭათ. თუმცა ასეთ შემთხვევაში კონკურენციის დამრღვევი გარიგება კი არ ბათილდება, არამედ უქმდება - ანუ ის სამართლებრივ ძალას მხოლოდ ევროკომისიის (ან ეროვნული უწყების) მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან კარგავს, ამ მომენტის წინა პერიოდისთვის იგი ძალაშია. გარდა ამისა, ცხადია, მეწარმეს შეუძლია ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება - ამისთვის დაინტერესებულმა მეწარმეებმა თანამეგობრობის სასამართლოს უნდა მიმართონ (თუ გამონაკლისი ეროვნულმა უწყებამ გააუქმა - სარჩელი ეროვნული სასამართლოს კომპეტენციაშია).

კონკურენციის წესებისგან გამონაკლისები დადგენილია აგრეთვე სექტორულად და ეხება ეკონომიკის 3 სექტორის: ტრანსპორტს, სოფლის მეურნეობას და დაზღვევას.

²¹⁰ 330/2010 რეგულაციის მიხედვით „კონკურენციის შემზღუდავ მოთხოვნებად“ მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულება (პირდაპირი ან არაპირდაპირი), რომელიც კრძალავს კონკურენტული პროდუქციის წარმოებას, შეძენას ან გაყიდვას ან გულისხმობს პროდუქციის შეძენას მხოლოდ რომელიმე გარკვეული მომწოდებლისგან და ეხება ამ მეწარმის მიერ მსგავსი პროდუქციის შესყიდვების მოცულობის 80%-ზე მეტს.

²¹¹ ევროკომისიას გამოცემული აქვს მთელი რიგი განმარტებითი დოკუმენტები ამ მოთხოვნების უკეთ ასახსნელად. 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ყველა ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია კრებულში EU Competition law , Rules Applicable to Antitrust Enforcement – General Block Exemption Regulations and Guidelines,

http://ec.europa.eu/competition/antitrust/legislation/handbook_vol_2_en.pdf.

²¹² ეს გამონაკლისი პირველად დადგინდა 1985 წელს, 123/85 რეგულაციით (Commission Regulation (EEC) No 123/85 of 12 December 1984 on the application of Article 85 (3) of the Treaty to certain categories of motor vehicle distribution and servicing agreements), რომელსაც ვადა გაუვიდა 1995 წლის 30 სექტემბერს. იგი ჩანაცვლდა 1475/95 რეგულაციით (Commission Regulation (EC) No 1475/95 of 28 June 1995 on the application of Article 85 (3) of the Treaty to certain categories of motor vehicle distribution and servicing agreements), რომელიც 2002 წლის 1 ოქტომბრიდან შეიცვალა 1400/2002 რეგულაციით (Commission Regulation (EC) No 1400/2002 of 31 July 2002 on the application of Article 81(3) of the Treaty to categories of vertical agreements and concerted practices in the motor vehicle sector), ეს უკანასკნელი კი 2010 წლის 1 ივნისიდან - 461/2010 რეგულაციით (Commission Regulation (EU) No 461/2010 of 27 May 2010 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to categories of vertical agreements and concerted practices in the motor vehicle sector). ამ უკანასკნელის მოქმედების ვადაა 2023 წლის 31 მაისი.

2003/1 რეგულაციით გაუქმდა ევროკომისიის განსაკუთრებული როლი კონკურენციის დაცვაში, კერძოდ მისი ექსკლუზიური უფლება შეეფასებინა კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმებები ან ერთობლივი ქმედებები ეკონომიკური თვალსაზრისით მისაღები იყო თუ არა (ანუ ვრცელდებოდა თუ არა მასზე რომის ხელშეკრულების 85(3) მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი). 2004 წლიდან ეს უფლება ეროვნულ „ანტიმონოპოლურ“ უწყებებსაც გააჩნიათ. ხოლო იმისთვის, რომ სხვადასხვა უწყების განმარტება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოვიდეს, ჩამოყალიბებულია ევროპის კონკურენციის ორგანოების ერთიანი ქსელი (European Competition Network, ECN)²¹³, ევროკომისიის ხელმძღვანელობით, რომლის ფარგლებში ხორციელდება საქმეთა წარმოების და გადაწყვეტილებათა მიღების ძალიან მჭიდრო კოორდინირება, რაც გამორიცხავს ერთსა და იმავე საქმის პარალელურ განხილვას ან ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებას. ასეთივე ზომებია მიღებული იმისთვის, რომ ერთმანეთის საწინააღმდეგო არ აღმოჩნდეს ევროკომისიის და ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. პირველ რიგში ეს ხორციელდება იმის ხარჯზე, რომ ევროკომისიის მიერ მიღებული რეგულაციები ან ინდივიდუალური გადაწყვეტილებები ეროვნული სასამართლოებისთვის სავალდებულო ხასიათისაა. ამიტომ, თუ ეროვნული სასამართლო იხილავს საქმეს, რომელიც ეხება ხელშეკრულებას, რომელზეც ევროკომისიას გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს - ეროვნული სასამართლო ამ გადაწყვეტილებას უნდა დაეყრდნოს (ან მიმართოს ევროპის სასამართლოს ევროკომისიის გადაწყვეტილების კანონიერების განხილვის თხოვნით)²¹⁴. იმ შემთხვევაში, თუკი ევროკომისია მხოლოდ იკვლევს საქმეს და გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, ეროვნულ სასამართლოს შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია საქმის მიმდინარეობისა და მოსალოდნელი გადაწყვეტილების შესახებ და ამის მიხედვით განაგრძოს სასამართლო განხილვა, ან შეაჩეროს საქმის განხილვა ევროკომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მირებამდე.²¹⁵ თავის მხრივ ევროკომისიისთვის პრიორიტეტულია იმ საქმეების დროულად განხილვა, რომლის შედეგსაც ეროვნული სასამართლო ელოდება. ეროვნულ სასამართლოებში განხილულ ყველა ასეთ საქმეებზე ევროკომისიას შეუძლია წარადგინოს თავისი მოსაზრებები - როგორც სასამართლოს მოთხოვნით, ასევე საკუთარი ინიციატივით. ეს მოსაზრებები სასამართლოსთვის სავალდებულო არ არის, თუმცა მას შეუძლია ისინი გაითვალისწინოს. სასამართლოს მოთხოვნით ევროკომისია მას გადასცემს საქმის თაობაზე მის ხელთ არსებულ მთელ ინფორმაციას.²¹⁶

2.3.3.2 საქმეების გამოძიება

ამდენად, 2004 წლიდან, კონკურენციის რეგულირების ახალი წესების შემოღების შედეგად ევროკომისია განთავისუფლდა მეწარმეების მიერ წარდგენილ შეთანხმებებზე დასკვნების

²¹³ Commission Notice on cooperation within the Network of Competition Authorities, Official Journal C 101 of 27.4.2004.

²¹⁴ ევროკომისიის გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია ევროპის სასამართლოში (Court of Justice).

²¹⁵ Commission Notice on the co-operation between the Commission and the courts of the EU Member States in the application of Articles 81 and 82 EC, Official Journal C 101 of 27.4.2004.

²¹⁶ კონფიდენციალური ინფორმაცია და ბიზნეს-საიდუმლოება (business secrets) გადაეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო იძლევა მათი არ-გამხელის გარანტიას, ე.წ. „თანამშრომლობის“ (lienency) ფარგლებში მიღებული ინფორმაცია კი - მხოლოდ ინფორმაციის მომწოდებლის თანხმობით.

გაცემის ვალდებულებისგან და შესაძლებლობა მიეცა მეტი ძალისხმევა მიემართა კონკურენციის წესების დარღვევების აღმოჩენასა და აღმოფხვრაზე. კონკურენციის წესების დარღვევების აღმოჩენის ერთ-ერთი მეთოდია დაინტერესებული მხარეების ოფიციალური საჩივრები. ევროკომისია სწავლობს საჩივრებს და იღებს გადაწყვეტილებას (როგორც წესი 4 თვის განმავლობაში) განაგრძოს საკითხის უფრო დეტალური კვლევა თუ არა. გადაწყვეტილება მიიღება როგორც წესი თანამეგობრობისათვის საკითხის აქტუალობიდან (Community interest) გამომდინარე.²¹⁷ საკითხის განხილვაზე უარის მიზეზი შეიძლება იყოს მეწარმეების მიერ დარღვევის შეწყვეტა ან გამოსწორება, ან მომჩივანის მიერ ეროვნულ სასამართლოში ზიანის ანაზღაურებაზე სარჩელის შეტანის შესაძლებლობა. უარის თქმის მიზეზი აგრეთვე შეიძლება იყოს სავარაუდო დარღვევის უმნიშვნელობა მისი გამოძიებისათვის საჭირო დროსა და ძალისხმევასთან შედარებით.²¹⁸

ევროკომისიისთვის საჩივრის წარდგენის უფლება აქვთ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ან იმ პირებს, რომელთაც საკითხისადმი „კანონიერი ინტერესი“ (legitimate interest) გააჩნიათ. ევროკომისია თავის საინფორმაციო დოკუმენტში განმარტავს, რომ ასეთი ინტერესის მქონედ მას მიჩნია მეწარმეები, რომელიც იმავე ბაზარზე ოპერირებენ და რომელთა ინტერესი ზიანდება, ან მომხმარებლები, რომელთა ეკონომიკურ ინტერესზე საკითხი უარყოფით გავლენას ახდენს. კანონიერი ინტერესის მქონედ მიიჩნევიან აგრეთვე მომხმარებელთა ასოციაციები. გარდა ოფიციალური საჩივრებისა, მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს შეუძლიათ ევროკომისიას არაოფიციალურად მიაწოდონ ინფორმაცია კონკურენციის წესების სავარაუდო დარღვევის თაობაზე, ელექტრონული წერილის გაგზავნით მისამართზე comp-market-information@ec.europa.eu ან ჩვეულებრივი წერილის გაგზავნით მისამართზე: European Commission, Directorate-General for Competition, Antitrust Registry, B-1049 Brussels, Belgium. ასეთი სახით მიწოდებულ ინფორმაციას ევროკომისია თავის შეხედულებისამებრ იყენებს, დარღვევების გამოსავლენად და საკუთარი ინიციატივით გამოკვლევების საწარმოებლად.

თუ საჩივრით მიწოდებული ინფორმაცია არასაკმარისია საქმის აღძვრისათვის, ევროკომისია ამის თაობაზე აცნობებს მომჩივანს და უდგენს ვადას (1 თვეს) დამატებითი დასაბუთების წარმოსადგენად²¹⁹. თუ ასეთი ინფორმაცია წარმოდგენილი არ იქნა, საჩივარი გატანილად ითვლება. თუ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილი იქნა, ევროკომისიამ უნდა აღძრას საქმე ან უარყოს საჩივარი. საქმის აღძვრის შემთხვევაში ევროკომისია საგანგებო უწყებით (notice of objections) აცნობებს მათ წინააღმდეგ არსებულ პრეტენზიებს იმ მეწარმეებს, ვისაც საკითხი ეხება და აძლევს მათ თავიანთი მოსაზრებების წარმოდგენის საშუალებას - როგორც წერილობით, ასევე ზეპირი მოსმენის გზით. გარდა ამისა, ევროკომისიას შეუძლია გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია მხარისგან, დაკითხოს მისი წარმომადგენელი, შევიდეს საწარმოს ტერიტორიაზე და ადგილზე გაეცნოს ფაქტებს ან დოკუმენტებს, გადაიღოს ასლები, დალუქოს დოკუმენტები ან მთლიანად საწარმო. საქმის განხილვისას

²¹⁷ Commission Notice on the handling of complaints by the Commission under Articles 81 and 82 of the EC Treaty, Official Journal C 101 of 27.4.2004.

²¹⁸ ევროკომისიის საინფორმაციო დოკუმენტში (იხ. წინა სქოლიო) საგანგებოდ განმარტებულია, რომ ევროკომისია ადმინისტრაციული ორგანოა და საჯარო ინტერესებს ემსახურება. იმისთვის რომ ეს ფუნქცია ეფექტურად შეასრულოს, განსახილველი საქმეებიდან, სწორედ საჯარო ინტერესის შესაბამისად, მან უნდა გამოჰყოს პრიორიტეტები და თავისი ძალისხმევა მათზე მიმართოს.

²¹⁹ Commission Regulation (EC) No 773/2004 of 7 April 2004 relating to the conduct of proceedings by the Commission pursuant to Articles 81 and 82 of the EC Treaty.

თავისი მოსაზრებების წერილობით და ზეპირად წარმოდგენის საშუალება აქვს მომჩივანსაც. თუ საქმისთვის აუცილებელია, საქმის გამოკვლევის ეტაპზე ევროკომისიამ შეიძლება თავისი გადაწყვეტილებით მეწარმეს რაიმე ქმედების განხორციელება ან მისგან თავის შეკავება მოსთხოვოს (ე.წ. დროებითი ზომა, interim measure).

თუ საქმის გამოკვლევის შედეგად ევროკომისიამ დაადგინა, რომ მეწარმის/მეწარმეების მიერ კონკურენციის წესები ირღვევა, იგი მათ უგზავნის წინასწარ დასკვნას (preliminary assessment)²²⁰. ეს საშუალებას აძლევს მეწარმეს თავად ჩამოაყალიბოს და ნებაყოფლობით შესთავაზოს ევროკომისიას დარღვევის გამოსწორების ზომები, რომელიც შემდგომ, ევროკომისიის გადაწყვეტილებით მეწარმისთვის სავალდებულო ხდება. თუმცა ამ გადაწყვეტილების მიღებამდე სულ ცოტა 1 თვით ადრე ევროკომისია აქვეყნებს საქმის შინაარსისა და დარღვევის გამოსწორებისათვის დაგეგმილი ზომების შემცველ ინფორმაციას, რათა დაინტერესებულმა პირებმა შეძლონ თავისი მოსაზრებების წარმოდგენა²²¹.

თუ წინასწარი შეფასების პასუხად მეწარმემ ევროკომისიას დარღვევის გამოსწორების ზომები არ შესთავაზა, ევროკომისია გამოსცემს გადაწყვეტილებას კონკურენციის დარღვევის აღმოჩენის თაობაზე, რომლითაც თავად დააწესებს ის ზომებს, რომლითაც დარღვევა უნდა აღმოიფხვრას. მას შეუძლია მეწარმეს მოსთხოვოს როგორც საქმიანობის ცვლილება (behavioural remedy) ასევე სტრუქტურის შეცვლა (structural remedy), თუმცა ეს უკანასკნელი მოთხოვნილი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მეწარმის ქცევის/საქმიანობის ცვლილებით დარღვევის აღმოფხვრა შეუძლებელია.

ყველა შემთხვევაში, კონკურენციის წესების დარღვევებზე მეწარმეებს ეკისრება ჯარიმა. ერთჯერადი ჯარიმის მაქსიმალური ზომაა მეწარმის წლიური ბრუნვის 10%. გარდა ამისა, იმისთვის რომ მეწარმეს დარღვევის სწრაფად აღმოფხვრისადმი უბიძგოს, ევროკომისიას შეუძლია მას ყოველდღიური ჯარიმები დაუწესოს, დღიური ბრუნვის 5%-მდე ზომის²²². ასეთივე ჯარიმები შეიძლება დაეკისროს მეწარმეს აგრეთვე თუკი იგი არ ასრულებს ევროკომისიის ბრძანებით დადგენილ დროებით ზომას, ან თავისივე შეთავაზებულ ზომებს დარღვევის აღმოსაფხვრებლად ან თუკი საქმის გამოძიებისას იგი არ დაუშვებს ევროკომისიის წარმომადგენელს საწარმოს და დოკუმენტაციის შესამოწმებლად ²²³. ჯარიმებით ისჯება აგრეთვე ევროკომისიისთვის არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდება, მოთხოვნილი დოკუმენტების წარუდგენლობა ან ევროკომისიის წარმომადგენლის მიერ დადებული ლუქის თვითნებურად მოხსნა. ასეთ შემთხვევები ისჯება ერთჯერადი ჯარიმით, რომლის ზომა წინა წლის ბრუნვის 1%-ს არ აღემატება.²²⁴

ჯარიმის ზუსტ ზომას, ზემოთ მითითებული ლიმიტის ფარგლებში, ევროკომისია იმის მიხედვით განსაზღვრავს, თუ რამდენად მძიმეა და ხანგრძლივია დარღვევა. ევროკომისიის

²²⁰ 1/2003 რეგულაციის მე-9 მუხლის 1 პუნქტი.

²²¹ 1/2003 რეგულაციის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

²²² იმავე რეგულაციის 24-ე მუხლი.

²²³ მეწარმეს წინასწარ ეცნობება ინსპექტირების თარიღი და მიზანი. თუ მეწარმე წინააღმდეგობას უწევს ევროკომისიის მიერ მის ინსპექტირებას, ინსპექტორს შესაბამისი ქვეყნის პოლიცია უნდა დაეხმაროს. თუ ეროვნული კანონმდებლობა ამისთვის სასამართლო ბრძანებას ითხოვს, ამისთვის მას ეროვნულმა „ანტიმონოპოლურმა“ უწყებამ უნდა მიმართოს, რომელიც ყოველმხრივ ეხმარება ევროკომისიას ინსპექტირების ჩატარებაში.

²²⁴ ასეთი დარღვევების ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი (1/2003 რეგულაცია, 25-ე მუხლი).

საინფორმაციო დოკუმენტში²²⁵ აღნიშნულია, რომ ჯარიმას უნდა ჰქონდეს შემაკავებელი ეფექტი, როგორც იმ მეწარმისთვის, რომელიც ჯარიმდება, აგრეთვე სხვებისთვის, რათა მათ „არც კი იფიქრონ“ უკანონო საქმიანობაში ჩაბმას. ამიტომ ჯარიმის ზომა შეირჩევა ისე, რომ მეწარმისთვის ის საკმარისად საგრძნობი იყოს, თუმცა არა გამანადგურებელი. ამისთვის კი ჯარიმა აუცილებლად უნდა აღემატებოდეს იმ მოგებას, რაც ამ დარღვევის შედეგად მეწარმემ მიიღო, თუმცა ჯარიმამ არ უნდა გამოიწვიოს მეწარმის განადგურება - „საწარმოს ეკონომიკური ფასეულობის შეუქცევადი კარგვა და მისი ყველა აქტივების გაუფასურება“²²⁶.

ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისთვის მთავარი მაჩვენებელია დარღვევასთან დაკავშირებული გაყიდვების წლიური მოცულობა (value of sales)²²⁷. ჯარიმის საბაზისო დონედ მიიჩნევა ამ მოცულობის 30%-მდე,²²⁸ გამრავლებული იმ წლების რაოდენობაზე, რომლის განმავლობაში ხდებოდა დარღვევა²²⁹. გარდა ამისა, თუკი საქმე ეხება ე.წ. „მძიმე დარღვევებს“, როგორცაა ფასებზე შეთანხმება, ბაზრების დანაწილება ან პროდუქციის გამოშვების განგებ შეზღუდვა, ჯარიმის საბაზისო დონეს (განსაკუთრებული სასჯელის სახით) ემატება თანხა, რომელიც დაკავშირებული საქონლის წლიური გაყიდვების კიდევ 15-25% უდრის. თუმცა, საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ჯარიმის ზომა ამ საბაზისო დონესთან შედარებით შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. შემარბილებელ გარემოებებზე მიიჩნევა მეწარმის თანამშრომლობა გამოძიებისას, დამატებითი ინფორმაციის მიწოდება ევროკომისიისთვის, მისი მზადყოფნა დარღვევის შეწყვეტისა და აღმოფხვრისათვის, აგრეთვე მისი პასიური როლი კანონდარღვევაში. დამამძიმებელ გარემოებებზე მიიჩნევა დარღვევების ჯიუტად განმეორება²³⁰, უარი გამოძიებასთან თანამშრომლობაზე, აგრეთვე კანონდარღვევის ინიციატორობა ან ლიდერობა (სხვა მეწარმეების წაქეზება ან იძულება კანონდარღვევაში მონაწილეობისთვის). ჯარიმა შეიძლება გაიზარდოს იმისთვისაც, რომ მეწარმისთვის საკმარისად „საგრძნობი“ გახდეს (მაგალითად როცა მეწარმის ჯამური ბრუნვა ძალზე დიდია, ხოლო ამ კონკრეტული საქონლის გაყიდვებს მასში შედარებით მოკრძალებული წილი უკავია და ამიტომ ამ წილზე დაყრდნობით

²²⁵ Guidelines on the method of setting fines imposed pursuant to Article 23(2)(a) of Regulation No 1/2003, OJ C 210, 1.9.2006, p. 2–5.

²²⁶ „irretrievably jeopardise the economic viability of the undertaking concerned and cause its assets to lose all their value“, იხ. წინა სქოლიოში მითითებული დოკუმენტი, პუნქტი 35. მეწარმეს შეუძლია ამ მიზეზით ჯარიმის შემცირება მოითხოვოს.

²²⁷ იგულისხმება დარღვევასთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული საქონლის გაყიდვები შესაბამის გეოგრაფიულ ბაზარზე. მაგალითად, თუ კანონდარღვევა ეხებოდა შეთანხმებას რაიმე პროდუქტის ფასთან დაკავშირებით, კალკულაციაში შევა როგორც ამ პროდუქტის გაყიდვები, ასევე სხვა პროდუქტების გაყიდვები, რომელთა ფასზე ამ შეთანხმებამ იმოქმედა (ერთ პროდუქტზე ფასის დაფიქსირება თამაშობს ფასის განმსაზღვრელის როლს უფრო უკეთეს და უფრო უარესი პროდუქტებისთვის).

²²⁸ ამ პროცენტის განსაზღვრა ხდება ისეთ ფაქტორებზე დაყრდნობით, როგორცაა დამრღვევთა წილი ბაზარზე, ტერიტორია, რომელსაც დარღვევა მოიცავდა და აგრეთვე ის გარემოება, თუ რამდენად არის დარღვევა განხორციელებული.

²²⁹ კონკურენციის სფეროში დარღვევის ხანდაზმულობის ზოგადი ვადაა 5 წელი (1/2003 რეგულაცია, 25-ე მუხლი). შესაბამისად, წლების კოეფიციენტი მაქსიმუმ 5 შეიძლება იყოს.

²³⁰ თუ ევროკომისიის ან ეროვნული „ანტიმონოპოლური“ უწყების მიერ კანონდარღვევის აღმოჩენის შემდეგ მეწარმე ამ კანონდარღვევას კვლავ იმეორებს, ჯარიმას ხელახლა ემატება საბაზო ოდენობა, ყოველი გამეორებისთვის.

განგარიშებული ჯარიმა მისთვის უმნიშვნელოა). თუმცა ცალკეულ შემთხვევებში (სათანადო დასაბუთებით) ევროკომისიას შეუძლია მეწარმეს მხოლოდ მცირე, სიმბოლური ჯარიმა დააკისროს.

2.3.3.3 მეწარმეებთან თანამშრომლობის პროგრამები

ჯარიმის შემცირების ან მთლიანად გაუქმების განსაკუთრებული შემთხვევაა ევროკომისიის მიერ შემოღებული ე.წ. „ლმობიერების“ წესები (leniency rules), რომლის მიხედვით კარტელის მონაწილე, რომელიც ევროკომისიას ამ კარტელის თაობაზე ინფორმაციას მიაწვდის, ჯარიმებისგან სრულ ან ნაწილობრივ „იმუნიტეტს“ იძენს.²³¹ ჯარიმისგან სრულ იმუნიტეტს იღებს კარტელის ის მონაწილე, რომელიც ევროკომისიას პირველი მიმართავს, თუკი ის მიაწვდის ევროკომისიას ისეთ ინფორმაციას, რომელიც მას მანამდე არ გააჩნდა და რომელიც ევროკომისიას მისცემს საშუალებას ინსპექტირების გზით აღმოაჩინოს ის დოკუმენტები, რომელიც კარტელის არსებობას დაამტკიცებს. კარტელის ყოველი შემდეგი წევრი, რომელიც ევროკომისიას მიმართავს და საქმის გამოკვლევისთვის მნიშვნელოვან დამატებით ინფორმაციას მიაწვდის, ჯარიმებისგან თავისუფლდება ნაწილობრივ: პირველი 30-50%-ით, მეორე 20-30%-ით, ყოველი შემდეგი - 20%-ით.²³² თუმცა ეს წესი მოქმედებს მანამ, სანამ ევროკომისია მოპასუხე მეწარმეებს უწყებას გაუგზავნის - ამის შემდეგ წარმოდგენილი ინფორმაცია ევროკომისიამ იმუნიტეტის მისანიჭებლად შეუძლია აღარ განიხილოს. გარდა ამისა, ლმობიერების რეჟიმი არ ვრცელდება მეწარმეზე, რომელიც კარტელის ინიციატორი ან ლიდერია. და ცხადია, ჯარიმისგან იმუნიტეტი არ იცავს მეწარმეს შესაძლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისგან (იხ. ქვემოთ).

ჯარიმის შემცირების კიდევ ერთი საშუალებაა ე.წ. მორიგება (settlement of case), რომელიც ევროკომისიამ კარტელის წევრებს შეიძლება შესთავაზოს, საქმის გამოძიებისა და დარღვევის აღმოფხვრის დაჩქარების მიზნით. ასეთი შეთავაზება ევროკომისიას შეუძლია გააკეთოს საქმის აღძვრის შემდეგ, მხარეებისთვის „საპრეტენზიო უწყების“ (notice of objections) გაგზავნამდე. თუკი კარტელის რომელიმე წევრი (ან წევრები) ასეთ შეთავაზებაზე დაანხმდა, მას ეძლევა საშუალება წინასწარ გაეცნოს ევროკომისიაში ამ კარტელთან დაკავშირებით არსებულ საქმეს²³³ და მოსალოდნელი ჯარიმების ფარგლებს. ამის შემდეგ ევროკომისია მას აძლევს ვადას (როგორც წესი 2 კვირას), რომლის განმავლობაში მას შეუძლია წარადგინოს „მორიგების განაცხადი“ (settlement submission), სადაც იგი აღიარებს დარღვევას, აღწერს მას, აგრეთვე საკუთარ როლს მასში და მონაწილეობის ხანგრძლივობას და მიუთითებს ჯარიმის მაქსიმალურ ზომას, რომელიც მისთვის მისაღებია. თუ ეს შეთავაზება ევროკომისიისთვის მისაღებია, იგი მის საფუძველზე მოამზადებს „პრეტენზიათა უწყებას“ კარტელის ყველა

²³¹ Commission Notice on Immunity from fines and reduction of fines in cartel cases, OJ C 298, 8.12.2006.

²³² იმუნიტეტის მომთხოვნი მეწარმე ვალდებულია სრულად ითანამშრომლოს ევროკომისიასთან, არ გაანადგუროს ან შეცვალოს კარტელის არსებობის დამამტკიცებელი დოკუმენტები, არ გაამხილოს თავისი თანამშრომლობა ევროკომისიასთან (უწყების გამოცემამდე).

²³³ გარდა ევროკომისიის შიდა დოკუმენტებისა, კონკურენციის ქსელის წევრი უწყებების მიმოწერისა და დოკუმენტების იმ ნაწილისა, რომელიც მათი წარმდგენი მეწარმის მოთხოვნით კლასიფიცირებული იქნა როგორც ბიზნეს-საიდუმლო (business secrets) ან სხვა ტიპის კონფიდენციალური ინფორმაცია (იხ. Commission Notice on the rules for access to the Commission file in cases pursuant to Articles 81 and 82 of the EC Treaty, Articles 53, 54 and 57 of the EEA Agreement and Council Regulation (EC) No 139/2004, OJ C 325, 22.12.2005, p. 7-15)

წევრისათვის, შემდგომ კი მეწარმის ამ მოთხოვნებს ითვალისწინებს საქმეზე მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებაშიც. ასეთი მეწარმის ჯარიმა მცირდება 10%-ით, ხოლო საგანგებო „დამსჯელი ეფექტი“ შემოიფარგლება თანხის გაორმაგებით. თუ მეწარმე ამავე დროს „ლმობიერების“ პროგრამაშიც მონაწილეობდა, ორივე გზით მიღებული შეღავათი იკრიბება.²³⁴

2.3.3.4 მონოპოლიები

ევროკავშირის სადამფუძნებლო შეთანხმებით აგრეთვე იკრძალება ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. შეთანხმება უთითებს ბოროტად გამოყენების შემდეგ მაგალითებს:²³⁵

- არასამართლიანი ფასების ან სხვა სავაჭრო პირობების დაწესება;
- წარმოების, ბაზრების, ტექნოლოგიური განვითარების შეზღუდვა მომხმარებლებისთვის საზიანოდ;
- სხვადასხვა სავაჭრო პარტნიორებთან ერთსა და იმავე ტრანსაქციებისათვის განსხვავებული პირობების დადგენა, მათი წამგებიან მდგომარეობაში ჩასაყენებლად;
- გარიგების მხარისათვის ისეთ დამატებითი ვალდებულებებს დაკისრება, რომელიც გარიგების საგანთან დაკავშირებული არ არის;

მოქალაქეებისთვის განკუთვნილ განმარტებით პუბლიკაციაში [14] ევროკომისიის დომინანტური პოზიციის ასეთი მაგალითები მოჰყავს:

- დაუსაბუთებლად მაღალი ფასების დაწესება;
- ფასების ხელოვნურად დაგდება კონკურენტების ბაზრიდან გასადევნად;
- რაიმე პროდუქტის გაყიდვა მაღალ მოთხოვნად პროდუქტთან ერთად, რის შედეგადაც კონკურენტების მიერ ალტერნატიული პროდუქტების შეთავაზება რთულდება;
- რიგი მომხმარებლების მომსახურებაზე უარის თქმა;
- განსაკუთრებული ფასდაკლებები მომხმარებლებისთვის, რომელიც ძირითადად ან მხოლოდ ამ კომპანიის მომსახურებით სარგებლობენ;
- პროდუქტის გაყიდვა მხოლოდ იმ მომხმარებელზე, რომელიც სხვა პროდუქტს შეიძენს.

2.3.3.5 კონცენტრაცია

კომპანიების გამსხვილება, მათ შორის შერწყმა-გაერთიანების გზით ხშირად მათ აძლევს საშუალებას შეამცირონ ხარჯები, გაზარდონ ეფექტურობა, ბაზარს მიაწოდონ უფრო უკეთესი ხარისხის და დაბალი ფასის პროდუქტი. ამიტომ, ცხადია, კომპანიების გამსხვილებაში თავისთავად ცუდი არაფერია. თუმცა ამავე დროს, კომპანიების გაერთიანება ამცირებს ბაზარზე დამოუკიდებელი მოთამაშეების რაოდენობას. გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ კომპანიას შესაძლოა ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა აღმოაჩნდეს. ეს ფაქტორები კონკურენციის შეზღუდვის საშიშროებას შეიცავს.

²³⁴ Commission Notice on the conduct of settlement procedures in view of the adoption of Decisions pursuant to Article 7 and Article 23 of Council Regulation (EC) No 1/2003 in cartel cases.

²³⁵ Treaty on Functioning of the European Union, Art. 102.

როგორც აღვნიშნეთ, ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა თავისთავად აკრძალული არ არის. ევროკავშირში აკრძალულია მხოლოდ ამ მოპოვებული ძალაუფლების „ბოროტად“ - ანუ კონკურენციის მოსპობის ან შეზღუდვისთვის გამოყენება. ამდენად კომპანიების გამსხვილების ან შერწყმის რაიმე სახით რეგულირებას ევროპული თანამეგობრობის სადამფუძნებლო დოკუმენტები არ ითვალისწინებდა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვინაიდან მეწარმეები დაინტერესებულნი იყვნენ დროულად, საუკეთესო შემთხვევაში კი წინასწარ, შესაბამისი ხელშეკრულების დადებამდე ან საქმიანობის დაწყებამდე სცოდნოდნათ, არღვევდა თუ არა ეს ხელშეკრულება ან საქმიანობა კონკურენციის წესებ, ²³⁶ 17/62 რეგულაციამ ევროკომისიას მისცა მეწარმის მოთხოვნით მისი ამა თუ იმ ხელშეკრულების, საქმიანობის ან პრაქტიკის შეფასების და „უარყოფითი დასკვნის“ (ანუ კონკურენციის არდარღვევის თაობაზე დასკვნის) გაცემის უფლება. ასეთი მიმართვების და შეფასებების პრაქტიკამ აჩვენა, რომ დარღვევებისადმი ასეთი, პრევენციული მიდგომა მომგებიანია როგორც მეწარმეებისთვის, ასევე მკონტროლებლისთვის. თავისთავად გაჩნდა იდეა იმის თაობაზე, რომ კომპანიების შერწყმის შემთხვევაში ეს პროცედურა არა ნებაყოფლობითი, არამედ სავალდებულო გამხდარიყო,

შესაბამისად, 1973 წელს ევროკომისიამ მოამზადა საკანონმდებლო წინადადება²³⁷ საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაციის (ანუ კომპანიების შერწყმა-გაერთიანების) გაკონტროლების აუცილებლობის თაობაზე. იგი ასაბუთებდა, რომ კომპანიების შერწყმა-გამსხვილება შეიცავს ამ გზით ბაზარზე მოპოვებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საშიშროებას და შერწყმის პროცესის გაკონტროლება შემდგომი შესაძლო დარღვევების პრევენციააო. ეს წინადადება ევროპარლამენტმა შენიშვნების გარეშე მიიღო კიდევ, თუმცა ევროპის საბჭოში წინადადება ჩავარდა. ამის ძირითადი მიზეზი იყო გასაერთიანებელი კომპანიების კრიტიკული ზომის განსაზღვრის წესი, რომლის გადაჭარბებისას შერწყმა ევროკომისიის კონტროლს ექვემდებარებოდა - ევროკომისიის მიერ შემოთავაზებული იყო ორი კრიტერიუმი: კომპანიების ჯამური ბრუნვა (200 მილიონი პირობითი ერთეული) და შესაბამისი ბაზრის წილი (25%-ზე მეტი, თანამეგობრობის რომელიმე ქვეყანაში). ბაზრის ზღვრული წილის დაწესება რიგი ქვეყნების მიერ არასაიმედო კრიტერიუმად ჩაითვა და 1981 წლისთვის ევროკომისიამ წარმოადგინა გადამუსავებულია საკანონმდებლო წინადადება, სადაც შერწყმის კრიტერიუმად მხოლოდ კომპანიების ჯამური ბრუნვა (500 მილიონი ეკიუ) იყო მითითებული. საბოლოოდ თანამეგობრობაში კომპანიების შერწყმის რეგულირების წესები 1989 წელს, 4064/89 რეგულაციით ²³⁸ დადგინდა, რომლითაც ევროკომისიის კონტროლის კომპეტენცია გავრცელდა იმ შერწყმებზე, რომელშიც კომპანიების ჯამური ბრუნვაა 5 მილიარდი ეკიუ - მსოფლიოს მასშტაბით და 250 მილიონი ეკიუ - თანამეგობრობის მასშტაბით. შემდგომში (1997 წელს ²³⁹) მოთხოვნები გამკაცრდა: კონტროლი გავრცელდა უფრო მცირე ზომის შერწყმებზეც²⁴⁰, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა

²³⁶ 17/62 რეგულაციის პრეამბულის მე-10 აბზაცის მიხედვით.

²³⁷ Proposal for a Regulation (EEC) of the Council on the control of concentrations between undertakings (Submitted to the Council by the Commission on 20 July 1973), COM/73/1210FINAL, OJ No C 92, 31. 10. 1973, p. 1.

²³⁸ Council Regulation (EEC) No 4064/89 of 21 December 1989 on the control of concentrations between undertakings.

²³⁹ Council Regulation (EC) No 1310/97 of 30 June 1997 amending Regulation (EEC) No 4064/89 on the control of concentrations between undertakings.

²⁴⁰ ესაა შერწყმები, რომელთა ჯამური ბრუნვა - მსოფლიო მასშტაბით - 2,5 მილიარდ ეკიუს აღემატება, ან თანამეგობრობის რომელიმე, სულ ცოტა 3 ქვეყანაში მათი ჯამური ბრუნვა აღემატება 100 მილიონ

კომპანიების ბრუნვის 2/3 თანამეგობრობის მხოლოდ ერთ ქვეყანაშია კონცენტრირებული - ასეთ შემთხვევაში კომპანიას ეროვნული კონტროლის ქვეშ რჩება.

იგივე კრიტერიუმები დარჩა ძალაში 2004 წელს, კონცენტრაციის მარეგულირებელი ახალი, 139/2004 რეგულაციის ²⁴¹ და მისი აღმასრულებელი 802/2004 ²⁴² რეგულაციის მიღების შემდგომ. შეიცვალა და დაიხვეწა მხოლოდ პროცედურები: შერწყმის თაობაზე ევროკომისიის შეტყობინების (ან წინასწარი შეტყობინების), კონკურენციის დამცველ ეროვნულ უწყებებსა და ევროკომისიას შორის კომუნიკაციისა და ფუნქციების განაწილების, საქმის გამოკვლევის ხანგრძლივობა და ა.შ. ინფორმაცია კომპანიების შერწყმის თაობაზე ევროკომისიისადმი წარდგენილი ნოტიფიკაციების თაობაზე ხელმისაწვდომია ევროკომისიის ვებ-გვერდზე მისამართზე http://ec.europa.eu/competition/elojade/isef/index.cfm?fuseaction=dsp_merger_by_date

2.3.3.6 სახელმწიფო დახმარებები

ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის სადამფუძნებლო შეთანხმების 92-ე მუხლი ²⁴³ ზოგადად კრძალავს ნებისმიერი სახის სახელმწიფო დახმარებებს, რომელსაც „რომელიმე მეწარმის ან პროდუქტის ხელშეწყობის გამო შეუძლია შეაფერხოს კონკურენცია“. ამავე დროს, იგივე მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფო დახმარებების დაშვებულ ფორმებს. კერძოდ, დაშვებულია სოციალური დახმარებები ინდივიდუალური მომხმარებლებისადმი და დახმარებები სტიქიით მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად. გარდა ამისა, „შესაძლოა დაშვებული იქნას“ ისეთი სახელმწიფო დახმარებები, რომელიც გამიზნულია შედარებით ჩამორჩენილი ან მაღალი უმუშევრობის დონით გამორჩეული რეგიონების ეკონომიკის ასაღორძინებლად, ან ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანი პროექტის განსახორციელებლად, ან კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად. აგრეთვე შეიძლება დაიშვას დახმარებები ეკონომიკის ცალკეული სფეროებისთვის - ე.წ. სექტორული დახმარებები, - „თუკი ეს არ აფერხებს ვაჭრობას იმდენად, რომ საზოგადოებრივი ინტერესებისთვის საზიანო იყოს“. შეთანხმების 93-ე მუხლის ²⁴⁴ მიხედვით სახელმწიფო დახმარებების შესაბამისობა ამ კრიტერიუმებთან ევროკომისიამ უნდა დაადგინოს. ამისთვის კი მთავრობებმა შესაბამისი ინფორმაცია მას დროულად, როგორც წესი დახმარების გაცემამდე უნდა წარუდგინონ. ევროკომისიის გადაწყვეტილება კონკრეტული დახმარების ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან, და შესაბამისად, საერთო ბაზართან შეუსაბამობის თაობაზე მთავრობამ შეიძლება გააპროტესტოს ევროპის საბჭოში, რომელსაც აქვს მინიჭებული უფლება გააფართოვოს დასაშვები სახელმწიფო დახმარებების წრე ან მიიჩნიოს რომელიმე კონკრეტული დახმარება ბაზრის შესაბამისად მიუხედავად იმისა, რომ იგი 92-ე მუხლით

ეკიუს ისე, რომ სულ ცოტა ორი კომპანიის ბრუნვა აღემატება 25 მილიონ ეკიუს (თითოეულისთვის), ან რომელიმე ორი კომპანიის ბრუნვა თანამეგობრობის დონეზე აღემატება 100 მილიონ ეკიუს.

²⁴¹ Council Regulation (EC) No 139/2004 of 20 January 2004 on the control of concentrations between undertakings (the EC Merger Regulation).

²⁴² Commission Regulation (EC) No 802/2004 of 7 April 2004 implementing Council Regulation (EC) No 139/2004 on the control of concentrations between undertakings.

²⁴³ შემდგომში ეს მუხლი გახდა 87-ე მუხლი „ევროპული თანამეგობრობის ჩამოყალიბების შესახებ“ შეთანხმებაში და 107-ე მუხლი „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ“ შეთანხმებაში.

²⁴⁴ იგივე 88-ე მუხლი „ევროპული თანამეგობრობის ჩამოყალიბების შესახებ“ შეთანხმებაში და 108-ე მუხლი „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ“ შეთანხმებაში.

დადგენილ მოთხოვნებში არ ჯდება²⁴⁵. თუ მთავრობის მიმართვას საბჭოს ამგვარი რეაქცია არ მოჰყვება, მთავრობა ვალდებულია დადგენილ ვადებში გააუქმოს ევროკომისიის მიერ დაწუნებული დახმარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ევროკომისია მიმართავს ევროპის სასამართლოს.

სადამფუძნებლო შეთანხმებით დადგენილმა ამ ზოგადმა ჩარჩომ მომდევნო წლებში მასიური ნორმატიული ბაზის განვითარება გამოიწვია. მათ უმრავლესობას შეადგენს გადაწყვეტილებები კონკრეტულ დახმარებებთან დაკავშირებით. თუმცა თანდათანობით შემუშავდა ერთიანი მიდგომები, პირველ რიგში სექტორული დახმარებების მიმართულებით. სახელმწიფო დახმარებების ყველაზე ინტენსიური მიმართულებები იყო და დღემდე რჩება: გემთმშენებლობა, შავი მეტალურგია, ქვანახშირის მოპოვება, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა. ყველა ამ მიმართულებით ჩამოყალიბებულია სექტორული მიდგომები და რეგულაციები სახელმწიფო დახმარებების უნიფიცირებისა და ეტაპობრივი შემცირების მიზნით.

გარდა ამისა, 80-ანი წლების მეორე ნახევრიდან თანდათან ჩამოყალიბდა სახელმწიფო დახმარებების მარეგულირებელი უფრო ზოგადი, ე.წ. ჰორიზონტალური დახმარებების წესები. ისინი მოიცავენ დახმარებებს კვლევა-განვითარების ხელშეწყობისთვის²⁴⁶, გარემოს დაცვისა და ენერგოეფექტურობისთვის, რეგიონების თანაბარი განვითარებისთვის, ეკონომიკის ძველი სექტორების გადარჩენა-გარდაქმნისთვის, აგრეთვე დახმარებებს მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის²⁴⁷. ამავე პერიოდში დადგინდა დახმარებების ე.წ. de minimis პრინციპი, რომლის მიხედვით მცირე ზომის სახელმწიფო დახმარებები კონკურენციაზე უმნიშვნელო ზემოქმედების მქონედ იქნა მიჩნეული. 1992 წლის მდგომარეობით ასეთად ჩაითვალა 3 წლის განმავლობაში საწარმოსთვის ჯამურად 50 ათასი ეკიუს ტოლი სახელმწიფო დახმარების გამოყოფა. დღეის მდგომარეობით²⁴⁸ ეს ზღვარი აწეულია და შეადგენს ჯამურ 200 ათას ევროს 3 წლის განმავლობაში²⁴⁹.

ამჟამად ევროკავშირში დაშვებული სახელმწიფო დახმარებები დიაგრამაზეა ასახული


²⁴⁵ თანამეგობრობის საბჭოში ასეთი გადაწყვეტილებების მისაღებად სადამფუძნებლო ხელშეკრულება სრულ კონსენსუსს ითხოვს.

²⁴⁶ Community framework for State aids for research and development, OJ C 83, 11.4.1986, p. 2–6.

²⁴⁷ Information from the Commission - Community guidelines on State aid for small and medium-sized enterprises (SMEs), OJ C 213, 19.8.1992, p. 2–9

²⁴⁸ Commission Regulation (EC) No 1998/2006 of 15 December 2006 on the application of Articles 87 and 88 of the Treaty to de minimis aid. ამ აქტის მოქმედების ვადაა 2014 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

²⁴⁹ გარდა საგზაო გადაზიდვებისა. ამ საქმიანობისთვის ზღვარი შეადგენს 100 ათას ევროს 3 წლის განმავლობაში.



დიაგრამა 1: ევროკავშირში დაშვებული სახელმწიფო დახმარებები

წყარო: http://ec.europa.eu/competition/state_aid/scoreboard/index_en.html

ყველა დახმარებები, როგორც წესი, ექვემდებარება ევროკომისიისათვის წინასწარი შეტყობინების პროცედურას. გამონაკლისია მხოლოდ de minimis დახმარებები და ჰორიზონტალური დახმარებები, რომელიც ე.წ. „ზოგადი ჯგუფური გამონაკლისის რეგულაციით“²⁵⁰ არის დაშვებული. ესენია:

²⁵⁰ Commission Regulation (EU) No 651/2014 of 17 June 2014 declaring certain categories of aid compatible with the internal market in application of Articles 107 and 108 of the Treaty. 2014 წლის 1 ივლისიდან ამ რეგულაციამ ჩაანაცვლა იგივე ტიპის რეგულაცია, რომელიც მანამდე მოქმედებდა: Commission Regulation (EC) No 800/2008 of 6 August 2008 declaring certain categories of aid compatible with the common market in application of Articles 87 and 88 of the Treaty (General block exemption Regulation). თავის მხრივ ამ უკანასკნელმა კი ჩაანაცვლა მანამდე მოქმედი რეგულაციები მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებებთან დაკავშირებით (Commission Regulation (EC) No 70/2001 of 12 January 2001 on the application of Articles 87 and 88 of the EC Treaty to state aid to small and medium-sized enterprises), დასაქმების მიზნით გაწეულ დახმარებებთან დაკავშირებით (Commission Regulation (EC) No 2204/2002 of 12 December 2002 on the application of Articles 87 and 88 of the EC Treaty to State aid for employment), დახმარებები თრენინგებში (Commission Regulation (EC) No 68/2001 of 12 January 2001 on the application

- საინვესტიციო და დასაქმების დახმარებები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;
- დახმარება ქალ-მეწარმეების მიერ მცირე საწარმოების შესაქმნელად;
- დახმარება გარემოსდაცვითი ზომების გასატარებლად, მათ შორის გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად და არსებულზე უფრო მკაცრი გარემოსდაცვითი სტანდარტების დასანერგად
- დახმარებები სარისკო კაპიტალის სახით (სახელმწიფოს მონაწილეობა საინვესტიციო ფონდებში)
- დახმარებები კვლევა-განვითარებასა და ინოვაციებისთვის, ტრენინგებისთვის, კონსულტაციებისთვის, მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტების დასაქირავებლად, სამეწარმეო გამოფენებში მონაწილეობისთვის, ინტელექტუალური საკუთრების შეძენისთვის და სხვა;
- დახმარება სოციალურად დაუცველი ან შეზღუდული შესაძლებლობის პირების დასაქმებისთვის.
- რეგიონული დახმარებები დამტკიცებული მრავალწლიანი გეგმის ფარგლებში²⁵¹.

თითოეული ამ ტიპის დახმარებისთვის დადგენილია დამატებითი მოთხოვნები და ზღვრები, რომელთა დაცვის შემთხვევაში მათზე მოქმედებს ჯგუფური გამონაკლისი. ამ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში დახმარების გასაცემად არ არის საჭირო ევროკომისიის თანხმობა. საკმარისია შესაბამისი მთავრობის მიერ ევროკომისიის მხოლოდ ინფორმირება - და ისიც დახმარების გაცემის შემდგომ.

ყველა სხვა დახმარებების თაობაზე ევროკომისია წინასწარ ინფორმირებული უნდა იყოს. ევროკომისიის მიერ სახელმწიფო დახმარებების შეტყობინებების განხილვის ჩვეულებრივი პროცედურა მოიცავს წინასწარ განხილვას 2 თვის განმავლობაში, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს უფრო დეტალური შესწავლა-გამოკვლევის 18-თვიანი პროცედურა²⁵². ზოგიერთი იოლად განსახილველი, ტიპური დახმარებებისათვის გამოიყენება განხილვის დაჩქარებული 1 თვიანი პროცედურა.²⁵³

ევროკომისიას აგრეთვე შეუძლია გამოიძიოს დახმარება, რომლის თაობაზე მას შესაბამისი მთავრობისგან წინასწარი შეტყობინება არ მიუღია, ან დახმარება, რომელიც ევროკომისიის მიერ ადრე მიჩნეული იქნა დასაშვებად, მაგრამ არსებობს ეჭვი, რომ იგი არასათანადოდ იყო გამოყენებული. თუკი ევროკომისია დაასკვნის, რომ უკვე გაცემული დახმარება უკანონოა, წევრი-ქვეყანა ვალდებულია გაცემული დახმარება და შესაბამისი პროცენტი ბენეფიციარს უკან დააბრუნებინოს²⁵⁴.

განსაკუთრებული შემთხვევაა სახელმწიფო შესყიდვები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იკრძალება ნებისმიერი საშუალებით გაწეული სახელმწიფო დახმარებები. დაფუძნებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით სახელმწიფო დახმარებად მიიჩნევა აგრეთვე ის თანხა, რომელიც საჯარო შესყიდვებისას პროდუქტის საბაზრო ფასზე გადამეტებით იქნა

of Articles 87 and 88 of the EC Treaty to training aid) და აგრეთვე მოიცავს ეროვნული დონის დახმარებები რეგიონებისთვის (Guidelines on national regional aid for 2007-2013, Official Journal C 54 of 4.3.2006).

²⁵¹ ამჟამად მოქმედი გეგმა დამტკიცებულია დოკუმენტით Guidelines on regional State aid for 2014-2020, Official Journal C209, 23.07.2013.

²⁵² პროცედურა დადგენილია რეგულაციით: Council Regulation No 659/1999 of 22 March 1999 laying down detailed rules for the application of Article 108 of the Treaty on the Functioning of the European Union of the EC Treaty.

²⁵³ Commission Notice on a Simplified procedure for the treatment of certain types of State aid OJ C136, 16.06.2009, p. 3-12.

²⁵⁴ მოქმედებს 10 წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომლის გასვლის შემდეგ მიღებული დახმარება დაბრუნებას აღარ ექვემდებარება.

გადახდილი²⁵⁵. თუმცა ამავე დროს საკომპენსაციო თანხა, რომელსაც სახელმწიფო უხდის კერძო მეწარმეს, იმისათვის რომ მან საზოგადოებისთვის საჭირო, თუმცა კომერციული თვალსაზრისით წამგებიანი მომსახურება (მაგალითად საზოგადოებრივი ტრანსპორტი) უზრუნველყოს, სახელმწიფო დახმარებად არ მიიჩნევა. მაგრამ ამისათვის აუცილებელია დაცული იყოს შემდეგი პირობები²⁵⁶:

- კომპენსაციის მიმღებ საწარმოს უნდა ეკისრებოდეს მკაფიოდ განსაზღვრული საზოგადოებრივი მომსახურება;
- კომპენსაციის გამოსაანგარიშებელი პარამეტრები უნდა იყოს ობიექტური, გამჭვირვალე და წინასწარ დადგენილი (თუკი მომსახურების ეკონომიკური წამგებიანობა გაირკვა მომსახურების გაწევის შემდგომ და სახელმწიფოს მოუწია დანაკარგების კომპენსაცია, ეს თანხა მიიჩნევა სახელმწიფო დახმარებად);
- კომპენსაცია არ უნდა აჭარბებდეს გაწეული საზოგადოებრივი მომსახურების ხარჯებს, გონივრული მოგების გათვალისწინებით;
- თუკი საწარმო არ შეირჩევა საჯარო ტენდერის გზით (რომელიც სახელმწიფოს საშუალებას მისცემდა ყველაზე ნაკლები ფასის მომთხოვნი მიმწოდებელი შეერჩია), მაშინ კომპენსაცია ტიპური კარგად-მართული კომპანიის ხარჯების საფუძველზე უნდა დაანგარიშდეს.

რაც შეეხება სახელმწიფო საწარმოებს, სადამფუძნებლო შეთანხმების 90-ე მუხლის²⁵⁷ მიხედვით მათზე ვრცელდება კონკურენციის იგივე წესებს, რაც კერძო საწარმოებზე. დამატებით კი მათზე მოქმედებს გამჭვირვალობის მოთხოვნები²⁵⁸.

2.3.4 მოთხოვნები ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 1996 წელს გაფორმებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებისაგან (PCA) განსხვავებით, რომელიც კონკურენციის სფეროში კანონმდებლობის ჰარმონიზაციას მხოლოდ „საუკეთესო ძალისხმევის“ კონტექსტში განიხილავდა, ასოცირების შესახებ შეთანხმების ტექსტში ანალოგიური დებულება „მკაცრი ვალდებულებების“ ფორმითაა მოცემული. აღნიშნული შეთანხმების

²⁵⁵ იხ. მაგალითად: Opinion of Mr Advocate General delivered on 14 January 2003. Altmark Trans GmbH and Regierungspräsidium Magdeburg v Nahverkehrsgesellschaft Altmark GmbH, and Oberbundesanwalt beim Bundesverwaltungsgericht.

²⁵⁶ Judgment of the Court of 24 July 2003. Altmark Trans GmbH and Regierungspräsidium Magdeburg v Nahverkehrsgesellschaft Altmark GmbH, and Oberbundesanwalt beim Bundesverwaltungsgericht. Reference for a preliminary ruling: Bundesverwaltungsgericht - Germany. Regulation (EEC) No 1191/69 - Operation of urban, suburban and regional scheduled transport services - Public subsidies - Concept of State aid - Compensation for discharging public service obligations. Case C-280/00.

²⁵⁷ შემდგომში ეს მუხლი გახდა 86-ე მუხლი „ევროპული თანამეგობრობის ჩამოყალიბების შესახებ“ შეთანხმებაში და 106-ე მუხლი „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ“ შეთანხმებაში.

²⁵⁸ დადგენილია დირექტივით: Commission Directive 2006/111/EC of 16 November 2006 on the transparency of financial relations between Member States and public undertakings as well as on financial transparency within certain undertakings

ხელმოწერის და ძალაში შესვლის შემდეგ საქართველო ვალდებულია უზრუნველყოს კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტიანი ამოქმედება [13].

2.3.5 კონკურენციის დაცვა საქართველოში

საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირება შემოღებულ იქნა 1992 წელს სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“. ამავე პერიოდიდან ამოქმედდა ანტიმონოპოლიური სამსახური, ეკონომიკის სამინისტროს შემადგენლობაში. 1996 წელს მიღებულ იქნა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი. შემდგომში, 1996 - 2002 წლებში კი - მთელი რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომელიც ანტიმონოპოლიური კონტროლის რეალურად განხორციელებას ემსახურებოდა²⁵⁹. 1997 წლიდან ანტიმონოპოლიური სამსახური ეკონომიკის სამინისტროსგან დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებდა. თუმცა, ვინაიდან „საზოგადოებაში არსებობდა განცდა ... ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობაში კორუფციის მაღალი რისკის შესახებ“, ²⁶⁰ 2005 წელს განხორციელდა სფეროს ძირეული რეფორმა: მთელი არსებული კანონმდებლობა გაუქმდა (გარდა სექტორული კანონმდებლობისა: ენერგეტიკა, კომუნიკაციები, საფინანსო სექტორი) და ჩანაცვლდა კანონით „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, რომელიც ეხებოდა კონკურენციის დარღვევის მხოლოდ ერთ ფორმას - სახელმწიფო დახმარებებს. აგრეთვე გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური და სანაცვლოდ შეიქმნა მცირე (7 კაციანი) “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო”²⁶¹, მკვეთრად შეზღუდული ფუნქციებით. როგორც 2010 წლის კონკურენციის სტრატეგიაშია აღნიშნული, ეს ზომები მიღებული იყო დროებით, გარდამავალი

²⁵⁹ ესენია მაგალითად:

1. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 22 თებერვლის №95 ბრძანებულება „ბუნებრივ მონოპოლიათა სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების შესახებ“;
2. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 23 აპრილის №262 ბრძანებულება „საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან არსებული ანტიმონოპოლიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“;
3. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 11 მაისის №314 ბრძანებულება „საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკოორდინაციო უწყებათაშორის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“;
4. საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 30 სექტემბრის №426 ბრძანებულება „საქართველოს სასაქონლო ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;
5. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის 2000 წლის 12 დეკემბრის №8/42 ბრძანება „შესაბამის (კონკრეტულ) სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის) მონოპოლიური მდგომარეობის განსაზღვრის შესახებ.“.
6. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 10 იანვრის №8 ბრძანებულება „საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ შემოწმების მოწყობის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;

²⁶⁰ ციტატა „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიიდან“. თავი 1, მუხლი 1.1.

²⁶¹ ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება.

პერიოდისთვის და ხელისუფლებას მისი მალე შეცვლის აუცილებლობა გააზრებული ჰქონდა. თუმცა რეალურად კანონი მხოლოდ 2012 წელს, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების ფონზე შეიცვალა.

2.3.5.1 ევროპული ინტეგრაცია

კონკურენციის დაცვა იმ სფეროების ჩამონათვალში შედიოდა, რომელთა რეგულირების აპროქსიმაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჯერ კიდევ 1996 წლის საქართველო-ევროკავშირის პარტნიორობის შეთანხმებით²⁶² იყო გათვალისწინებული (მუხლი 43). შეთანხმების 44-ე მუხლი აკონკრეტებდა, რომ თანამეგობრობა საქართველოს დაეხმარებოდა კონკურენციის კანონმდებლობის გადახედვაში, ახლის ფორმულირებაში და აღსრულების საშუალებების შეფასებასა და გაუმჯობესებაში კონკურენციის დაცვის ხუთივე ძირითადი მიმართულებით:

1. კარტელური შეთანხმებები
2. ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება
3. სახელმწიფო დახმარებები
4. სახელმწიფო მონოპოლიები
5. სახელმწიფო საწარმოები

2008 წელს ევროკომისიამ საქართველოში გამოგზავნა საგანგებო მისია, რომელსაც უნდა შეეფასებინა საქართველოს მზადყოფნა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებისათვის მოლაპარაკებათა დასაწყებად და მიეწოდებინა მთავრობისათვის რეკომენდაციები ამ მზადყოფნის გასაუმჯობესებლად²⁶³. ამ მისიის დასკვნები და რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას 2009 წლის მარტში წარედგინა²⁶⁴. ეს საჯაროდ რეკომენდაციები არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ევროპული ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ამჟამადაც ხელმისაწვდომია ამ რეკომენდაციების პასუხად საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული ე.წ. „DCFTA მზადყოფნის მატრიცა“²⁶⁵ სადაც მითითებულია როგორც თავად რეკომენდაციები, აგრეთვე საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები მათ გასათვალისწინებლად. ევროკავშირის მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ოთხ საკითხს:

²⁶² Partnership and Cooperation Agreements Establishing a partnership between the European Communities and their member States, of the one part, and Georgia, of the other part, 22 April 1996, http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eu_georgia/eu_georgia_pca_en.pdf

²⁶³ Progress Report Georgia, Commission Staff Working Document SEC(2009)513, accompanying the Communication from the Commission to the European Parliament and the Council *Implementation of the European Neighbourhood Policy in 2008* (COM (2009)188), http://eu-nato.gov.ge/sites/default/files/ProgressReportGeorgia231_04_09en.pdf, Chapter 4: Trade and trade related issues, Market and Regulatory Reform.

²⁶⁴ Implementation of the European Neighbourhood Policy in 2009, Progress Report Georgia, Commission Staff Working Document SEC(2010)518, accompanying the Communication from the Commission to the European Parliament and the Council *Taking stock of the European Neighbourhood Policy* (COM (2010)207), http://www.enpi-info.eu/library/sites/default/files/attachments/sec10_518_en.pdf, Chapter 4: Trade and trade related issues, Market and Regulatory Reform.

²⁶⁵ http://eu-nato.gov.ge/sites/default/files/Danartill-DCFTA_Preparedness_Matrix20101-2.doc.

სურსათის უვნებლობა, სამრეწველო პროდუქციის უსაფრთხოება, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და კონკურენციის დაცვა. ამ სფეროებში რეფორმების გეგმის შემუშავება და ამ რეფორმების დაწყების დემონსტრირება ფაქტიურად მოლაპარაკებათა წინაპირობად განიხილებოდა. შესაბამისად, უკვე 2009 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობამ დაიწყო მუშაობა შესაბამისი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების მომზადებაზე [7].

2010 წელს საქართველომ მოამზადა და დაამტკიცა „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“, რომელიც კონკურენციის კანონმდებლობის ცვლილებას და „ევროკავშირის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან“ მის შესაბამისობაში მოყვანას ითვალისწინებდა. 2011 წლის განმავლობაში მართლაც მომზადდა ახალი კანონპროექტი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ და 2012 წლის 8 მაისს იგი პარლამენტმა მიიღო კიდევ. თუმცა ახალი კანონი, მიუხედავად იმისა, რომ რეგულირების სფერო გაფართოვდა და მოიცავდა არა მხოლოდ სახელმწიფო დახმარებებს, არამედ თავისუფალი კონკურენციის დარღვევის სხვა ფორმებსაც, რეალურ მექანიზმებს მათი რეგულირებისთვის კვლავ არ შეიცავდა.

2011 წლის დეკემბერში შეიქმნა ახალი სსიპ „კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ (ფაქტიურად არაქმედუნარიანი ორგანოს - „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს“ და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ შერწყმის შედეგად²⁶⁶). კონკურენციის სფეროში ამ ახალი სააგენტოს ფუნქციონირების ფარგლები უნდა დადგენილიყო მთავრობის მიერ განსაზღვრული „პრიორიტეტული სფეროებით“. ამ ჩარჩოებს გარეთ რაიმე საკითხის განხილვის უფლება სააგენტოს არ გააჩნდა

სიტუაცია შეიცვალა 2012 წლის ბოლოს, საპარლამენტო არჩევნების შედეგად. ახალმა მთავრობამ თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად კონკურენციის პოლიტიკის გააქტიურება მიიჩნია. სამთავრობო პროგრამის²⁶⁷ მიხედვით „განხორციელდება თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშემწყობი პოლიტიკა“ ამასთან „მნიშვნელოვნად გაიზრდება ვერტიკალური და ჰორიზონტალური გარიგებების კონტროლის არეალი“. აღნიშნული მიზნების მიღწევას პროგრამა გეგმავს რეალურად დამოუკიდებელი კონკურენციის სააგენტოს ჩამოყალიბებით, რომელსაც „მიენიჭება ბაზრის მონიტორინგის ფუნქცია, რაც შესაბამისი კვლევების განხორციელებას გულისხმობს“.

2013 წლის განმავლობაში უპირველეს პრიორიტეტად საქართველოს მთავრობამ არსებული საკანონმდებლო ბაზის რეფორმირება დაასახელა. იმის გათვალისწინებით, რომ 2012 წელს მიღებული კანონი მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავდა, აუცილებელი იყო მისი ცვლილება ისე, რომ კანონი საერთაშორისო სტანდარტების/მოთხოვნებთან დაახლოებულიყო და მისი საშუალებით შესაძლებელი გამხდარიყო „თავისუფალი კონკურენციის წესებისა და პრინციპების დაცვაზე სახელმწიფოს მიერ რეალური, ქმედითი ზედამხედველობის განხორციელება. 2013 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკის სამინისტრომ ადგილობრივ და

²⁶⁶ რიგი ექსპერტების აზრით ეს შერწყმა ინტერესთა კონფლიქტის ნიშნებს ატარებდა, ვინაიდან კონკურენციის სააგენტომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გარკვეულწილად უნდა აკონტროლოს. იხ. მაგალითად <http://www.versia.ge/index.php/2013-07-31-11-22-56/item/698>-ვინ-და-რა-ტომ-ბლოკავს-თავისუფალი-ვაჭრობისა-და-კონკურენციის-შესახებ-კანონს .

²⁶⁷ სამთავრობო პროგრამა ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის. ძირითადი დებულებები. საქართველოს მთავრობა. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისათვის (საბოლოო ვარიანტი). <http://www.mof.ge/BDD>

საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად შეიმუშავა და საზოგადოებას წარუდგინა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების კანონპროექტი. მისი საჯარო განხილვები რამოდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. საბოლოოდ, კანონის ცვლილებები მიღებული იქნა 2014 წლის 21 მარტს და ამოქმედდა 2014 წლის 31 მარტიდან.

2014 წლის ცვლილებებით საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში გადმოტანილი იქნა ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის ყველა ძირითადი დებულება

ამ მომენტიდან საქართველოში ამოქმედდა კონკურენციის კანონმდებლობა, რომელიც ძირითადად შესაბამისობაშია ევროკავშირის და სხვა საერთაშორისო მოთხოვნებთან

2.3.6 მოსალოდნელი ცვლილებები

არსებითად, კონკურენციის კანონმდებლობა ევროპულის შესაბამისია. ეხლა მთავარია ის შესრულდეს და ქვეყანაში დაგროვდეს ამ კანონმდებლობის გამოყენების ადექვატური პრაქტიკა.

2.4 ინტელექტუალური საკუთრების დაცვა

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ნიშნავს არამატერიალური, გონებრივი სიკეთეების შემქმნელებისთვის ისეთი პირობების შექმნას, რაც მათ საშუალებას მისცემს სხვების მიერ ამ სიკეთეების გამოყენება გააკონტროლონ (და ასეთი გამოყენებისგან შემოსავალი მიიღონ) [17]. გასაგებია, რომ ასეთი დაცვის გარეშე ავტორი/გამომგონებელი თავისი ნაწარმოებისა თუ გამოგონების განსაჯაროვებაში დაინტერესებული არ იქნებოდა, რაც მეცნიერების, ტექნოლოგიების და კულტურის განვითარებას უაღრესად შეაფერხებდა. ავტორების/გამომგონებლების ეს განსაკუთრებული უფლებები როგორც წესი ვადიანია, ხშირად ტერიტორიულად შეზღუდულია, და გარდა ამისა, საზოგადოების განსაკუთრებული საჭიროებების შემთხვევაში მთლიანად ან ნაწლობრივ უქმდება.

ტრადიციულად ინტელექტუალურ საკუთრების უფლებას ორ ტიპად ყოფენ: სამრეწველო საკუთრება (პატენტები და სასაქონლო ნიშნები) და საავტორო უფლებები (ხელოვნების ნაწარმოების ავტორის ან შემსრულებლის უფლებები).

2.4.1 საერთაშორისო ინსტრუმენტები

პატენტები, როდგორც სახელმწიფოს მიერ გამომგონებლის უფლებების დაცვის ინსტრუმენტი თავის ისტორიას მე-15 საუკუნის ვენიდან ითვლის, თუმცა ეს დაცვა საერთაშორისო დონეზე მხოლოდ მე-19 საუკუნეში გავრცელდა და სამართლებრივად 1880 წლის პარიზის კონვენენციაზე პარიზის კონვენციის²⁶⁸ სახით ჩამოყალიბდა. ამის შემდეგ კონვენცია რამდენჯერმე შეიცვალა, მისი დღეს მოქმედი ვერსია 1967 წელს სტოკჰოლმში იქნა მიღებული (თუმცა მას კვლავ „პარიზის კონვენცია“ ჰქვია). მისი არსი იმაში მდგომარეობს,

²⁶⁸ კონვენციის სრული დასახელებაა პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის თაობაზე (Paris Convention for the Protection of Industrial Property of March 20, 1883, as revised at Brussels on December 14, 1900, at Washington on June 2, 1911, at The Hague on November 6, 1925, at London on June 2, 1934, at Lisbon on October 31, 1958, and at Stockholm on July 14, 1967, and as amended on September 28, 1979).

რომ ქვეყნები აღიარებენ ერთმანეთის მიერ გაცემულ პატენტებს და სხვა ქვეყნის²⁶⁹ პატენტის მფლობელისთვის უზრუნველყოფენ იგივე დაცვას, რაც მისი საკუთარი პატენტისთვის.

ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა ობიექტებზე დაცვის სხვადასხვა რეჟიმი მოქმედებს:

- ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებებზე²⁷⁰ ვრცელდება **საავტორო უფლებები** (Copyright) - ანუ მათი შემქმნელის (ავტორის) უფლება აკრძალოს ან დართოს ნება მის გამოყენებაზე.²⁷¹ საავტორო უფლებას არ სჭირდება რეგისტრაცია, იგი მოქმედებს ნაწარმოების შექმნის მომენტიდან, ავტორის მთელი სიცოცხლის მანძილზე და 70 წელი მისი გარდაცვალების შემდეგ (ამ პერიოდში იგი გადადის მემკვიდრეობით).
- ახალი ტექნოლოგიის, ნაერთის, დანადგარის, ბიოლოგიური მასალის გამოგონება შეიძლება დაცული იყოს **პატენტით**. ამისთვის საჭიროა გამოგონების დაპატენტება, ანუ განაცხადის შეტანა პატენტის გამცემ ორგანოში, რომელიც აფასებს გამოგონების სიახლეს და გამოყენებადობას და ამის მიხედვით გასცემს პატენტს. პატენტი უვადოა²⁷², თუმცა მოქმედებს მხოლოდ იმ კონკრეტული ქვეყნის (ან რეგიონის) ტერიტორიაზე, რომელმაც გასცა იგი²⁷³. დაპატენტებული გამოგონების 4 წლის განმავლობაში გამოუყენებლობის (ან არასაკმარისი გამოყენების) შემთხვევაში დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს მისი გამოყენების ლიცენზიის იძულებითი გაცემა.
- **სასაქონლო ნიშანი** (Trademark) არის სიმბოლო ან აღნიშვნა, რომელიც ამა თუ იმ მეწარმის საქონლის იდენტიფიცირებისთვის გამოიყენება. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება მხოლოდ მის მფლობელს აქვს. სახელმწიფომ აგრეთვე უნდა უზრუნველყოს საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვა უნებართვოდ გამოყენებისგან. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ვადა 10 წელია და შესაძლებელია მისი გაგრძელება. თუმცა თუკი სასაქონლო ნიშნის მფლობელი მას 5 წლის განმავლობაში არ იყენებს, დაინტერესებულ პირს შეუძლია რეგისტრაციის გაუქმება მოითხოვოს. რეგისტრაცია აგრეთვე უქმდება, თუკი სასაქონლო ნიშანი საყოველთაოდ გამოიყენება როგორც გარკვეული სახის საქონლის აღმწერი გვარეობითი ცნება. **სავაჭრო დასახელებებს** (Trade name) რეგისტრაცია არ სჭირდება - ისინი ისედაც დაცული უნდა იყოს.

²⁶⁹ იგულისხმება კონვენციის წევრი ქვეყანა.

²⁷⁰ ზოგ ქვეყანაში - აგრეთვე რუკებზე, მონაცემთა ბაზებზე და კომპიუტერულ პროგრამებზე. ამავე დროს საავტორო უფლებები ვრცელდება არა ნაწარმოებში გადმოცემულ იდეებზე ან კონცეფციებზე, არამედ მხოლოდ ამ იდეებისა თუ კონცეფციების გამოხატვის ფორმაზე.

²⁷¹ გარდა ამისა, ავტორს აქვს არაქონებრივი უფლებები - უფლება მოითხოვოს მისი სახელის ან ფსევდონიმის მითითება (ან არ-მითითება) ნაწარმოებზე, უფლება აკრძალოს ან ნება დართოს ნაწარმოების ცვლილება და სხვა. დამატებით სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებზე და ფოტოგრაფიებზე ვრცელდება ე.წ. მიდევნების (Droit de suite) უფლება, რაც გულისხმობს გარკვეული წილის (3-4%) მიღებას ნაწარმოების ყოველი შემდეგი გაყიდვიდან.

²⁷² დაპატენტებულ ტექნოლოგიაზე (ტექნოლოგიური გამოყენების იდეაზე) მოქმედებს განსაკუთრებული უფლებები, რომელთა ვადა 20 წელია (სასარგებლო მოდელის შემთხვევაში - 8 წელი)

²⁷³ არაქონებრივი უფლებები ტერიტორიით შემოსაზღვრული არ არის.

- სამრეწველო დიზაინი (Industrial design)
- გეოგრაფიული აღნიშვნები (Geographic Indications)
- ახალი ჯიშები

მომხმარებლებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან ორგვარი შეხება აქვთ: მომხმარებელი დაინტერესებულია ბაზარზე ფალსიფიკაციის (განსაკუთრებით - ბრენდის / სასაქონლო ნიშნის ფალსიფიკაციის) პრევენციაში. თუმცა ამავე დროს მოპარული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების იაფად გავრცელების - პირატობის - აკრძალვა მომხმარებლებისთვის ამ ტიპის საქონლის უპირობო გაძვირებას ნიშნავს.

2.4.2 DCFTA მოთხოვნები

არსებითად საქართველოში უკვე ძალაშია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ძირითადი დებულებები. ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს მათი დაცვის გაძლიერებას. კერძოდ, მე-4 კარის მე-5 თავის (საბაჟო ვალდებულებები) 75-ე მუხლით გათვალისწინებულია ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან აპროქსიმაციას მე-13 დანართის შესაბამისად. ინტელექტუალური საკუთრების მხრივ დანართით გათვალისწინებულია 608/2013 რეგულაციის აპროქსიმაცია ასოცირების ხელშეკრულების ამოქმედებიდან 3 წლის ვადაში, რაც გულისხმობს საბაჟოზე ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვას არა მხოლოდ დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე (რაც უკვე მოქმედებს), არამედ მის გარეშეც, ე.წ. ex officio დაცვა.

2.4.3 საქართველოში არსებული მდგომარეობა

საქართველოში ძალაშია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ძირითადი დებულებები. საქართველო ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელი შემდეგი კონვენციების მხარეა:

უფლებების დამდგენი საერთაშორისო ხელშეკრულებები:

- სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია (1883წ.)
- ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენცია (1886წ.)
- შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ რომის კონვენცია (1961წ.)
- მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (UPOV-ის კონვენცია)
- ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია
- საავტორო უფლებების შესახებ ისმოს ხელშეკრულება (1996წ)
- შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულება (1996წ)
- შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS)

დაცვის ერთობლივი სისტემები:

- ჰააგის შეთანხმება სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეკონირების შესახებ
- სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის ჰააგის შეთანხმების ჟენევის აქტი
- საპატენტო პროცედურების მიზნებისათვის მიკროორგანიზმთა დეკონირების საერთაშორისო აღიარების შესახებ ბუდაპეშტის ხელშეკრულება (1977წ)

- ადგილწარმოშობის დასახელების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმება (1958წ)
- ხელშეკრულება საპატენტო კოოპერაციის შესახებ (PCT) (1970წ.)
- მადრიდის შეთანხმება ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ (1891); შეთანხმების ოქმი (1989წ.)

კლასიფიკაცია:

- ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ ნიცის შეთანხმება (1957წ.)

ამ ხელშეკრულებების საფუძველზე შემუშავებულია და მოქმედებს თანამედროვე საქართველოს კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში:

- საქართველოს საპატენტო კანონი
- საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ
- საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ
- საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ
- საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ
- საქართველოს კანონი ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ
- საქართველოს კანონი ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ
- საქართველოს კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - "საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ
- «ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N182 დადგენილება
- ინსტრუქცია სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ
- ინსტრუქცია დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე
- საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულება
- დებულება საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ
- ინსტრუქცია გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმების, წარდგენისა და პატენტის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ

3 თანამშრომლობის სხვა სფეროები

3.1 მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობა

ასოცირების შეთანხმების მე-6 კარის მე-13 თავი ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობასთან, 29-ე დანართის შესაბამისად. ამ მოთხოვნის განხორციელების ვადები შემდეგია: უსაფრთხოების საკითხები: პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივა

იმპლემენტირებული უნდა იყოს ასოცირების შეანხმების ამოქმედებისტანავე, უსაფრთხოების სხვა რეგულაციები 2 წლის განმავლობაში; სხვა ყველა ნორმატიული აქტები კი ამოქმედებიდან 5 წელიწადში.

სფერო	დირექტივის/რეგულაციის ნომერი	დარეგულირებული სფერო
პროდუქტის უსაფრთხოება	2001/95/EC	პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოება
	87/357/EEC	იმიტაციები
	Decision 2009/251/EC, დიმეთილფუმარატი	
	Decision 2006/502/EC, სანთებლები	
სავაჭრო პრაქტიკა	98/6/EC	სამომხმარებლო საქონლის ფასების მითითება
	2005/29/EC	უსამართლო სავაჭრო პრაქტიკა
	2006/114/EC	შეცდომაში შემყვანი რეკლამა
სახელშეკრულებო ურთიერთობები	1999/44/EC	სამომხმარებლო საქონლით ვაჭრობა და გარანტიები
	93/13/EEC	ხელშეკრულებების უსამართლო პირობები
	97/7/EC	დისტანციური ხელშეკრულებები
	85/577/EEC	ქუჩაში დადებული ხელშეკრულებები
	90/314/EEC	სამოგზაურო ტურისტული პაკეტები
	2008/122/EC	გრძელვადიანი დასვენება და ქირაობა
ფინანსური სფერო	2002/65/EC	დისტანციური ფინანსური მომსახურება
	2008/48/EC	სამომხმარებლო კრედიტი
დავის ალტერნატიული გადაწყვეტა	Recommendation 98/257/EC	
	Recommendation 2001/310/EC	
აღსრულება	98/27/EC	ზოგადი ინტერესების დაცვის ბრძანებები
საერთაშორისო	Regulation	თანამშრომლობა მომხმარებელთა დაცვის სფეროში

თანამშრომლობა	2006/2004
---------------	-----------

ჩამოთვლილი ევროპული დირექტივები მომხმარებელთა დაცვის შემდეგ მნიშვნელოვან მექანიზმებს ითვალისწინებს:

- ე.წ. "კანონისმიერი გარანტია", რაც იმას ნიშნავს, რომ თუკი მომხმარებელმა ნაკლის მქონე²⁷⁴ პროდუქტი შეიძინა, შეძენიდან ორი წლის განმავლობაში²⁷⁵ მას აქვს უფლება მოვაჭრეს ამ საქონლის ნაკლის გამოსწორება, საქონლის გამოცვლა ან დაბრუნება მოსთხოვოს. მომხმარებლის ეს მოთხოვნა უნდა განხორციელდეს მომხმარებლისათვის ყოველგვარი დამატებითი ხარჯის დაკისრების გარეშე. მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის დადებული რაიმე ხელშეკრულება ან თუნდაც მოვაჭრის მიერ გაცემული გარანტია ამ უფლებაზე არ მოქმედებს. გარდა ამისა, ნივთის შეძენიდან 6 თვის განმავლობაში მოქმედებს ე.წ. მომხმარებლის "უდანაშაულობის პრეზუმპცია" - თუკი ნაკლი ნივთს ამ პერიოდში აღმოაჩნდა, იგულისხმება, რომ ნივთს ნაკლი გაყიდვისას ჰქონდა - თუკი მოვაჭრე საწინააღმდეგოს არ დაამტკიცებს. ამ უფლებებს უზრუნველყოფს ევროკავშირის 1999/44/EC დირექტივა.
- ინტერნეტით შეძენილ საქონელზე უარის თქმის უფლება - ინტერნეტში შეძენილი საქონლის მიღებიდან 14 დღის განმავლობაში მომხმარებელს აქვს უფლება, ყოველგვარი მიზეზის და ახსნა განმარტების გარეშე საქონელი (უხმარი!) დააბრუნოს. ასეთ შემთხვევაში მოვაჭრემ უნდა დააბრუნოს მომხმარებლის მიერ საქონლის მისაღებად გაწეული ყველა ხარჯი, მათ შორის ტრანსპორტირების ხარჯი²⁷⁶. ამ უფლებას უზრუნველყოფს 97/7/EC დირექტივა, რომელიც ამჟამად ჩანაცვლებულია 2011/83/EU დირექტივით.
- ხელშეკრულების უსამართლო პირობების ბათილობა. ბათილია ხელშეკრულების ისეთი პირობები, როგორცაა მაგალითად: მომსახურების მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების უფლება, მომხმარებლის გაფრთხილების და კომპენსაციის გარეშე, ან ხელშეკრულების ცალმხრივად გაგრძელების უფლება, მომხმარებლისთვის უარის თქმის საშუალების მიცემის გარეშე; შეძენილი საქონლის ან მომსახურების ცალმხრივად ცვლილების უფლება; აგრეთვე ხელშეკრულების "ფარული" პირობები, რომლის წინასწარ გაცნობის საშუალება მომხმარებელს არ ჰქონდა და სხვა²⁷⁷. ხელშეკრულების ყველა გაუგებარი ტერმინი მომხმარებლისთვის სასარგებლოდ უნდა განიმარტოს. ეს მოთხოვნები დადგენილია 93/13/EEC დირექტივით.
- მომხმარებლის შეცდომაში შემყვანი და აგრესიული მარკეტინგული ხერხების აკრძალვა. იკრძალება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა მაგალითად ისეთი

²⁷⁴ საქონლის ნაკლად მიიჩნევა მისი არსებითი შეუსაბამობა ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებთან.

²⁷⁵ მომხმარებელმა მოვაჭრეს ამ პრეტენზიით უნდა მიმართოს ნაკლის აღმოჩენიდან 2 თვის განმავლობაში.

²⁷⁶ იგულისხმება ტრანსპორტირების ის საშუალება, რაც მოვაჭრემ მომხმარებელს თავად შესთავაზა. თუ ასეთი შეთავაზებები რამდენიმე იყო, მიუხედავად იმისა, თუ რომელი აირჩია მომხმარებელმა, ანაზღაურდება ტრანსპორტირების ყველაზე იაფი ვარიანტი.

²⁷⁷ მეტი დეტალებისთვის იხ. ხელშეკრულების უსამართლო პირობების ჩამონათვალი მისამართზე http://europa.eu/youreurope/citizens/consumers/unfair-treatment/unfair-contract-terms/index_en.htm

ხერხებით, როგორცაა ცრუ პრიზები და საჩუქრები, ცრუ ლიკვიდაციები და სპეციალური შეთავაზებები, ემოციური ზეწოლა მომხმარებელზე ან მათი დაშინება, ვაჭრობის პირამიდული სქემები, საქონლის დაჟინებული შეთავაზება ტელეფონით და სხვა²⁷⁸. აკრძალულია აგრეთვე შეცდომაში შემყვანი რეკლამა. ეს აკრძალვები დადგენილია 2005/29/EC დირექტივით. დამატებით 98/6/EC დირექტივა ადგენს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანისგან დაცვის კიდევ ერთ ხერხს - მოვაჭრის ვალდებულებას, მიუთითოს არა მხოლოდ დაფასოებული პროდუქტის ფასი, არამედ აგრეთვე 1 კილოგრამის ან 1 ლიტრის ფასი, რათა მომხმარებელმა სხვადასხვა პროდუქტის ფასის შედარება შეძლოს.

- მომხმარებელთა უფლებების/ინტერესების დარღვევის კონტროლი და აღკვეთა. თუკი მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნები ირღვევა (მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა კონკრეტული დაზარალებული მომხმარებელი), მომხმარებელთა დამცველ საჯარო ან კერძო ორგანიზაციებს უფლება აქვთ მიმართონ სათანადო ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს, რომელიც სწრაფად გამოიძიებს და აღკვეთს დარღვევას. ეს მოთხოვნა დადგენილია 98/27/EC დირექტივით, ხოლო უცხოელი მომხმარებლების შემთხვევაში - 2006/2004 რეგულაციით.

უზრუნველყოფილია აგრეთვე მომხმარებელთა დაცვა მომსახურების ზოგიერთ სფეროებში.

ამჟამად საქართველოში არც ერთი ეს ნორმატიული აქტი გადმოტანილი და შესრულებული არ არის. პარლამენტში ინიცირებულია სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთობლივად შემუშავებული კანონპროექტი მომხმარებელთა დაცვის თაობაზე.

ტრანსპორტის უსაფრთხოება

ენერგეტიკა

ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებას საქართველო 2016 წლის სექტემბრამდე გეგმავს²⁷⁹

გამოყენებული ლიტერატურა

1. WTO Agreement Series: Technical Barriers to Trade, Revised and updated in May 2014, Amended in August 2014, https://www.wto.org/english/res_e/publications_e/tbttotrade_e.pdf
2. The Blue Guide on the Implementation of EU Product Rules, EC, DG of Enterprise and Industry, 2014, <http://ec.europa.eu/DocsRoom/documents/4942/attachments/1/translations/en/renditions/native>

²⁷⁸ უფრო დეტალურად იხ. "მარკეტინგის შავი სია" მისამართზე http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/unfair-trade/unfair-practices/is-it-fair/blacklist/index_en.htm

²⁷⁹ იხ. <http://energynews.ge/energetikul-gaertiane bashi-saqartvelo-2016-wlis-seqtembramde-gawevriandeba/>

3. Working paper on the relationship between the General Product Safety Directive 2001/95/EC and the market surveillance provisions of Regulation (EC) No765/2008, EC, Brussels, 3 march 2010
http://ec.europa.eu/consumers/archive/safety/prod_legis/docs/20100324_guidance_gspd_reg_en.pdf
4. White paper on modernisation of the rules implementing Articles 85 and 86 of the EC, Commission Programme No 99/027 (1999/C 132/01), Official Journal C 132 of 12.5.1999,
5. Technical Background Paper on Deep and Comprehensive Free Trade Agreement with Georgia: Analytical papers and training materials, GEPLAC Phase VI GAP, August 2009,
<http://gfsis.org/media/download/geplac/Free-Trend-Agreement-with-Georgia.pdf>
6. UNDP Georgia - Study on Counterfeiting and Piracy in Georgia 23/06/2010.
http://www.undp.org.ge/files/24_1046_187891_counterfeiting-piracy-eng.pdf
7. Eastern Partnerhip and Socio-Economic Policy of Georgia, 2011, CIESR, CEPR, OSGF,
<http://www.ciesr.org/files/eapengs.pdf>
8. Global Software Piracy Study (2011) - Business Software alliance
http://globalstudy.bsa.org/2011/downloads/opinionsurvey/survey_georgia.pdf
9. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება საქართველოში ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სფეროში 2010 წ, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, http://www.epfound.ge/files/report_final-enp-epf_03.15.11_3.pdf
10. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულება საქართველოში 2011 წელს – სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შეფასება, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, http://www.epfound.ge/files/report_geo.pdf
11. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულება საქართველოში 2012 წელს ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სფეროში, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, http://www.epfound.ge/files/report_final_geo_1.pdf
12. კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2012,
http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Competition%20Policy%20in%20Georgia%20%28GEO%29.pdf
13. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ორმხრივი და მრავალმხრივი საგზაო რუკების შესრულება საქართველოში 2013 წელს ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სფეროში, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შეფასება, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, 2014 წ. http://www.epfound.ge/files/report_2013_geo.pdf
14. Making Markets Work Better, The EU Explained: Competition. European Commission, Directorate-General for Communication, Citizens information,1049 Brussels, BELGIUM, Manuscript updated in November 2014,
http://europa.eu/pol/pdf/flipbook/en/competition_en.pdf
15. ინოვაციები და საპატენტო გამოწვევები, დ. გაბუნია, 26.11.2014,
http://www.sakpatenti.org.ge/files/innovations_article_geo.pdf
16. გეოგრაფიული აღნიშვნები - კონკურენტუნარიანობის და განვითარების ინსტრუმენტი, დ. გაბუნია, 05.11.2014,
http://www.sakpatenti.org.ge/files/gi_article_geo.pdf

17. WIPO Intellectual Property Handbook, WIPO 2004,
http://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/intproperty/489/wipo_pub_489.pdf